

K 47-279  
2


შრამ შრამი

საქართველოს  
საბავშვო  
საბჭო

# მისაი წიჩი

და

## ქაჩთული კულტურა



საზღვარგარეთის ჭვიშნობთან მიგობრობისა და კულტურული  
შეთიერებობის საქართველოს საზოგადოება



ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ДРУЖБЫ И КУЛЬТУРНЫХ  
СВЯЗЕЙ С ЗАРУБЕЖНЫМИ СТРАНАМИ  
KÜLFÖLDI ÖRSZÁGOKKAL BARÁTI ÉS KULTURÁLIS  
KAPCSOLATOK GRUZZTÁRSOSÁGA



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

ГУРАМ ШАРАДЗЕ

Михай Зичи  
и  
ГРУЗИНСКАЯ  
КУЛЬТУРА

---

GURAM SARADSE

ZICHY MIHALY  
ÉS A GRUZ  
KULTURA

ბუჩუმე ჟურნალი



ქართული  
ბიბლიოთეკა

# მიხაი შიჩი

და

## ქართული კულტურა

1247.279  
2



---

სემონიძე

მგობრი

1978

სამართლებრივი  
პარლამენტის  
ქართული  
ბიბლიოთეკა

75  
75 (439) (092 ზიჩი მ)  
შ 254



გასული წლის ოქტომბერში შესრულდა 150  
წელი დიდი უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის  
(1827—1906) დაბადებიდან.

წინამდებარე ნაშრომი „მიხაი ზიჩი და ქართუ-  
ლი კულტურა“ სწორედ ამ საიუბილეო თარიღს  
ეძღვნება. შიგნს დართული აქვს რეზიუმე რუ-  
სულ და უნგრულ ენებზე.

რედაქტორი ალექსანდრე ბარამიძე

© გამომცემლობა „ხელოვნება“, 1978

M—605

80101

6—ადგ. 78

## წინასიტყვაობის მაგიერ

გასული წლის ოქტომბერში ჩვენს ქვეყანაში აღინიშნა დიდი უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის (1827—1906) დაბადების 150 წლისთავი.

საყოველთაოდ ცნობილია ის დიდი ღვაწლი, რომელიც მიხაი ზიჩიმ დასდო უნგრელი, რუსი და ქართველი ხალხების დახლოებისა და მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების საქმეს. რუსი საბჭოთა მკვლევარის ლ. ალიოშინას სიტყვით—«Творчество Михая Зичи принадлежит в равной степени и русской и венгерской культуре». სრულიად განსაკუთრებული როლი შეასრულა მიხაი ზიჩიმ ქართული კულტურის ისტორიაში, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ ზიჩისეული ილუსტრაციები დღემდე ინარჩუნებენ განუმეორებელი ნიმუშის მნიშვნელობას: „ვეფხისტყაოსნის იმ დროისათვის საუცხოვრო, ცნობილი უნგრელი მხატვრის ზიჩის მიერ დასურათებული გამოცემის მსგავსი ჯერჯერობით არაფერი მოგვეპოვება“ (ივ. ჯავახიშვილი), „რუსთაველის გმირები ქართველი ხალხის ცნობიერებაში შევიდნენ და დამკვიდრდნენ ზიჩის შესანიშნავი ილუსტრაციებით“ (გ. ახვლედიანი), „ზიჩი რუსთაველის დორეა“ (ა. გაჭერელია). ამას გარდა, გამოჩენილმა მეცნიერმა და მთარგმნელმა ბელა ვიკარმა (1859—1945) „ვეფხისტყაოსანი“ უნგრულ ენაზე სწორედ მიხაი ზიჩის შთაგონებით თარგმნა (გამოცა ბუდაპეშტში, 1917), რაც ევროპულ ენებზე, და საერთოდ მსოფლიოში რუსთაველის უკვდავი ქმნილების სრულად გადათარგმნის ერთ-ერთი პირველი ცდა იყო.

მიხაი ზიჩიმ წარუშლელი კვალი დატოვა XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის საქართველოს ისტორიაში. მ. ზიჩის ურთიერთობა, მეგობრობა და თანამშრომლობა გრიგოლ ორბელიანთან, ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან



თელთან, ივანე მაჩაბელთან, ნიკო ნიკოლაძესთან, იონა მეუნარჯიშვილთან და სხვა დიდ ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან ქართველი და უნგრელი ხელების ისტორიული თანამეგობრობის გაუხუნარი ფურცლებია.

ქართული კულტურის წინაშე მიხაი ზიჩის დიდ ღვაწლს, მის მრავალფეროვან ცხოვრებასა და შემოქმედებას არაერთი ქართველი, და არა მარტო ქართველი, მკვლევარი შეხება. მაინც, ამ მხრივ, უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული ნაშრომებიდან საგანგებო აღნიშვნის ღირსია უნგრელი ხელოვნებათმცოდნის ილონა ბერკოვიჩის მონოგრაფია „მიხაი ზიჩი“ (უნგრულ და რუსულ ენებზე, ბუდაპეშტი, 1964, 1965), ბ. გორდეზიანის „ზიჩი საქართველოში“ (თბილისი, 1960, 1966), ლ. ალიოშინას „მიხაი ზიჩი“ (მოსკოვი, 1975) და პ. ზოლტანის „ცასა და დედამიწას შორის, რომანი მიხაი ზიჩის ცხოვრების შესახებ“ (უნგრულ ენაზე, ბუდაპეშტი, 1976). წინამდებარე ნაშრომიც ამ მიმართულებით წლების მანძილზე გაწეული მუშაობის ნაყოფს წარმოადგენს.

თ ა ვ ი 1

## მეგობრობის ისტორიული ფესვები

...„ხიდი“ ქართულად  
და „ხიდი“ უნგრულად  
თურმე, საერთო გვექონია სიტყვა!  
გიორგი ლეონიძე

საქართველო-უნგრეთის კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობებს შორეულ წარსულში აქვს ფესვები გადგმული. პირველწყაროებს ძუნწი, მაგრამ ძლიერ საგულისხმო ცნობები შემოუნახავს აღორძინების ეპოქაში ქართველთა და უნგრელთა პოლიტიკურ, რელიგიურ, დიპლომატიურ თუ მეცნიერულ ურთიერთდაინტერესებაზე. ამას ცხადად მოწმობს უნგრელ ჰუმანისტთა მიერ შემუშავებული ე. წ. „სკვითური თეორია“, რომლის მიხედვით, უნგრელთა წინაპრების ერთ-ერთ პირველსაცხოვრისად და ნათესავ ხალხად საქართველო და ქართველებია მიჩნეული<sup>1</sup>. ამ შეხედულების ერთგვარ გამოძახილად, სხვა უნგ-

<sup>1</sup> Л. Т а р д и, Грузия в общественном мнении Средней Европы и грузино-венгерские связи в XVI веке (автореферат докторской диссертации), Тб., 1973; ლ. ტ ა რ დ ი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1968; Д. Р а д о, Л. Т а р д и, Грузия глазами венгров, «Литературные взаимосвязи», I, Тб., 1965, გვ. 197-202 და სხვ.



რელ მოგზაურებს (გერგეი, ორლაი, ბეშე, დეჩი...) რომ თავი დაეანებოთ, უნდა მივიჩნიოთ გრაფ ევგენი ზიჩის მიერ გასული საუკუნის 90-იან წლებში კავკასიაში, და კერძოდ, საქართველოში ორჯერ (1895, 1898) მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიცია (ამ ექსპედიციაში სხვებთან ერთად იყვნენ არქეოლოგი ბელა პოშტა და ეთნოგრაფი იანოშ იანკო)<sup>2</sup>, რომელსაც თავის დროზე ფართო გამოხმაურება ჰქონდა<sup>3</sup>. სხვათა შორის, ევგენი ზიჩის ჩვენს ქვეყანაში იზიდავდა წარმტაცი ლეგენდა, რომლის მიხედვით ზიჩები ციციშვილების შთამომავლობისანი ყოფილან. 1895 წელს „ივერია“ (№ 182) იტყობინებოდა: „გ რ ა ფ ი ზ ი ჩ ი თ.-თ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ე ბ შ ი... გრაფს გაუგონია, რომ ქართლში ცხოვრობენ თავადნი ციციშვილები და ეს გვარი თავისს გვართან შეუდარებია, მოუსურვებია მათი ნახვა და გაცნობა... გრაფი თითქმის გამონათესავებია: „თქვენ უსათუოდ უნგრელები უნდა იყოთო, ან მე ქართველი ვყოფილვარ ოდესმეო. უსათუოდ

---

<sup>2</sup> 1897 წელს, ბუდაპეშტში უნგრულად და ფრანგულად გამოქვეყნდა ამ ექსპედიციის ანგარიში: Comte Evgène de Zichy, Voyages au Caucase et en Asie Centrale; ხოლო 1962 წელს — ბელა პოშტას კავკასიაში მოგზაურობის დღიურები (ბუდაპეშტი, 1962, უნგრულ ენაზე).

<sup>3</sup> იხ. „ივერია“, 1895, №№ 91, 140, 182; 1898, № 57, № 74; „ცნობის ფურცელი“, 1897, № 249; 1898, № 482. ბ. გ ო რ დ ე ზ ი ა ნ ი, ზიჩი საქართველოში, თბ., 1966, გვ. 67-70; ა. ც ი ს კ ა რ ი ძ ე, ევგენი ზიჩი საქართველოში, „სამშობლო“, № 19, ოქტომბერი, 1976; გ. ბ ე ქ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, კიდევ ერთი ზიჩი, „თბილისი“, 1967, 25 სექტ., ი შ ტ ვ ა ნ ე რ დ ე ლ ი, ბელა პოშტა საქართველოში, „ლიტ. საქართველო“, 1967, № 29, 21 ივლისი. В. Е. Чернова, Граф Зичи на Кавказе, «Новь», СПб, 1897, № 12, გვ. 308.

უნდა მეწვიოთ ჩემს სამშობლოში და ვეცდები მაგიერი ვატი  
ვისცემა იქ გადავიხადოთ“, ხოლო პეტერბურგში დამინახული  
ვალი ჟურნალი «Новь» 1897 წელს თავის მკითხველს აუწყე-  
და: «Граф Зичи прибыл в Тифлис. Вблизи Тифлиса на-  
ходится небольшой городок Хветурети (!), в котором име-  
ет местопребывание старинный род князей Зичианов. Вос-  
пользовавшись любезным приглашением князя, граф Зи-  
чи поехал к нему погостить на несколько дней. Согласно  
древнему преданию, этот старинный княжеский род не-  
сколько тысяч лет тому назад пришел на Кавказ с Восто-  
ка, в сопровождении множества вооруженных людей и  
нескольких сот верблюдов. Первоначально он назывался  
Зичи, затем Зичиан, а в конце-концов... стал называ-  
ться Зичиановым. Весьма возможно, что граф Зичи и  
князья Зичиановы одного и того же происхождения»  
(В. Е. Чернова, Граф Зичи на Кавказе, «Новь»,  
СПб, 1897, № 12, стр. 308). თამარ ციციშვილის ცნობით,  
ევგენი ზიჩის უნგრეთიდან დავით დიმიტრის ძე ციციშვილი-  
სათვის საჩუქრად ჩამოუტანია დეკორატიული თეფში (ჭედუ-  
რობა), რომელიც უკანასკნელად დაცული ყოფილა ვახტანგ  
დავითის ძე ციციშვილის ოჯახში. (იხ. ფოტო). მოგზაურო-  
ბის დროს ე. ზიჩიმ ქართულ სიძველეთა მდიდარ კოლექციას  
მოუყარა თავი, რომელიც დღეს ბუდაპეშტშია დაცული<sup>4</sup>.

<sup>4</sup> მის შესახებ იხ. უნგრელი მეცნიერის ლასლო ფერენცის  
სტატიები (1955, 1959); აგრეთვე, გ. შარაძე, ქართული სიძველენი ბუდა-

ქართულ-უნგრული კულტურული ურთიერთობა მთელი ძალით XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე გაიშალა. ქართული კულტურის მოღვაწეთა წინაშე ახალმა მოწოდებებმა დადგა ეროვნული სტამბის მოწყობის აუცილებლობა: „ქართული ეროვნული სტამბა ჯერ მოსკოვში დაარსდა, შემდეგ თბილისში. მოსკოვის სტამბა უკავშირდება არჩილის (1647-1713) სახელს, თბილისის სტამბა კი მოაწყო ვახტანგ მეექვსემ (1675-1737). მაგრამ არჩილმაც და ვახტანგმაც თავიანთი საშვილიშვილო წამოწყება განახორციელეს უნგრელი სპეციალისტების მიკლოშ კიშისა და მიხაი იშტვანოვიჩის დახმარებით“<sup>5</sup>.

საქმე ისაა, რომ 1686 წელს, მოსკოვში პირველად ჩასვლის დროს, არჩილმა ქართული საბეჭდი შრიფტის დამზადება შეუკვეთა ამსტერდამში მოღვაწე უნგრელ მესტამბეს მიკლოშ კიშს<sup>6</sup>, ხოლო მეორე უნგრელი მესტამბის მიხაი იშტვანოვიჩის, იგივე „მიხაილ უნგროვლახელის, როგორც XVIII საუკუნის დასაწყისის ქართული კულტურის ერთ-ერთი დიდი

---

პეშტში, „ლიტ. საქართველო“, 1970, 8 აგვისტო; მ ი ს ი ვ ე, სამეცნიერო ექსპედიცია უნგრეთში, წიგნში: „არქეოგრაფიული ძიებანი“, თბ., 1973-გვ. 157 შმდ. გ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სამეცნიერო მივლინება უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში, „მაცნე“, (ისტორიის სერია), 1974, №2, გვ. 18 -184.

<sup>5</sup> ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა, „მნათობი“, № 8, 1967, გვ. 14; მ ი ს ი ვ ე, უნგრულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, იბეჭდება: ნარკვევები, VII.

<sup>6</sup> ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, ქართული შრიფტი ამსტერდამში, (1686—87), მარქსის სახ. საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, III, თბ., 1937, გვ. 19-38.

მოამაგის სახელი მკვიდრად არის შესული ჩვენი კულტურული ცხოვრების მატრიანეში<sup>7</sup>. ანთიმოზ ივერიელის ნიჭიერმა მოწაფე ფემ მიხაი იმტვანოვიჩმა უდიდესი როლი შეასრულა თბილისში ვახტანგ მეექვსის მიერ 1709 წელს გამართულ პირველი ქართული სტამბის ორგანიზაციისა და 1707—1711 წლებში გამოცემული ქართული წიგნების დაბეჭდვის საქმეში, რამაც თავისთავად განაპირობა 1712 წელს „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური გამოცემის მაღალ დონეზე განხორციელებაც. ვახტანგ მეექვსის სიტყვებით, „...მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბა“; ხოლო „მესტამბე მიხაელ სტეფანეს შვილი უნგროვლახელი“ ასე მიმართავს ქართველ მკითხველს: „ღთისმოყვარენო და ყოვლად შვენიერნო მკვიდრნო საქართველოსანო! ყოველივე საქმენი, რაოდენნი იხილვებიან — ასონი, ორღანონი და ყოველნი საკმარნი სტამბისა, დაწყებით სრულყოფამდე, მოქმედი და წინამძღოლი მე ვარ, უნდო მონა თქვენნი“<sup>8</sup>. ამ დროს გამოთქმულ ერთ „ქების ლექსში“ კი ანთიმოზ ივერიელის მოწაფე ასეა შექებული:

„პატრიარქმა გამოგზავნა აქ მიხაილ კარგად ზრდილი,  
კარგად სტამბის გამოძღები, ჭკვიანი და გამოცდილი“<sup>9</sup>

უნგრეთის იცნობენ ე. წ. აღორძინებისა და გარდამავალი ხანის ქართველი მწერლები (იხ. მაგალითად, ლევან ბაქარის

<sup>7</sup> ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, პირველი სტამბა საქართველოში, თბ., 1955, გვ. 96.

<sup>8</sup> ი ქ ვ ე, გვ. 182.

<sup>9</sup> ი ქ ვ ე, გვ. 97.



ძე ბატონიშვილის „სამეფო უნგრისა ანუ ვენგრისა“ (აგრეთვე ვე, დავით და იოანე ბატონიშვილები). ამ მხრივ, საგულწინააღმდეგეთა დავით ბატონიშვილის სიტყვები: „ვენგერნი არიან მამაცნი, გამბედავნი, ბრძოლასა შინა მიდრეკილნი, კარგ ჰასაკოვანნი და თავმოყვარენი“<sup>10</sup>.

ერეკლე II-ის კარზე 1779-83 წლებში მოღვაწეობდა უნგრეთიდან ჩამოსული (წარმოშობით საქსონიელი) ექიმი და მეცნიერი იაკობ რეინეგსი (1744-1793)<sup>11</sup>. მან თავი გამოიჩინა, აგრეთვე, როგორც დიპლომატმა და გარკვეული როლი შეასრულა რუსეთ-საქართველოს 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატის მომზადებაში<sup>12</sup>. გულმხურვალე სიტყვები მიუძღვნა იაკობ რეინეგსმა ქართველთა მეფეს: „მეფე ერეკლე ყველაზე საუკეთესო ადამიანია მათ შორის, ვისაც მე შევხვედრივარ ცხოვრებაში. იგი ბუნებას დაუჯილდოებია ყოველი სიკეთით, რაც კი ადამიანს შეიძლება გააჩნდეს. იმდენად მაფასებდა, ისე დიდი იყო სიყვარული და მეგობრობა ჩვენ შორის, რომ მიუხედავად მისი ასეთი უმაღლესი მდგომარეობისა

<sup>10</sup> ტრ. რ უ ხ ა ძ ე, ქართულ-უნგრული ურთიერთობის სათავეებთან, „ლიტ. საქართველო“, 1967, 15 სექტ., № 37.

<sup>11</sup> მას მიუძღვნა ლ. ტ ა რ დ ი მ თავისი ისტორიული რომანი „იაკუბ ბეი“ (ბუღაპეშტი, 1962; ქართულად თარგმნეს მ. ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ მ ა და ი. კ ა პ თ შ ი მ, თბ., 1971).

<sup>12</sup> ლ. ტ ა რ დ ი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1968, გვ. 15-19; С. К а к а б а д з е, Кто был Якоб Рейнегс, «Веч. Тбилиси», 1963, 15 июля. ე. ლ უ კ ა შ ვ ი ლ ი, რეინეგსი საქართველოში, „თბილისი“, 1967, 25 სექტ., გ. ქ ი ქ თ ძ ე, ერეკლე მეორე, თბ., 1941, გვ. 112.

ჩემთან შედარებით, ნებას მაძლევდა მამა მეწოდებინა „მით-  
ვის“<sup>13</sup>.



საქართველოში მუდამ თანაგრძნობით ეკიდებოდნენ უნგრელი ხალხის სამართლიან გმირულ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. განსაკუთრებული პოპულარობა მოიხვეჭეს ჩვენში ავსტრიელი ჰაბსბურგების წინააღმდეგ 1848-49 წლებში აჯანყებულ უნგრელთა სახალხო გმირებმა ლაიოშ კოშუტმა (1802-1894) და შანდორ პეტეფიმ (1823-1849). უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული ერთი საგულისხმაცნობით, რუსეთის არმიასი ამ დროს მყოფმა ქართველთა ოფიცერმა ალექსანდრე ბუჩკიაშვილმა „აჯანყების მეთაური ლაიოშ კოშუტი წვეთი სისხლის დაუღვრევლად არა მარტო ტყვეობიდან, არამედ სიკვდილისაგანაც იხსნა“<sup>14</sup>. ილია ჭავჭავაძის სამუშაო ოთახში (საგურამოში) ლაიოშ კოშუტის სურათს ამშვენებს ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშის ამალეღვებელი წარწერა: „არასოდეს ჰემ-მარიტებას ამ ქვეყნად ასე მძლავრად არ დაუქუხია“, ხოლო აკაკი წერეთელი ხმამაღლა ამბობდა: „კოშუტი ყოველი შეგნებული ქართველი პატრიოტის იდეალია“<sup>14ა</sup>. პეტეფის და-

<sup>13</sup> ლ. ტ ა რ დ ი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (ქართული თარგმანი ლ. მასურაძისა), თბ., 1968, გვ. 17.

<sup>14</sup> ბ. მ ა ს ხ ა რ ა შ ვ ი ლ ი - დ ა დ ი ა ნ ი, წარსულის ფურცლებიდან, „ციცკარი“, № 8, 1976, გვ. 145.

<sup>14ა</sup> გ. ჩ ი მ ა კ ა ძ ე, უნგრეთ-საქართველოს კულტ. ურთიერთობა, „ლიტ. ზაქ.“, 1964, 6-XI; ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, დას. ნაშრ., „მნათობი“, 1967, № 8, გვ. 147.



ლუპვის 50 წლისთავს ფართოდ გამოეხმაურა იმდროინდელი ქართული პრესა („ივერია“, „ცნობის ფურცელი“)<sup>15</sup>.

და აი, XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ეწვია მიხაი ზიჩი, ამ დროს უკვე სახელმონხვეჭილი უნგრელი მხატვარი. მიხაი ზიჩის სახით ქართველ ხალხს, ქართულ კულტურას ახალი დიდი მეგობარი მოევლინა...

---

<sup>15</sup> გ. ჩიმაკაძე, დასახ. შერილი.

თ ა ვ ი II

მიხაი ზიჩი—დიდი უნგრელი ქრონოლოგი  
მხატვარი

მიხაი ალექსანდრეს ძე ზიჩი დაიბადა 1827 წლის 15 ოქტომბერს უნგრეთში, შომოდის ოლქის სოფელ ზალაში, დიდგვაროვან ოჯახში<sup>1</sup>. იქვე მეზობლადაა ზიჩების საგვარეულო სოფელი ზიჩ, რომლის სახელიდან მოდის გვარიც — ზიჩი, რაც ქართულად ზიჩ-ელს ნიშნავს. აქ არის ზიჩების საგვარეულო

---

<sup>1</sup> Л. Алешина, Михай Зичи, М., 1975, გვ. 7. შტრ. I. Berkovits, Zichy Mihály élete és munkássága (1827—1906), Budapest, 1964, გვ. 11. И. Беркович, Михай Зичи (1827-1906), Будапешт, 1965, გვ. 6; ბ. გორდეზიანი, ზიჩი საქართველოში, მეორე გამოცემა, თბ., 1966, გვ. 10; მ. ქვიციანი, ვეფხისტყაოსნის დასურათების ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 57; მისივე, ვეფხისტყაოსნის დასურათებანი, თბ., 1967, გვ. 126; თ. ფერაძე, რუსი და უცხოელი მხატვრები საქართველოში (XIX საუკუნე), თბ., 1964, გვ. 90 შმდ. (წინამდებარე ბიოგრაფიული ნარკვევი ძირითადად ამ წყაროების მიხედვით არის დაწერილი).





საძვალე და ეკლესია. მიხაი ზიჩის პაპა ამ სოფელში ცხოვრობდა. ზიჩების მეორე საგვარეულო სასაფლაო ზალაშია, სადაც სოფელში — ზიჩში და ზალაში კარგად იციან საქართველოში მიხაი ზიჩის ყოფნის შესახებ<sup>2</sup>. ამის თაობაზე აქაურ მცხოვრებლებს ლამაზი ლეგენდაც შეუქმნიათ „ვეფხის წიგნის ქვეყანაზე“<sup>3</sup>.

ზიჩი წარჩინებული უნგრული გვარია: მისი ერთი შტო (არა მხატვრის) გრაფის ტიტულს ატარებდა (ამ შტოს ეკუთვნოდა არქეოლოგი და მოგზაური ევგენი ზიჩი)<sup>4</sup>.

სოფელ ზალაში, სახლში, სადაც დაიბადა დიდი მხატვარი, დღეს მისი სახლ-მუზეუმი მოწყობილია<sup>5</sup>. შენობა აგებულია 1823 წელს. მასზე გაკრულია მემორიალური დაფა, რომელიც დაუმზადებია მოქანდაკე ფერენც შედლოუს 1927 წელს მიხაი ზიჩის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით. დაფაზე საგულისხმო წარწერაა: „აქედან დაიწყო თავისი სახელოვანი ცხოვრების გზა მიხაი ზიჩიმ. შომოდის ოლქის მცხოვრებლებისაგან. 1927 წელი“. ასრულდა 1875 წელს ანტალ ზიჩის მი-

<sup>2</sup> გ. შ ა რ ა ძ ე, სამეცნიერო ექსპედიცია უნგრეთში, წიგნში: „არქეოგრაფიული ძიებანი“, თბ., 1973, გვ. 6.

<sup>3</sup> ვლ. ა ლ ფ ე ნ ი ძ ე, უნგრული თქმულება ვეფხის წიგნის ქვეყანაზე, „თბილისი“, 1970, 22 ოქტ.; მ ი ს ი ვ ე, ფიქრიანი გზები, თბ., 1973, გვ. 328—332; Вл. А л п е н и д з е, Гроздь раздумий, Тб., 1975, გვ. 269—273.

<sup>4</sup> ეურნალ «Новь»-ის 1897 წლის მე-12 ნომერში დაბეჭდილია მიხაი ზიჩისა და ევგენი ზიჩის ერთად გადაღებული სურათი. იხ. Б. П и р а д о в, М. Л е в а н и ш в и л и, Перелистывая старый журнал..., «Веч. Тбилиси», 1960, 5 января.

<sup>5</sup> B é n y i L á s z l ó, A Zalai Zichy Mihály emlékmúzeum, 1970.




ერ თავისი ძმისადმი მიწერილი სიტყვები: „დადგება შენი ხალხი შენ მუხეუმს გაგისხნის“<sup>5</sup>.

მიხაი ზიჩის მამა ადრე გარდაიცვალა. უმამოდ დარჩენილ ძმებს ანტალსა და მიხაის დედა ზრდიდა. ბავშვობისა და გიმნაზიის წლები მომავალმა მხატვარმა ზალასა და ვესპრემში გაატარა, ხოლო უმაღლესი (იურიდიული) განათლების მისაღებად დედაქალაქში ჩავიდა, ამასთან, 1842 წლიდან იწყებს ფერწერაში მეცადინეობას იტალიელ მხატვარ იაკობ მარასტონისთან, რომელმაც პეშტში გახსნა ქვეყანაში პირველი სამხატვრო სასწავლებელი. მაგრამ დედას თავისი წოდებისათვის შეუფერებლად მიაჩნდა უმცროსი შვილის მხატვრული გატაცებანი და მისი დაჟინებული სურვილით მ. ზიჩი იძულებული გახდა 1843 წელს ვენაში გადასულიყო იურისპრუდენციაში ცოდნის გასაღრმავებლად. მაგრამ იგი არც აქ ივიწყებს თავის ნამდვილ მოწოდებას და გახდა გამოჩენილი მხატვრის, ვენის სამხატვრო აკადემიის პროფესორის ფერდინანდ-გეორგ ვალდ-მიულერის (1793-1865) მოწაფე. ი. ბერკოვიჩის სიტყვებით, «У Вальдмюллера Зичи приобрел виртуозную технику рисунка и научился писать изящные портреты-миниатюры» (დასახ. ნაშრ., გვ. 6), ხოლო ლ. ალიოშინა პირდაპირ წერს: «Зичи был лучшим учеником Вальдмюллера, его надеждой» (დასახ. ნაშრ., გვ. 9). 1844-46 წლებში ზიჩიმ თავისი პირველი ნამუშევრები გამოფინა ვენის მაცურებელთა სამსჯავროზე, რომელმაც მას საკმაო პოპულარობა მოუხვეჭა.

<sup>5</sup> გ. შ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 160.

2. გურამ შარაძე





ამერიიდან მან მტკიცედ გადაწყვიტა მთელი თავისი სიცოცხლე ხელოვნებისთვის მიეძღვნა. 1846 წელს ახალგაზრდა მხატვარი იტალიაში გაემგზავრა. მოგვიანებით (1887 წლის ოქტომბერში) დაწერილ ავტობიოგრაფიაში მ. ზიჩი ასე მოგვითხრობს თავისი შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისზე: «...родился 15 октября 1827 года в Зале (в Венгрии) нашем родовом имении; окончив курс гимназии в Веспреме и Будапеште, я посвятил себя искусству. Первым моим учителем рисования был Якобо Марастони в Будапеште; в 1843 году я начал брать private уроки рисования у профессора живописи венской Академии художеств Фердинанда-Георга Вальдмюллера. Выставлял свои картины в Вене в 1844—1846 годах; в последнем (1846) году совершил первое путешествие в Италию»<sup>6</sup>.

უკვე ვენაში სწავლის დროს, ზიჩის მხატვრული ტალანტის მომწიფებისას, ნათლად მეღაღნდება ახალგაზრდა მხატვრის გატაცება ფრანგული რომანტიზმით. მას აღელვებს ზოგადსაკაცობრიო პრობლემები, ძლიერი ადამიანური ვნებები, გულწრფელი პატრიოტული მისწრაფებანი: „ნაციონალური კრების“ ახალგაზრდობასთან ერთად იგი იზიარებს კომუტის განმათავისუფლებელ იდეებს, იმსკვალება მძაფრი სიძულველით ავსტრიელი დამპყრობლების მიმართ“<sup>7</sup>.

1847 წელი გარდატეხის ხანა აღმოჩნდა მხატვრის ცხოვრე-

<sup>6</sup> Л. Алешина, დასახ. ნაშრ., გვ. 7.

<sup>7</sup> მ. ქვლიციძე, ვეფხისტყაოსნის დასურათების ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 58.

ბაში, რომელმაც მოლიანად შეცვალა მისი შემდგომი ბედი.  
«Популярный в то время в Европе как педагог Фердинанд  
Вальдмюллер получил предложение от великой княгини  
Елены Павловны быть учителем ее дочери. Отказавшись  
принять это предложение, Вальдмюллер настоятельно  
рекомендовал своего любимого ученика Михая Зичи. Так  
Зичи неожиданно попал в Россию»<sup>8</sup>.

მაშასადამე, 1847 წლიდან მ. ზიჩი უკვე პეტერბურგშია.  
მალე, 1848 წელს უნგრეთში გაჩაღდა სახალხო-განმათავისუ-  
ფლებელი ბრძოლა ავსტრიელი ჰაბსბურგების წინააღმდეგ,  
მაგრამ დამარცხების პირას მისულ ავსტრიელ დამპყრობლებს  
დახმარების ხელი გაუწოდა „ეიროპის ჟანდარმმა“ ნიკოლოზ  
პირველმა, რამაც ფაქტიურად გადაწყვიტა კიდევ ამ ბრძოლის  
ბედი, აჯანყება სისხლში ჩაახრჩვეს. 1849 წელს მ. ზიჩი პრო-  
ტესტის ნიშნად ტოვებს სასახლის ბრწყინვალე კარს და მარ-  
ტოდმარტო მიუსაფარ ცხოვრებას ამჯობინებს უცხო ქალაქ-  
ში. მ. ზიჩის მიერ გადადგმული ნაბიჯის ამგვარ ახსნას სკეპ-  
ტიკურად უყურებს ლ. ალიოშინა. მისი მტკიცებით, მხატვარს  
სასახლის კარზე პედაგოგიური მოღვაწეობა მხოლოდ იმიტომ  
მიუტოვებია, თითქოს «Для его собственных занятий вре-  
мени не оставалось. Зичи не имел ни средств, ни времени,  
ни мастерской. Если не считать рисования любимых со-  
бачек великой княгини, то для работы с натуры тоже не  
было никаких возможностей. Понятно, что молодой ху-  
дожник, полный ощущения высокого призвания живо-

<sup>8</sup> Л. Алешина, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

писца, создавший к тому времени около десятка картин и заслуживший успех на венских выставках, уже в 1849 году покидает свою должность»<sup>9</sup>.

ამ შეხედულებას ვერ გავიზიარებთ, ყოველ შემთხვევაში, ძნელი წარმოსადგენია მკვლევრის მიერ დახატული კარის მხატვრის ასეთი მძიმე მდგომარეობის სურათი. შეიძლება ნაწილობრივ ეს ასეც იყო, მაგრამ ვერ დავიჯერებთ, თითქოს მატერიალურად და მორალურად, მით უმეტეს, შემოქმედებითი თვალსაზრისით, უკეთესი ყოფილიყო მ. ზიჩის მიერ არჩეული ახალი პროფესია — მწლის მანძილზე პეტერბურგელი ფოტოგრაფის ვენინგერის რეტუმორობა, სადაც მან 1850 წელს დაიწყო მუშაობა. აკი თვითონ ლ. ალიოშინაც აღიარებს, რომ «Для Зичи это был период тяжелой повседневной работы ретушера» (იქვე, გვ. 17). ასე რომ, მ. ზიჩის მიერ გადადგმულ ნაბიჯში პატრიოტი მხატვრის ერთგვარი პროტესტის გამოვლიცხვა შეუძლებელია.

მ. ზიჩი ეწაფება პროგრესულ რუსულ ლიტერატურასა და ხელოვნებას, უმეგობრდება მოწინავე რუს მხატვრებს (ვ. ტიმი, მ. მიკეშინი, პ. სოკოლოვი, ა. პოპოვი...), რაც შესამჩნევ კვალს ტოვებს მის ამდროინდელ შემოქმედებაზე. მაინც, განსაკუთრებულია მ. ლერმონტოვის პოეზიის გავლენა, რამაც იმთავითვე განაპირობა მ. ზიჩის შეუხელებელი ინტერესი კავკასიისადმი. მთელი რუსეთი ადევნებდა თვალყურს ამ დროს კავკასიაში მიმდინარე ცხარე ბრძოლებს, რამაც თავისი გამოხატულება პპოვა გ. გაგარინისა და ვ. ტიმის 50-იან წლებში

<sup>9</sup> Л. Алешина, დასახ. ნაშრ., გვ. 10.



შექმნილ ცნობილ ნამუშევრებში. ზიჩი ითხოვს კავკასიაში გამომგზავრების ნებართვას, მაგრამ მას უარს ეუბნება ნიკოლოზ ვიცი.  
 где Зичи, не видел еще Кавказа, создает «Кавказские сцены»... он создал свой воображаемый Кавказ»<sup>10</sup>. მ. ზიჩის „კავკასიური სცენები“ შედგება „из 12 листов двухтоновых автолитографий, то-есть рисованных на камне самим художником“ და გამოცემულია 1853 წელს<sup>11</sup>. ლ. ალიოშინას ცნობით, მისთვის მთელი ნარკვევი მიუძღვნია ვ. ვერეშჩაგინს<sup>12</sup>, ცნობილ რუს მხატვარს, რომელმაც, თავის მხრივ, ბევრი დასამახსოვრებელი სურათი შექმნა კავკასიაში, და კერძოდ, საქართველოში მოგზაურობისას. მ. ზიჩის „კავკასიურ სცენებში“ გასაოცარი ცოდნითა და მხატვრული ოსტატობით გადმოცემულია კავკასიელი მთიელების ყოფა, ჩაცმულობა, ტიპაჟი თუ თავგანწირული ბრძოლის ეპიზოდები, და ყველაფერი ეს ისე, რომ მხატვარს საკუთარი თვალით ჯერ კიდევ არ ენახა კავკასია...

უნგრელი მხატვარი უფრო ახლო ეცნობა რუსი ხალხის ცხოვრებას. 50-იანი წლების დასაწყისში მ. ზიჩი ცოლად ირთავს უბრალო წრიდან გამოსულ რუს ქალს ალექსანდრა ერშოვას, ვისგანაც 4 შვილი (სამი ქალი და ერთი ვაჟი) ჰყავდა. ი. ბერკოვიჩის ცნობით, მ. ზიჩიმ კათოლიკური სარწმუნოება არ შეიცვალა, ამიტომ რუსულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ

<sup>10</sup> Л. Алешина, დასახ. ნაშრ., გვ. 29.  
<sup>11</sup> იქვე, გვ. 30, 169.  
<sup>12</sup> В. А. Верещагин, Заметки о редких изданиях, ჟურნალი «Антиквар», სპბ, 1902, № 8, ნომბერი.



სიამ მისი ქორწინება და შვილები კანონიერად აფორცხვის-  
ლის სიღრმემდე აფორიაქებული მხატვარი იძულებული გახდა  
60-იანი წლების დამდეგს ცოლ-შვილი სამუდამოდ უნგრეთში  
დაეტოვებინა, სადაც კათოლიკურმა ეკლესიამ ბოლოსდაბო-  
ლოს მათი ქორწინება შეიწყნარა.

1856-57 წლებში მ. ზიჩიმ მონაწილეობა მიიღო რუსეთში  
მხატვართა პირველი გაერთიანების „პარასკევობის“ («Пят-  
ницы», «Les vendrediens») დაფუძნებაში, რომელშიც შედი-  
ოდნენ ცნობილი პეტერბურგელი მხატვრები ტიმი, აივაზოვ-  
სკი, სვერჩკოვი, ლაგორიო, ძმები შარლემანები... ლ. ალიო-  
შინას სიტყვებით, «Непосредственной целью «пятниц» бы-  
ло желание оказать материальную помощь тем художни-  
кам, которые в ней нуждались. Средства добывались про-  
дажей и разыгрыванием в лотерею рисунков, а также ис-  
полненных с них литографий... Весьма важное значение  
имела возможность обсуждения на «пятницах» актуаль-  
ных художественных и общественных проблем... Кроме  
того, здесь происходило сближение художников с други-  
ми деятелями культуры. На «пятницах» бывали артисты,  
музыканты...» (დასახ. ნაშრ., გვ. 49).

1863 წლიდან „პარასკევობა“ დაიშალა. საგულისხმოა,  
რომ „პარასკევობა“ გახდა „პერედვიჟნიკების“ (ი. კრამსკოი,  
ნ. გე, ი. რეპინი, ვ. პეროვი...) ერთ-ერთი წინამორბედი და  
მ. ზიჩიც 70-იანი წლების დასაწყისში კრამსკოის „ხუთშაბა-  
თობათა“ საკმაოდ ხშირი სტუმარი იყო.

თანდათან ხდებოდა მ. ზიჩის მხატვრული ტალანტის აღია-

რება. 1858 წელს რუსეთში იმოგზაურა სახელგანთქმულმა/ფრანგმა მწერალმა და კრიტიკოსმა ტეოფილ გოტიემ (1872), რომელიც პეტერბურგში გაეცნო მ. ზიჩის ნამუშევრებს<sup>13</sup>. აღფრთოვანებული გოტიე წერდა: „ჩვენ აღმოვიჩინეთ ისეთი შედეგების წინ, რომლებსაც ვერ მიაწერ ვერც ერთ გამოჩენილ ოსტატს, თუმცა თითოეული მათგანისათვის მათზე ხელისმოწერა საამაყო იქნებოდა... ახალი, ორიგინალური მხატვრული ხერხები, არაჩვეულებრივი გემოვნება... მხატვართა „პარასკევობაზე“ პირველად ვნახე ზიჩი. 30-32 წლის ახალგაზრდა, გრძელი აშლილი ქერა თმით, ცეცხლოვანი წყლისფერი თვალებით, ღია ფერის ოდნავ დახუჭუჭებული წვერით. მან საამური წყნარი რაკრაკა სიცილი იცის, სიცილი ბავშვისა“<sup>14</sup>. გოტიე დასძენდა: «Подобно Густаву Доре, Зичи необыкновенный гений (un monstre de génie), Portentum (чудовище) — если мы хотим употребить латинское выражение, — талант-кратер, который постоянно находится в состоянии извержения... Зичи является одной из самых изумительных художественных личностей, с

---

<sup>13</sup> Théophile Gautier, Voyage en Russie, Paris, 1866, ტ. I, გვ. 274-314, თავი 16: Zichy. ამის შესახებ იხ. ა. გაშერელია, ტეოფილ გოტიე და ზიჩი, რჩ. ნაწერები, I, თბ., 1962, გვ. 408-409; აგრეთვე, ბ. გორდეზიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 18-19; მ. ქვლივიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 58; И. Беркович, დასახ. ნაშრ., გვ. 9-10; Л. Алешина, დასახ. ნაშრ., გვ. 47-48, 55-58, 170.

<sup>14</sup> ბ. გორდეზიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 19.



которыми мы встречались — начиная с 1830 [года, этого по-  
воротного пункта в искусстве]<sup>15</sup>.



1858 წლის 30 აპრილს რუსეთის სამხატვრო აკადემიამ მ. ზიჩის აკადემიკოსის წოდება მიანიჭა<sup>16</sup>, ხოლო 1859 წლის მაისში მ. ზიჩი გახდა საიმპერატორო კარის მხატვარი<sup>17</sup>. საგულისხმოა, რომ მ. ზიჩიმ ამ თანამდებობაზე შეცვალა „მოხუცი ადოლფ შარლემანი, მამა ჩვენი გამოჩენილი გრაფიკოსი მხატვრის იოსებ შარლემანისა“<sup>18</sup>.

აი, რას წერდა ჟურნალი «Нива» მ. ზიჩის რუსეთში ჩამოსვლისა და მუშაობის პირველ პერიოდზე:

«Еще в 1844 г. М. А. Зичи был приглашен великой княгиней Еленой Павловной давать уроки рисования дочери Ея Высочества великой княгине Екатерине Михайловне. С осени 1847 г. М. А. Зичи уже постоянно живет и работает в России. Уроки во дворце и у многочисленных представителей высшей аристократии — Графа Панина, Давыдова, Толстого, Малевинского — отнимали у молодого художника весь день, так что для себя работать приходилось ему только ночью. В 1849 г. Зичи оставил уроки во дворце, и для него наступили тяжелые времена. Талантливому художнику приходилось снискивать средства к существованию ретушированием фотографических

<sup>15</sup> И. Беркович, დასახ. ნაშრ., გვ. 9-10.

<sup>16</sup> Л. Алешина, დასახ. ნაშრ., გვ. 60, 171; ბ. გორდეზიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 19.

<sup>17</sup> Л. Алешина, დასახ. ნაშრ., გვ. 60, 171.

<sup>18</sup> ბ. გორდეზიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 19.

портретов. В это время М. А. Зичи нашел поддержку в принце Александре Гессендармштадском... Благодаря хохлатому да тайству генерала Краснокутского, М. А. Зичи был представлен ко двору и получил поручение изобразить различные сцены из жизни Императора в Гатчине... В это время М. А. Зичи получил предложение исполнить картины, изображающие коронацию 1856 года. Академия художеств признала М. А. Зичи академиком за выставленные им в 1858 г. три акварели... Император Александр II... назначил его в 1859 году придворным Его Императорского Величества, художником...» (М. А. Зичи. По поводу 60-летия художественной деятельности. «Нива», 1902, № 43, гв. 860).

მხატვარი არაჩვეულებრივი ნაყოფიერებით მუშაობს მსოფლიო ლიტერატურის შედეგრთა ილუსტრაციებზე, სხვადასხვა დროს ასურათებს ბაირონის „დონ ჟუანს“, პუშკინის „ბაღჩისარაის შადრევანს“, ლერმონტოვის „დემონს“, გოგოლის „ტარას ბულბას“, გოეთეს, შილერის, შექსპირის, გოტიეს ნაწარმოებებს, აგრეთვე, შუასაუკუნეების რუსულ საგმირო ეპოსს „იგორის ლაშქრობის ამბავს“<sup>19</sup>...

---

<sup>19</sup> Л. Алешина, დასახ. ნაშრ., გვ. 65 შმდ; И. Беркович, დასახ. ნაშ., გვ. 10; ბ. გორდენიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 31; იხ. აგრეთვე, И. Беркович, Михай Зичи и русское искусство, Acta historiae artium, t. II, 3—4, Budapest, 1955; И. Беркович, Иллюстрации М. Зичи к «Слову о полку Игореве», Труды отдела древнерусской литературы (Пушкинский дом), XIV, М.-Л., 1958, гв. 576-580.

1869 წელს პეტერბურგში მოეწყო ზიჩის პირველი პერსონალური გამოფენა, რომელზედაც გამოტანილი იყო მისი ნამუშევრის ასამდე ნამუშევარი. გამოფენას ფართო გამოხმაურება ჰქონდა პრესაში.

1871 წელს ზიჩიმ იმოგზაურა ევროპაში, იყო უნგრეთში (ზალა, ბუდაპეშტი), გერმანიაში (ბერლინი, მიუნხენი, დიუსელდორფი), ბელგიაში, საფრანგეთში (პარიზი), შოტლანდიაში. რუსეთში დაბრუნებული მხატვარი კვლავ აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ქვეყნის ახალ კულტურულ-ლიტერატურულ წამოწყებებში, თითქოს ყველაფერი კარგად აეწყო, მაგრამ უცებ «В 1874 году налаженный жизненный путь Зичи резко изменился. Александр II повелел: «... причисленного к Эрмитажу живописца Его Величества академика Зичи, согласно его прошению, уволить от означенной должности с 1-го января 1874 года»<sup>20</sup>. ზიჩის დათხოვნის ნამდვილი მიზეზი კარგად არაა ცნობილი. სასახლის ინტრიგებს გარდა, ამის საბაბს ლ. ალიოშინა სამართლიანად ხედავს იმაშიც, რომ «Возможно, активная связь Зичи с передовыми русскими художниками также повлияла на охлаждение двора» (იქვე, გვ. 76).

1874 წლის ზაფხულში მ. ზიჩი პეტერბურგიდან სამშობლოში გაემგზავრა, სადაც ცოტა ხნით დარჩა, შემოდგომაზე მეორეჯერ იმოგზაურა შოტლანდიაში, ხოლო 1875-80 წლებში ძირითადად პარიზში ცხოვრობს. აქ იგი აქტიურ შემოქმედებით მუშაობას ეწევა. პარიზის სახელოსნოში მასთან ერთად

<sup>20</sup> Л. А л е ш и н а, დასახ. ნაშრ., გვ. 76.



მუშაობს მისი მოწაფე მხატვარი ქალი მარი ეტლინგერი, რომელიც შემდეგში დ. ერისთავზე გათხოვდა და ერთხანს (80-იანი წლების მიწურულში) საქართველოში ცხოვრობდა. აქ, ქმრის საგვარეულო მამულში, იკორთაში, მან ქართული თემატიკის ამსახველი რამდენიმე საინტერესო სურათი შექმნა (ამის შესახებ ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი). შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად ზიჩი არ ივიწყებს სამშობლოს ბედს, უცხოეთში გადახვეწილ თავის თანამემამულეებს. 1875-80 წლებში ზიჩი იყო პარიზში უნგრელთა ურთიერთდახმარების საზოგადოების თავმჯდომარე. იგი გატაცებით მუშაობს შანდორ პეტეფის ლექსების ილუსტრაციებზე. მას არც პარიზში ჩასული რუსი მეგობარი მხატვრები ავიწყდება, ყოველნაირად ზრუნავს მათზე...

1878 წლის გაზაფხულზე ვენაში ეწყობა მ. ზიჩის ნამუშევართა გამოფენა. ავადმყოფი მხატვარი 1879-1880 წლების ზამთარს ნიცაში ატარებს. მას გული ისევ რუსეთისაკენ მოუწევს...

და აი, 1879 წელს ცნობილმა რუსმა გამომცემელმა ი. ი. გლაზუნოვმა გადაწყვიტა მ. ლერმონტოვის „დემონის“ მდიდრულად (Edition de luxe) გამოცემა (სხვათა შორის, ლერმონტოვის თხზულებათა გამოცემის უფლება ი. გლაზუნოვის ფირმას ეკუთვნოდა!). „დემონის“ ზიჩისეულმა ადრინდელმა ილუსტრაციებმა ი. გლაზუნოვს აფიქრებინა ახალი მდიდრული გამოცემის დასურათება სწორედ ზიჩისთვის მიენდო. მ. ზიჩიმ სიხარულით მიიღო ეს წინადადება. ლ. ალიოშინას ცნობით, «Инициатором возникших переговоров был, по-видимому, известный литературовед и научный редактор гла-

зуновских изданий П. А. Ефремов. Зичი в то время жиჳ<sup>ს</sup>  
в Париже, и посредником между ним и петербурჯან<sup>ს</sup>  
выступил А. Э. Циммерман, видный военный деятель и  
любитель литературы» (დასახ. ნაშრ., გვ. 108). 1879 წლის  
შემოდგომაზე უკვე საბოლოოდ იქნა მიღწეული შეთანხმება  
გლაზუნოვსა და ზიჩის შორის ლერმონტოვის თხზულებათა,  
კერძოდ, „დემონის“ დასურათებაზე. დასახული ამოცანის სე-  
რიოზულობამ მხატვარს კავკასიაში წამოსვლა უკარნახა. მ. ზი-  
ჩი ტოვებს საფრანგეთს. ზამთარი, როგორც ვთქვით, ნიცაში  
გატარა, ხოლო 1880 წლის ზაფხული — მშობლიურ ზალაში.  
სამშობლოს მონატრებული მხატვარი აქ 9 თვეს დარჩა. 1881  
წლის იანვარში მ. ზიჩი უნგრეთიდან წამოვიდა, თებერვალში  
ვენაში მოაწყო გამოფენა, შემდეგ იყო ვენეციაში. 1881 წლის  
14 ივლისს მ. ზიჩი ვენეციიდან კავკასიაში გამოემგზავრა. მო-  
წინავე ქართველმა ინტელიგენციამ გულთბილად მიიღო სა-  
ხელგანთქმული მხატვარი.

1881 წლის შემოდგომიდან მოყოლებული თითქმის ერთი  
წელი ზიჩიმ კავკასიაში გაატარა. მან აქ შექმნა „დემონის“  
ახალი ილუსტრაციების სერია, ამას გარდა, „ჩვენი დროის გმი-  
რისა“ და „თავადის ქალი მერის“ რამდენიმე ეპიზოდის დასუ-  
რათებაც მოასწრო, პიატიგორსკსა და კისლოვოდსკში ჩაიხა-  
ტა ლერმონტოვისეული ადგილები...

„დემონის“ ილუსტრაციებზე თბილისში ზიჩის მუშაობის  
შესახებ საინტერესო ცნობების შემცველია 1881 წელს ნიკო  
ჭავჭავაძისადმი მიწერილი გრიგოლ ორბელიანის ერთი წერი-  
ლი: „მოვიდა გამოჩენილი ევროპაში მხატვარი ზიჩი, რო-  
მელსაც ჰსურდა დაეხატა კარტინისათვის Демон ქართველი



კაცი და ქალი ძველებურის ტანისამოსით, და ვერავენ ვიზონ  
 ვეთ! ღმერთმა უშველოს ტასო ოგლობჯიოს (ორბეჭდისწი  
 ასულს, გ. შ.), ამან მიჰსცა თავის საქორწილო ტანისამოსი ყამ-  
 ჩითა, ჯილითა, ქინძისთავებითა და ძველებურის ნივთებითა და  
 ამით დიდათ გაახარა ზ ი ჩ ი“<sup>21</sup>. რაც შეეხება თბილისსა და ქუ-  
 თაისში ზიჩის მიერ დადგმულ ვეფხისტყაოსნის ცოცხალ სუ-  
 რათებს თუ პოემის ილუსტრირების პირველ ჩანაფიქრს, ამაზე  
 ქვემოთ ცალკე ვისაუბრებთ.

1882 წლის შემოდგომაზე ზიჩი პეტერბურგში ჩავიდა, სადაც აგრძელებს ლერმონტოვის ციკლზე მუშაობას, მაგრამ მოულოდნელად ი. გლაზუნოვმა სიტყვა გატეხა და წინასწარი გარიგება ჩაშალა: მან უარი თქვა ზიჩის ილუსტრაციების შექმნასა და გამოქვეყნებაზე, რაც მხატვრისთვის მძიმე მორალური ტრავმა იყო. გენიალური რუსი პოეტის თაყვანისმცემელმა ხელოვანმა თავისი ნამუშევრები ახლად დაარსებულ ლერმონტოვის მუზეუმს უსახსოვრა (Л. Алешина, დასახ. ნაშრ., გვ. 127)<sup>22</sup>.

მართალია, „დემონის“ დასურათებისათვის კავკასიაში ჩამოსვლამ როგორც მორალურად, ისე მატერიალურად ზიჩის იმედები გაუცრუა, მაგრამ სამაგიეროდ სწორედ ამ დროს სა-

<sup>21</sup> ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, თხზულებანი, III, თბ., 1963, გვ. 142; ნ. გ ვ ა თ უ ა, ჩაცმულობის ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 93.

<sup>22</sup> საქართველოში „დემონის“ ზიჩისეული ილუსტრაციების დიდ პოპულარობას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ქართველ ოსტატებს მაშინ ამოუქარავათ ამ სერიის რამდენიმე სურათი (დაცულია თბილისში, ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში).

ქართველოში ყოფნისას წამოიწყო მან „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებზე მუშაობა, რამაც მხატვრის სახელი სამუდამოდ უკვდავყო ქართული კულტურის ისტორიაში: «Поездка на Кавказ,—წერს ლ. ალიოშინა, — послужила отправной точкой к созданию еще одного большого иллюстрационного цикла Зичи... Мир образов Руставели оказался очень близок творческой индивидуальности Зичи» (დას. ნაშრ., გვ. 130).

\* \* \*

1883 წლის გაზაფხულზე მ. ზიჩის კვლავ იწვევენ საიმპერატორო კარის მხატვრად. ამჯერად ეს მიწვევა საბოლოო აღმოჩნდა: იგი უკვე სიკვდილამდე (1906) დარჩა ამ თანამდებობაზე. რუსეთი იქცა მ. ზიჩის მეორე სამშობლოდ, თუმცა იგი არ წყვეტს ცოცხალ კავშირს მშობლიურ უნგრეთთან, ყოველნაირად ცდილობს ეროვნული კულტურის წინსვლას მოახმაროს უკანასკნელი ძალ-ღონე. ამისი ნათელი დადასტურებაა მადაჩის, არანის, იოკაის, გარაის შემოქმედების ამდროინდელი ზიჩისეული ილუსტრაციები; მოხუცი და ავადმყოფი მხატვრის ფიქრი და გონება კვლავ პეტეფის დასტრიალებს: სამშობლოს თავისუფლებისათვის თავგანწირული პოეტის შემოქმედების ახლებური გააზრების შედეგად შეიქმნა მ. ზიჩის „დიდი პოეტის აპოთეოზი“. ი. ბერკოვიჩის სამართლიანი შენიშვნით, «Работа над иллюстрациями к произведениям венгерских классиков в годы старости была для Зичи, живущего далеко в Петербурге, формой сердечной связи с отчизной» (დასახ. ნაშრ., გვ. 19). მისივე ცნობით, ამ დროს



მ. ზიჩისთან თურმე საკონსულტაციოდ დადიოდა მაქსიმ გიგინეიძის კი, რომელსაც სურდა რუსულად ეთარგმნა მადაჩის „აღმოსავლური ტრაგედია“, რომლის შესანიშნავი ილუსტრაციები თვითონ შექმნა პატრიოტმა მხატვარმა (იქვე).

რუსეთში რამდენიმეჯერ აღინიშნა მხატვრის დაბადებისა თუ შემოქმედებითი მოღვაწეობის საიუბილეო თარიღები, რამაც საქართველოშიაც ჰპოვა თავისი გამოხმაურება. 1887 წლის 12 სექტემბერს (№ 189) „ივერია“ ზიჩის შესახებ აუწყებდა თავის მკითხველებს: „დღეს ამ მხატვრის 40 წლის მოღვაწეობის იუბილეა“, ხოლო „ცნობის ფურცელი“ 1897 წლის 12 ოქტომბერს (№ 338) წერდა: „15 ოქტომბერს გამოჩენილ მხატვარ ზიჩის შეუსრულდა 70 წელიწადი. ბატონი ზიჩი სამხატვრო ხელოვნების აკადემიის საპატიო წევრად ირიცხება და საქართველოშიაც კარგად იცნობენ მას „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებით“. „ცნობის ფურცელს“ არც მ. ზიჩის დაბადების 75 წლისთავი გამოჰპარვია მხედველობიდან: „75 წელიწადი შეუსრულდა ცნობილ მხატვარს ზიჩის...“ (1902 წ. № 1947, გვ. 3).

1888 წლის გაზაფხულზე ბუდაპეშტში ეწყობა მ. ზიჩის ნამუშევართა გამოფენა, რომელზედაც სხვებთან ერთად წარმოდგენილი იყო „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები (ლ. ალიონინა, დასახ. ნაშრ., გვ. 182).

რუსეთის სამხატვრო აკადემიამ 1898 წლის 23 თებერვალს მ. ზიჩი თავის საპატიო წევრად აირჩია. მხატვარი ბოლომდე დარჩა მაღალი და პროგრესული ხელოვნებისათვის ბრძოლის ერთგული, თავისი სამშობლოს გულწრფელი პატრიოტი, რუსი და ქართველი ხალხების უანგარო მეგობარი. ი. ბერკოვიჩის





ქართული  
წიგნობა

სიტყვებით, «Михай Зичи всю жизнь боролся за свободу своей родины и демократические идеалы... Для него были слиты воедино борьба за свое отечество и борьба за счастье человечества» (დასახ. ნაშრ., გვ. 20).

1906 წლის 15 თებერვალს პეტერბურგში, 79 წლის ასაკში მიხაი ზიჩი გარდაიცვალა. მხატვრის გარდაცვალების ცნობამ დიდი მწუხარება გამოიწვია რუსეთსა და საქართველოში: «Нива» (1906, № 9, გვ. 143-144) წერდა: «В лице М. А. Зичи русский художественный мир лишился одного из самых важных своих представителей, русское искусство — одного из преданных и пламенных поборников, а все русское общество — редкой души человека, посвятившего своей второй родине лучшие годы своей жизни»<sup>23</sup>, ხოლო «Тифлисский листок» დასძენდა: «Небезызвестен Зичи и Кавказу. В 80-х годах он ставил в Тифлисе и Кутаисе живые картины из грузинской поэмы Руставели «Барсова кожа» и затем блестяще иллюстрировал названную поэму (Издание Картвелова)...»<sup>24</sup>

მხატვრის ცხედარი სამშობლოში გადაასვენეს, სადაც 18 მარტს ბუდაპეშტის საგამოფენო დარბაზში გამოსათხოვებლად მოსულმა თანამემამულეებმა უკანასკნელი პატივი სცეს თავიანთ ღირსეულ შვილს, დიდ ეროვნულ მხატვარს — მიხაი ზიჩის. მიხაი ზიჩი დაკრძალეს ბუდაპეშტში კერებემის სასა-

<sup>23</sup> Л. Алешина, დასახ. ნაშრ., გვ. 166, 181.

<sup>24</sup> Тифлисский листок, 1906, 24 февр., № 43; გ. ბ ე ყ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის შესანიშნავი მხატვარი, „თბილისი“, 1966, 28 მარტი.




Въ знакѣ моей симпатии и  
сердечной преданности грузинскому народу

Zwili

Петербургъ 10 марта 1889.



საქართველოს  
საქართველოს



მ. ზიბო



მ. შიჩი ვაჟიშვილით—მიკლოშით, ბუდაპეშტი, 1874 წ.



დიმიტრი კონას ძე ერისთავი და მისი მეუღლე — მ. ზიჩის  
მოწაფე მხატვარი ქალი მარი ეტლინგერი



მ. ზიჩი და მ. ეტლინგერი (ბუდაპეშტი, 1877 წ.)



ევგენი ზიჩის მიერ უნგრეთიდან დავით დიმიტრის ძე ციციშვილისთვის საჩუქრად ჩამოტანილი თეფში, რომელიც უკანასკნელად ინახებოდა ვახტანგ დავითის ძე ციციშვილის ოჯახში (თამარ ციციშვილის ცნობა)



მ. წიხი





ქართული  
ბიბლიოთეკა



მ. ზიჩი, ძმის ანტალ ზიჩის პორტრეტი



გრაფი ევგენი ზიჩი, (სურათი გადაღებულია თბილისში  
1895 წელს ერმაკოვის მიერ)





ეგგენი ზიჩი და მიხაი ზიჩი



გოდებსკი, მ. ზიჩის ბიუსტი (ვალა), 1870

14



15



ევგენი ზიჩი სოფელ ზვედურეთში ციციშვილებს შორის  
მიხაი ზიჩის ბინა პეტერბურგში



მ. ზიჩის მემორიალური დაფა მხატვრის სახლ-  
მუზეუმზე სოფელ ზალაში (უნგრეთი)



მ. შინის ძეგლი ბუღაბუღში, კერძების სასაფლაოზე  
ზიუსვი





მ. ზიჩის საგვარეულო გერბი



ფლაოზე. გაზეთი „ნეპსავა“ აღნიშნავდა: „მიხაი ზინდერის  
 თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მწიგნობარი,  
 რომლის სიკვდილმა მთელი კულტურული კაცობრიობა  
 მწუხარებითა და გლოვით აავსო“<sup>25</sup>.

---

<sup>25</sup> И. Беркович, დასახ. ნაშრ., გვ. 20; ბ. გორდეზიანი,  
 დასახ. ნაშრ., გვ. 36.

3. გურამ შარაძე

თ ა ვ ი III

მიხანი ზიჩი და „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება

1

მზადება „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემისათვის

1880 წლის 15 ნოემბერს, გაზეთ „დროებაში“ (№ 241) გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის ინიციატორთა — რ. ერისთავის, ი. გოგებაშვილის, ი. მეუნარგიას განზრახვა, პოემის ნაბეჭდი ტექსტის ხელნაწერებთან შეთანხმების საფუძველზე, ვეფხისტყაოსნის ახალი რედაქციის დადგენის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ისინი სთავაზობდნენ გრ. ორბელიანს, დ. ყიფიანს, გაბრიელ ეპისკოპოსს, ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ვ. ორბელიანს, გ. წერეთელს, ს. მესხს, პ. უმიკაშვილს, ნ. დადიანს, დ. ერისთავს. მონაწილეობა მიეღოთ „ვეფხისტყაოსნის“ ახალი რედაქციის მუშაობაში, ხოლო ქართველი საზოგადოებისაგან ითხოვდნენ, „ვისაც აქვს, დროებით გამოგზავნოს წერა-კითხვის გამავრცელებელ სა-

ზოგადობის კანცელარიაში (საცა უნდა მოხდეს „ვეფხისტყაოსნის“ რედაქცია) ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც შემდეგ შესწორებისა, დაუბრუნდება პატრონს უკლებლივ და ყოვლის მიზეზის გარეშე“.

მეორე დღესვე „დროების“ რედაქციამ მხარი დაუჭირა ამ მოწოდებას: „აღტაცებული მივეგებებით ჩვენ „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციის დაარსებას და სრული იმედი გვაქვს, რომ ყველა ქართველი, რომელსაც კი რითიმე დახმარება შეეძლება, ამ რედაქციას დაეხმარება, ხელს მოუწყობს იმას და ამნაირად მძიმე ტვირთს შეუმსუბუქებს. ეს საზოგადო საქმეა და საზოგადო საქმეში ყველა ვალდებულია დაეხმაროს იმას, ვისაც ამ გვარი საქმე უკისრნია“ („დროება“, 1880 წ. 16 ნომბერი, № 242).

მაგრამ, ეტყობა, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი წიგნი ქართველისთვის მეტისმეტად დიდი განძი უნდა ყოფილიყო, რომ მიუხედავად ასეთი მოწოდებისა, ახალი რედაქციის პირველი სხდომის განკარგულებაში, იმავე წლის 24 ნომბერს, მხოლოდ შვიდი თუ რვა ხელნაწერი აღმოჩენილა, დანარჩენის მფლობელები მას დროებით სათხოვნელადაც კი ვერ ელვოდნენ. პ. უმიკაშვილის წინადადებით, კომისიამ ჩათვალა რომ მის ხელთ არსებული ხელნაწერები ოდნავადაც არ იყო საკმარისი პოემის ტექსტზე მუშაობის დასაწყებად. ამიტომ სხდომის მონაწილეებმა მიზნად დაისახეს პოემის ახალი ნუსხების მოპოვება, რისთვისაც გამოიყენეს გრ. ორბელიანის ავტორიტეტი და დაგზავნეს მისი ხელმოწერით 1880 წლის 30 ნომბერს შედგენილი ბარათი, რომელიც შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა: „ღარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ შემდეგ შესწო-

რებისა, თქვენი წიგნი უნაკლოთ მოგერთმევით“. მართლაც 1881 წლის 6 თებერვალს მოწვეული მომდევნო სხდომის ტექსტის დამდგენი კომისიის განკარგულებაში უკვე პოემის 22 ძველი და საუკეთესო ხელნაწერი ნუსხები აღმოჩნდა. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ახალ რედაქციაზე მუშაობა ხელნაწერების გამოყენებით კომისიას 1882 წლის დასაწყისისთვის ძირითადად უკვე დაუშთავრებია<sup>1</sup>.

## 2

### მიხაი ზიჩის ჩამოსვლა და „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების დადგმა თბილისსა და ქუთაისში

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის ტექსტზე მუშაობა თითქმის დასასრულს უახლოვდებოდა, რომ 1881 წლის შემოდგომაზე თბილისს ეწვია მიხაი ზიჩი. ამის შესახებ პირველი ცნობა 1881 წლის 21 ოქტომბერს გამოქვეყნდა გაზეთ „დროებაში“ (№ 220): „ამ უამად ჩვენ ქალაქში იმყოფება... გამოჩენილი პირი — მხატვარი ზიჩი. ის მოსულა ჩვენში იმ განზ-

<sup>1</sup> „დროება“, 1882 წ., № 12; პოემის ტექსტზე კომისიის მუშაობის შესახებ „დროებაში“ 1881 წელს (№№ 31, 36, 42, 44, 51, 54, 57, 60, 63, 65, 68, 71, 86 და სხვ.) გამოქვეყნებული ი. მ. ე. უ. ნ. ა. რ. გ. ი. ა. ს. ანგარიშებს გარდა, იხ. სოლ. ც. ა. ი. შ. ვ. ი. ლ. ი, ზოგიერთი ცნობა „ვეფხისტყაოსნის“ მეორე რედაქციის მუშაობიდან, ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, თბ., 1937, № 11-12, გვ. 126; ს. ყ. უ. ბ. ა. ნ. ე. ი. შ. ვ. ი. ლ. ი, „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 88-115; აგრეთვე, გ. შ. ა. რ. ა. ქ. ე, „ვეფხისტყაოსნის“ წერეთლისეული ხელნაწერის ზოგიერთი საკითხისათვის, წიგნში: „არქეოგრაფიული ძიებანი“, თბ., 1973, გვ. 41 შმდ.



რახვით, რომ შეისწავლოს ჩვენი (ქართველების) ტიპები და დახატოს რუსის პოეტის ლერმონტოვის პოემის „დემონის“ სურათებისთვის; დახატოს აგრეთვე ზოგიერთი სურათები ბუნებისა, რომელნიც ამ პოემაში არიან მოხსენებული და აწერილი“ (გვ. 1).

აქვე მოთავსებულია ცნობა „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათის დადგმის შესახებ: „დღევანდელს ქართულ წარმოდგენაზე, სხვათა შორის, გამართული იქნება ერთი ცოცხალი სურათი „ვეფხისტყაოსნიდამ“ — ის სურათი, როდესაც ასმათი კოშკში მოიყვანს ტარიელს ნესტან-დარეჯანთან“ („დროება“, 1881, 21 ოქტ. № 220).

ამ ცნობის მიხედვით ბ. გორდეზიანი ვარაუდობს, რომ „ზიჩი ოქტომბერზე ადრე ყოფილა ჩამოსული საქართველოში, თორემ ის როგორ მოასწრებდა ცოცხალი სურათის გამართვას. მეორე, ზიჩისათვის რუსთაველი უცნობი არ ყოფილა, მას რუსთაველის დასურათების აზრი თბილისში ჩამოსვლის შემდეგ კი არ დაბადებია, არამედ შესაძლოა ჯერ კიდევ საზღვარგარეთ ყოფნისას ჩაუფიქრია იქ ვ. ჰიუგოსთან და თ. გოტიესთან საქართველოზე საუბრების შედეგად. ფრიად საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის ერთ-ერთი ინიციატორი იონა მეუნარგია იმავე წლებში იმყოფებოდა საზღვარგარეთ და იქ მყოფ მოღვაწეებთან ერთად მომავლის გეგმებს ადგენდა. ყველაფერი ეს გვაძლევს საბაბს ვიფიქროთ, რომ ამ დროს ჩაენერგა ზიჩის რუსთავე-



ლისადმი სიყვარული და სურვილი — ენახა ის ქვეყნისა და ხალხი, რომელმაც რუსთაველი წარმოშვა“<sup>2</sup>.

ამ შეხედულებას არ იზიარებს სარგის ცაიშვილი: „ჭიუგოსა და გოტიესაგან ზიჩი, რასაკვირველია, ვერავითარ შთაგონებას ვერ მიიღებდა, რადგანაც ცნობილია, რომ მაგალითად ჭიუგოს ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ქართულ პოეტურ კულტურაზე (იხ. ზუგდიდის მუზეუმის შრომები, ტ. 1, გვ. 134). ხოლო დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ პარიზში მყოფი იონა მეუნარგია არ იცნობდა ზიჩს, თორემ იგი თავის დღიურებში, რომლებშიც აღნუსხული აქვს ამ დროს თიბქმის ყოველი წვრილმანიც კი, უეჭველად მოიხსენიებდა ზიჩისთან შეხვედრას. ბ. გორდეზიანს მისი ჰიპოთეზის სასარგებლოდ მოაქვს 1881 წლის გაზეთ „დროების“ ცნობა ზიჩის ჩამოსვლის შესახებ. ცნობიდან კი სწორედ საწინააღმდეგო ირკვევა. აქ პირდაპირ არის აღნიშნული (ახალ ამბებში), რომ ზიჩი საქართველოში ჩამოვიდა გარკვეული განზრახვით, რათა შეესწავლა ლერმონტოვის „დემონში“ აღწერილი ქართული გარემო და შეერჩია ტიპაჟი. ამავე ახალ ამბებში სრულიად დამოუკიდებლად, ცალკე ცნობად არის აღნიშნული, რომ ქართული წარმოდგენის ერთ-ერთ დამატებად ნაჩვენები იქნება ცოცხალი სურათები „ვეფხისტყაოსნიდან“, ეჭვიც არ უნდა შეგვეპაროს, რომ გაზეთი „დროება“, რომლის თანამშრომლები იყვნენ ერთ-ერთი ინიციატორნი „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის მომზადებისა, იქვე აღნიშნავდა, რომ ეს ცოცხალი სურათი ზიჩისათვის არის განკუთვნილი და ა. შ. ფაქტია,

<sup>2</sup> ბ. გორდეზიანი, ზიჩი საქართველოში, თბ., 1966, გვ. 41.

რომ ამ დროს „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრირებისათვის ზიჩის მოწვევა ჯერ კიდევ განზრახულიც კი არ იყო. ზიჩი საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ქართველ მოწინავე მოღვაწეთა შთაგონებით ჰკიდებს ხელს ამ დიდ საქმეს<sup>3</sup>.

მართლაც, როგორც უკვე შენიშნეს, „დროება“ პირდაპირ წერდა, რომ ზიჩი ჩვენში მოსულია იმ განზრახვით, რომ „დემონის“ სურათები დახატოსო. ზიჩის რომ თავიდანვე „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება ჰქონოდა განზრახული, ვფიქრობთ, იგი „დროების“ მკითხველს ამას არ დაუმალავდა, პირიქით, თავისი ჩამოსვლის მიზეზად პირველ რიგში სწორედ მას დასახელებდა. მეორეც, „დროებაში“ მაშინ დაბეჭდილი ცნობა ქართულ წარმოდგენაზე „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათის („ასმათი კოშკში მოიყვანს ტარიელს ნესტან-დარეჯანთან“) დადგმის შესახებ არ უნდა გულისხმობდეს ზიჩის დადგმას და აი რატომ:

„დროების“ 1882 წლის 19 იანვრის ნომერში (№ 12) ვკითხულობთ: „Кавказ“-ის „სიტყვით, კ-ნა ბარათოვის თაოსნობით, საზაფხულო თეატრში დადგმული იქნება ცოცხალი სურათები „ვეფხისტყაოსნიდანამაო“. ამ სურათების დადგმა გამოჩენილმა მხატვარმა ზიჩიმ იკისრაო... ჩვენ გვაკვირვებს — რატომ ჩვენი ქართული თეატრის მოთავეებმა არ მოიპატიჟეს მხატვარი ზიჩი ცოცხალ სურათების დასადგმელად და რატომ ამ სურათებთან ერთად ქართული წარ-

---

<sup>3</sup> ს ა რ გ ი ს ც ა ი შ ვ ი ლ ი, მიხაი ზიჩი საქართველოში, „ცისკარი“, 1961, № 2, გვ. 138; გადაბეჭდილია წიგნში: ლიტერატურული წერილები, თბ. 1966, გვ. 171.



მოდგენა არ იმართებაო. როგორც ადრე გავიგონეთ, ბატონ ზიჩის სურვილი გამოეცხადებინა — თუ კარგად მოხერხდებოდა, მიჩვენებენ, რომელიც თავისი მხატვრობისათვის უჭირებდა (იგულისხმება „დემონის“ ილუსტრაციები, გ. შ.), ცოცხალ სურათებს დაუდგამ ქართულ თეატრის დასსაო“.

როგორც ვხედავთ, „დროება“ საყვედურობს ქართული თეატრის მოთავეებს, ქართულ წარმოდგენაზე რატომ ზიჩი არ მიიწვიეს „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების დასადგმელადო. „დროებაში“ ადრე გამოქვეყნებული ცნობა ქართულ წარმოდგენაზე 1881 წლის 21 ოქტომბერს „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ცოცხალი სურათის („ასმათი კომკში მოიყვანს ტარიელს ნესტან-დარეჯანთან“) დამდგმელად ზიჩის რომ გულისხმობდეს, ცხადია, გაზეთი ასეთ საყვედურს აღარ გამოთქვამდა ქართული თეატრის მესვეურთა მისამართით.

მაშასადამე, „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათები საქართველოში ზიჩის ჩამოსვლამდეც იმართებოდა. „ეს არ იყო ახალი საქმე. ამდაგვარი სურათებით, რომელთაც „აპოთეოზი“ ერქვა, ხშირად მთავრდებოდა ესა თუ ის თეატრალური დადგმა“ (ბ. გორდეზიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 42).

„დროებაში“ 1881 წლის 21 ოქტომბერს გამოქვეყნებული ცნობაც სწორედ ამას გულისხმობს<sup>4</sup>.

მაშ, როდის დადგა მ. ზიჩიმ თბილისში პირველად „ვეფხის-

---

<sup>4</sup> შდრ. ბ. გორდეზიანის სიტყვებს: „ზიჩის მოსვლამდე, საერთოდ, იდგმებოდა თუ არა „ცოცხალი სურათები“, ჩვენ არ ვიცით, ამის შესახებ გაზეთებში ვერ მივაკვლიეთ რაიმე ცნობას“ (გვ. 42); შდრ. მ. ქვლევიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 61.

ტყაოსნის“ ცოცხალი სურათები? ამის შესახებ ცნობას  
წვდის გაზეთი „კავკაზი“: «Тифлисский театр. В субботу  
6-го февраля 1882 года с благотворительной целью, поставлены будут живые картины из поэмы Барсова кожа, художником Е. И. В. г. Зичи. Билеты заблаговременно можно получать у княгини Варвары Георгиевны Баратовой, Н. И. и Е. И. Оклобжио, в день-же спектакля в кассе театра.

В живых картинах, ставимых сегодня вечером, художником Зичи будут представлены следующие места из Барсовой кожи:

I. Коронование Тинатины отцем ея, царем Аравии Ростеваном.

II. Обед у царя Парсадана.

III. Нестан-Дареджан у себя в комнате. Асмат вводит Тариеля.

IV. Тетка Нестан-Дареджан, Давара, передает племянницу (Нестан-Дареджан) неграм и приказывает им бросить ее в море.

V. Охота и обнаружение Тариеля (человека в барсовой коже).

VI. Знакомство Автандила с Тариелем у пещеры; при этом находится Асмат.

VII. Спасенная Нестан-Дареджан людьми Фатмани у купчихи.

VIII. Представление Нестан-Дареджани царю Гудам-шарейскому Мелик-Сурхаву.

IX. Взятие крепости «Каджеты» и освобождение Нестан-Дареджани.

X. Свадьба Тариеля и Нестан-Дареджани у царя Мелик-Сурхава»<sup>5</sup>.

„კავკასის“ ამავე ნომერში ფელეტონის სახით დაბეჭდილია „ვეფხისტყაოსნის“ მოკლე შინაარსი და ნაწყვეტები პლ. იოსელიანის ცნობილი წერილიდან «Шота Руставели», რათა რუს თუ სხვა ეროვნების მაყურებელს გაადვილებოდა ცოცხალი სურათების გაგება. ფელეტონს ერთვოდა შენიშვნა: «Сегодня вечером в тифлисском театре знаменитый русский художники Зичи ставит живые картины из грузинской поэмы, «Барсова кожа», ხოლო „დროება“ წინა დღით, 1882 წლის 5 თებერვალს (№ 26) იტყობინებოდა: „როგორც ეტყობა, ბატონი ზიჩი დიდის ამბით აპირებს ამ შაბათს „ვეფხვის ტყაოსნიდან“ ცოცხალ სურათების დადგმას საზაფხულო თეატრში. სულ, როგორც გვაცნობებენ, ათი სურათი იქნებაო, რომელშიაც მომეტებული ნაწილი ქართველი არისტოკრატები და არისტოკრატკები იღებენ მონაწილეობასაო. ნამდვილი ვეფხვის ტყავი იქნებაო, ნამდვილი ხავერდისა და სხვა ძვირფასი ტანისამოსები; ხელოვნურად დახატული დეკო-

<sup>5</sup> Кавказ, 1882 г., 6 февраля, № 34. შდრ. : „1882 წელს ი ა ნ ვ ა რ-ში ი ცოცხალი სურათები „ვეფხისტყაოსნიდან“, იდგმება უკვე თვით ზიჩის ხელმძღვანელობით“, (მ. ქ ვ ლ ი ვ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 61).



რაციები. ასს კაცზე და ქალზე მეტი არიან მონაწილეები ქალთა ტანისამოსებში და დეკორაციებზე ას თუმანზე მეტი დაიხარჯაო. სურათების ბოლოს იქნება ქორწილი ლეკურით, რომელშიაც ჩვენი საუკეთესო მოლექურეები მიიღებენ მონაწილეობასაო. ამ დიდი ხარჯის ამოსაგებად ს ა მ ჯ ე რ აპირებენ ცოცხალი სურათების გამეორებას და მერე-კი, როგორც დიდის სიამოვნებით შევიტყეთ, მოთავთ ჩინებული განზრახვა აქვთ თურმე, რომ ყველა ტანისამოსი და დეკორაციები ქართულ დრამმატიულ დასს შესწირონ“.

მაშასადამე, „ვეფხისტყაოსნის“ ათი ცოცხალი სურათი თბილისში, საზაფხულო თეატრში მ. ზიჩის პირველად დაუდგამს 1882 წლის 6 თებერვალს ბარბარე გიორგის ასულ ბართაშვილის თაოსნობითა და ხელშეწყობით. ცოცხალ სურათებს დიდი წარმატება ჰქონია. აღფრთოვანებული ილია წინამძღვრიშვილი გაზეთ „დროებაში“ წერდა (1882 წლის 9 თებერვალი, № 27): „... ზიჩმა დიდი ღვაწლი დასდო თავის შრომით საქართველოს: იმან განახორციელა და სული ჩაუდგა იმ გმირებს, რომელნიც უკვდავმა შოთა რუსთველმა მშვენიერის ლექსით გამოხატა თავის უკვდავს „ვეფხისტყაოსანში“. რამდენიმე საათში ზიჩიმ დაგვანახვა ჩვენ სცენიდან ცოცხლად რუსთველის გმირნი და გადმოგვცა მთელი შინაარსი „ვეფხისტყაოსნისა“. ამ შემთხვევაში მიიღეს მონაწილეობა ჩვენმა ქართველ ქალებმა, იმ ქალებმა, რომელნიც არიან ჩვენში გამოჩენილნი თავის სილამაზით, ნაზობით და სახის-მეტყველებით. ამათ თავის თვისებით და ჩაცმა-დახურვით წარმოგვიდგინეს ის ძველი ქართველი ქალები, რომელნიც სცხოვრობდნენ მეთორმეტე საუკუნეში რუსთველის დროს.

ნეტარება იყო ის ათი ცოცხალი სურათი, რომელიც ჩვენს ვნახეთ 6-ს ამა თებერვალს. ბევრი სურათები გვინახვს და ვნახე, მაგრამ ამ სურათებს არა შეედრება-რა. ეტყობოდა, რომ აქ მოქმედი პირი პოეტი-მეცნიერი კაცი იყო. თუმცა ამ პოეტმა-მხატვარმა ზიჩიმ ქართული არ იცის, მაგრამ საქართველოს მდიდარმა ბუნებამ შთააგონა, გააგებინა იმას დიდებულ რუსთველის აზრი და მით წარმოუდგინა იმის გრძნობას გმირნი „ვეფხისტყაოსნისა“. ზიჩიმ გააცოცხლა ჩვენი მკვდარი ქართველნი.

...ურიგო არ იქნება, რომ ეს ამისთანა შრომა ბ. ზიჩისა ჩვენ, ქართველებმა, გარდა თანაგრძნობის გამოცხადებისა, დავაგვირგვინოთ რაიმე ნივთის მირთმევით, რასაკვირველია, ძველის დროის ნივთითა, რომ სახსოვრად ჰქონდეს რუსთველის შეილებსაგან“<sup>6</sup>.

აი, როგორ აღწერს თვითონ მხატვარი უფროსი ძმის ანტალ ზიჩისადმი ამ დროს თბილისიდან გაგზავნილ წერილში „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების დადგმით მიღებულ პირველ შთაბეჭდილებებს:

„... გარდასული ასაკის მიუხედავად მაინც თვალში საცემი სილამაზის მქონე თავადის ქალმა ბ ა რ ა თ ო ვ ა მ მთხოვა, ქველმოქმედების მიზნით, დამედგა ცოცხალი სურათები უძველესი ქართული უნიკალური თხზულებიდან „ვეფხისტყაოსნიდან“. ცოცხალი სურათების წარმოდგენაში მონაწილე პირები უმთავრესად თავადები და თავადის ქალები იყვნენ, მოკ-

<sup>6</sup> ი. შ., განხორციელებული გმირნი შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნისა“, „დროება“, 1882, 9 თებ., № 27; იხ. აგრეთვე, «Кавказ», 1882, № 36.



ლედ, მთელი არისტოკრატია! მათი უშუალო დახმარებით თეატრში დავდგი კიდევ ცოცხალი სურათები, ერთი სიტყვით, რეპეტიციების გარეშე. ნაშუადღევს, პირველ საათზე დავიწყეთ რეპეტიცია. მოქმედი პირები თეატრში დარჩნენ, იქ სვამდნენ და ჭამდნენ, რვა საათზე კი დავიწყეთ წარმოდგენა. ნაშუადღევს ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ თითქმის ყველა ძარღვები მიკანკალებდა. წარმოდგენამ წარმატებით ჩაიარა. ძალიან რთული ამოცანის წინაშე ვიდექი. უკანასკნელ სურათში 105 კაცი მონაწილეობდა, დანარჩენებში კი-30-40 პირზე მეტი! ყოველივე ეს პატარა ჩაგრული ერის დემონსტრაციას წარმოადგენდა. თეატრი მაყურებლით იყო გაჭედილი, მათ აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა. ცალკეულ სურათებს შორის იმდენჯერ გამომიძახეს სცენაზე, თვითონაც აღარ მახსოვს. საკუთარმა გამოცდილებამ დამარწმუნა, რა სასიამოვნო ყოფილა, როცა მაყურებელი ტაშით სცენაზე გიხმობს. სამადლობელ რევერანსებს ათასგვარი მიხვრა-მოხვრით ვალამაზებდი. ჩემი ბუნებრივი, თანდაყოლილი, სამსონის ინსტიტუტში დახვეწილი მანერების წყალობით ლოყებიდან სცენამდე ყველა ქალს მდუმარედ, თავდაჭერილად ვესიტყვებოდი... უკანასკნელი სურათის შემდეგ იმდენჯერ გამიყვანეს სცენაზე, რომ სათვალავი არ ჰქონდა. მაყურებელთა ტაშის ხმა არ წყდებოდა, ხელი ჩამკიდეს, სცენიდან აღარ გამიშვეს, იმდენი მატრიალეს, რომ თავბრუ დამეხვა. თურმე ადამიანი ასეთ უხერხულობაში ყოფნასაც ეჩვევა. თავადებისაგან დამფრთხალი ვიმედოვნებდი თავად ქალებთან გავმძრალიყავი, მაგრამ აქაც მომნახეს და ისევ მაყურებლის წინაშე გამომიყვანეს, რომელიც გამმაგებით უკრავდა ტაშს და შეძახილებით აყრუ-

ებდა დარბაზს. რიგ-რიგობით საჯაროდ დავეუკოცნე ხელში ჩემთან ახლო მდგომ მშვენიერ თავადის ქალებს, უკლებლად დავეკოცნიდი ყველას, რევერანსებისთვის დრო რომ არ დამეკარგა. ჩასაფრებული ხალხი თეატრის შესასვლელთან მელოდებოდა. ისინი, ალბათ, ხელში ამიყვანდნენ და ისე წამიყვანდნენ სახლში, ქურდებისთვის კარგად ცნობილი ხერხი რომ არ მესმარა და მე თვითონ არ დამეწყო სხვებივით „ბრავო ზიჩის“ ძახილი. მარის\* მკლავში ხელი გავუყარე, თეატრის შესასვლელთან ქუჩა გადავკვეთე და სიბნელეში გავუჩინარდი. ხვალ, კვირას, წარმოდგენას გავიმეორებთ (ალბათ, ეს წარმოდგენა რეპერტუარს სამუდამოდ შერჩება)... თავადის ქალმა ბარათოვამ, რომელმაც ითავა ამ ცოცხალი სურათების დადგმა, წარწერით ძვირფასი ფოლადის ხმალი მაჩუქა, ვერცხლის ქარქაშით — ლეკური ნახელავი. თუკი ვინმე მათ (ქართველებს) სამსახურს გაუწევს, ისინი ყოველთვის მზად არიან გადაუხადონ მას ეს სამსახური, რითაც კი ძალა შესწევთ; თანაც, ამას აკეთებენ უნაზესი მეგობრულ გრძნობით. მოკლედ, ძალთან კარგი ხალხია [ქართველები]... ქუთაისშიც მელოდებიან „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების დასადგმელად. იქაც ხომ მშვენიერი ხალხია, განსაკუთრებებით ლამაზები არიან იქ მცხოვრები ქალები...“<sup>7</sup>

\* იგულისხმე: მარი ეტლინგერი, ცნობილი მხატვარი ქალი, მიხაი ზიჩის მოწაფე, დ. ერისთავის მომავალი მეუღლე. აქედან ჩანს, რომ მარი ეტლინგერი საქართველოში პირველად მიხაი ზიჩისთან ერთად ჩამოსულა ჯერ კიდევ 1881 წელს. იხ. აგრეთვე Л. А л е ш и н а, დასახ. ნაშრ., გვ. 175.

<sup>7</sup> ქურნ. «a Ház, IV évf., 1911, გვ. 1-36; ზიჩის წერილის თარგმანი მომპოდა ჯ. გაგანიძემ, რისთვისაც დიდად ვმადლობ.

სხვათა შორის, უნგრეთში, მიხაი ზიჩის სახლ-მუზეუმში (სოფ. ზალა) დაცულია „რუსთაველის შვილებისაგან“ მხატვრისათვის „მირთმეული ძველი დროის რამდენიმე რომელითა შესახებ 1973 წელს ვწერდით: „მხატვრის ნაქონ ნივთებს შორის აღმოჩნდა ორი ქართული ვერცხლის სასმისი — კულა და ჭინჭილა, შემკული ორნამენტებითა და სხვადასხვა გამოსახულებებით. ერთ მათგანზე თარიღიც ამოვიკითხეთ: „1779“. აქვეა ერთი ქართული ხალიჩაც. ამ მონაპოვარმა ძლიერ გაგვახარა: მაშასადამე, გადარჩენილა და შორეულ ზალაში ჩაუღწევია მიხაი ზიჩის მიერ საქართველოდან წამოღებულ ნივთებს“<sup>8</sup>.

როგორც ვთქვით, „დროების“ ცნობით, „ამ დიდი ხარჯის ამოსაგებად სამჯერ აპირებდნენ ცოცხალი სურათების გამეორებას“. მართლაც, „ამ კვირას, 21 თებერვალს, საზაფხულო თეატრში ხელმეორედ იქნება დადგმული ცოცხალი სურათები ვეფხისტყაოსნიდან“ — წერდა „დროება“, ოღონდ დამატებით, „იმ 10 სურათის გარდა, მე-11 სურათიც იქნებაო, რომელიც წარმოადგენს ტახტზე დაბრძანებულს თამარ დედოფალს, გარშემო ამალით, წინ ცალ მუხლ-მოდრეკილი დგას შოთა რუსთაველი და მთავრად თავის უკვდავ ქმნილების „ვეფხისტყაოსნის“ ხელ-ნაწერს. ამ სურათებსაც, როგორც პირველად, დადგამს მხატვარი ზიჩი, და იმედია, ისეთისავე ხე-

---

<sup>8</sup> გ. შარაძე, სამეცნიერო ექსპედიცია უნგრეთში, წიგნში: „არქეოგრაფიული ძიებანი“, თბ., 1973, გვ. 161; იხ. აგრეთვე გ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 183.





ლოვნებითა და დიდებულებით დადგამს, როგორც <sup>პარკინსონი</sup> <sup>ცეკლინი</sup> ლად<sup>9</sup>.

1882 წლის 21 თებერვალს თბილისში „ვეფხისტყაოსნის“ ზიჩისეული ცოცხალი სურათების მეორე დადგმასაც (ამჯერად უკვე 11 სურათის) დიდი წარმატება ჰქონია: „წარსულს კვირას კიდევ გაიმართა ეს სურათები და კიდევ ერთხელ აავსო გული წარსული ნეტარების მოგონებით, იმ დროს მოგონებით, როდესაც იყო თამარ მეფე და მისი მშვენი ქვეშევრდომი რუსთაველ დიდებული“ — პატრიოტულ აღტკინებას ვერ მალავდა „დროება“<sup>10</sup>.

„ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების დადგმით ამ დროს საქართველოში გამოწვეულ პატრიოტულ, საზეიმო განწყობილებას შესანიშნავად გვამცნობს უკანასკნელ ხანს გამოქვეყნებული მ. ზიჩის ერთი წერილი, რომელშიაც მხატვარი თბილისიდან იწერებოდა: «Будет небольшая грузинская демонстрация под носом Каткова и компании»<sup>11</sup>. როგორც ჩანს, ზიჩის ცოცხალი სურათების დადგმა მალამოდ დაედო შავრაზმელი კატკოვის ცინიკური გამოხდომით აღშფოთებულ ქართველ ხალხს, მის შეურაცხყოფილ ეროვნულ გრძნობებს, რაც ასე ბრწყინვალედ გამოხატა მაშინ ილია ჭავჭავაძემ თავის განთქმულ წერილში „კატკოვის პასუხად“<sup>12</sup>. სამართლიანად

<sup>9</sup> „დროება“, 1882, 18 თებერვ., № 35; იხ. აგრეთვე, Кавказ, 1882 г. 17 февр., № 44; 21 февр., № 48.

<sup>10</sup> „დროება“, 1882, 23 თებერვ., № 39.

<sup>11</sup> რუსული სახელმწ. მუზეუმის არქივი, ფ. 14, № 48. ზიჩის წერილი, იხ. Л. Алешина, დასახ. ნაშრ., გვ. 130, 178.

<sup>12</sup> „დროება“, 1882, № 40; ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1957, გვ. 7-13.



შენიშნავს ამის თაობაზე ლ. ალიოშინა: «Живые картины вызвали бурю восторга. Для нации, испытывавшей царский гнет, в эпоху шовинистических выступлений реакционера Каткова, подобное открытое прославление популярнейшего в грузинском народе поэта и его создания явилось одной из возможностей проявления патриотических чувств» (დასახ. ნაშრ., გვ. 130-132).

თბილისში წარმოდგენილ ცოცხალ სურათებში „თამარ დედოფალი წარმოგვიდგინა მ. იოსელიანის ქალმა და შოთა რუსთაველი — დ. ზ. სარაჯიშვილმა. ორივე ისე შევნიშნენ, ისე უხდებოდათ, ისე ლაზათიანი იყვნენ, რომ კაცის გული ნატრობდა ფარდის ჩამოშვების დაგვიანებას“ („დროება“, 1882, № 39). დანარჩენ როლებში გამოდიოდნენ „თინათინი — ს. ჩოლოყაშვილი, მეფე როსტევანი — რაფიელ ერისთავი, მეფე ფარსადანი — ვ. თარხნიშვილი, — ტარიელი — ბარათაშვილი, ნესტან-დარეჯანი — ნ. ოგლობჯიო (ორბელიანის ასული), ავთანდილი — აფხაზი“ (ბ. გორდეზიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 45), „დავარი — ა. მესხიშვილი, ფატმანი — ნ. ორბელიანისა, უსენი — ბებურიშვილი, გულანშაროს მეფე — კ. გაბაშვილის“ (ს. ყუბანეიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 113).

ზიჩისეული ცოცხალი სურათების ამბავმა პეტერბურგამდე მიადწია: „ჩვენ გვითხრეს, ვითომც თფილისში მოსულიყოს ტელეგრამა დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისა, რომ გარდაიღონ ყველა ცოცხალი სურათები ზიჩისაგან დადგმულის „ვეფხის-ტყაოსნის“ ტიპებისა და გაუგზავნონ დიდს მთა-

ვარს პეტერბურღში“ — წერდა „დროება“ (1882 წ., 19 თებერგ., № 36).



„ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების თბილისში გამიზნული მესამე დადგმა გაიმართა 17 მარტს: „დროების“ ცნობით, „ერთი ახალი პირი იყო მხოლოდ ამ საღამოს — ნესტანდარეჯანს დ-ისა არდგენდა და ჩინებულადაც წარმოგვიდგინა. თეატრი სავსე იყო ხალხით...“<sup>13</sup> აღფრთოვანებულ რეცენზიებთან ერთად პრესის ფურცლებზე იყო ზოგიერთი წინდაუხედავი, ზედმეტად კრიტიკული გამოსვლა ამ სურათებთან დაკავშირებით, მაგალითად, „ჩაჰყაპეს“ ფსევდონიმით<sup>14</sup> დაბეჭდილი ფელეტონი „დუდუკი“ („დროება“, 1882 წ., 28 თებერგ., № 43, გვ. 2-3), ან კიდევ, თბილისში გამომავალი იუმორისტული ჟურნალის „Гусли“-ს (რედაქტორი ივ. თხორევესკი) შეუფერებელი სიტყვები, რომელსაც მკაცრად გამოეხმაურა „დროება“: „სამწუხარო და სასაცილოა, როდესაც კაცი ისეთს რამეზედ დაიწყებს ყბედობას, რომლისაც არა გაეგება რა...“ („დროება“, 1882, 2 მარტი, № 44, გვ. 2).

1882 წლის მაისში ქუთაისშიც, რიონის პირზე, „საზოგადო საკრებულოს“ ეზოში საგანგებოდ აგებულ ფიცრულში დაიდგა „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათები ზიჩის მიერ. გაზეთი „შრომა“ იუწყებოდა: „შაბათს 8-ს (მაისს) და სამშაბათს 11 ამ თვისას თ-დი აკაკი წერეთელი წაიკითხავს ლექციებს

<sup>13</sup> „დროება“, 1882, 19 მარტი, № 38; იხ. აგრეთვე, „დროება“, 1882, 17 მარტი, № 56.

<sup>14</sup> აექსენტი ცაგარლის ფსევდონიმია. იხ. ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, II, თბ., 1952, გვ. 996.

„ვეფხვის-ტყაოსნის“ ტიპებისა და სურათების შესახებ და ეს  
მით უფრო სასიამოვნო არის, რომ ძალიან დაეხმარებოდნენ  
ვეფხვის-ტყაოსნიდან“ დადგმულის ცოცხალი სურათების გაგე-  
ზას“<sup>15</sup>.

ქუთაისში „ვეფხვისტყაოსნის“ ზიჩისეული ცოცხალი სურათების წარმოდგენის თაოსანი და მონაწილე იყო ნინო წერეთელი, გენერალ ბიძინა ჩოლოყაშვილის მეუღლე (1847-1922). ამას გარდა, ზიჩის ხელს უწყობდნენ თვითონ ბიძინა ჩოლოყაშვილი (1830-1902), მარო მაჩაბელი, მარიამ დადიანი, მაკა გურიელი, თათარხან დადეშქელიანი, აკაკი წერეთელი, მამია გურიელი, გიორგი შარვაშიძე, კირილე ლორთქიფანიძე...

ცოცხალი სურათები ქუთაისში ორჯერ დაიდგა<sup>16</sup>. მასში მონაწილეობდნენ სილამაზით და მოხდენილობით განთქმული ქართველი მანდილოსნები და ვაჟკაცები, ქართული ინტელი-

<sup>15</sup> „შრომა“, ქუთაისი, 1882, 5 მაისი, № 17, გვ. 2.

<sup>16</sup> ამის შესახებ იხ. მ. გორგიძე, ვეფხვისტყაოსნის ზიჩისეული ილუსტრაციების გმირთა პროტოტიპები, „საბჭოთა ხელოვნება“, 1959, № 9, გვ. 63-64; მ. გორგიძე, მ. ზიჩი — ილუსტრატორ «Витязя в тигровой шкуре», «Лит. Грузия», 1965, № 5, გვ. 91-94; ს. ბოლქვაძე, თ. ფერაძე, მიხაი ზიჩი და ცოცხალი სურათები „ვეფხვისტყაოსნიდან“, „საბჭ. ხელოვნება“, 1960, № 11, გვ. 37-46; რ. თულღანი, გამოჩენილი უნგრელი მხატვარი — „ვეფხვისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების დამდგმელი, „საბჭ. ხელოვნება“, 1972, № 4, გვ. 104-106; ბ. გორდეზიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 45; მ. ქვლივიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 62; შ. ადგიშვილი, „ვეფხვისტყაოსნის გასცენიურებანი, „საბჭოთა ხელოვნება“, 1966, № 10, გვ. 47-48; ს. ყუბანიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 112-115.

გენციის საუკეთესო წარმომადგენლები. „პოემის მიორთმევის“ ცნობილ სცენაში თამარ მეფეს ასახიერებდა ნინო წერეთელი-ჩოლოყაშვილისა, რომლის სიმშვენიერეს პოეტმა გიორგი შარვაშიძემ ლექსი უძღვნა<sup>17</sup>, შოთა რუსთველს კი — პოეტი მამია გურიელი, ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ გმირებიდან: ტარიელს — პოეტი გიორგი შარვაშიძე და თათარხან დადგმქელიანი, ნესტან-დარეჯანს — დესპინე ფალავა (მის გარდა, ერთ წარმოდგენაში ამ როლის კიდევ 5 შემსრულებელიც ჰყოლიათ), თინათინს — ნ. წერეთელი (იგივე გამოდიოდა ნესტანის როლშიაც), ფატმანს — მარიამ მირიანაშვილი-თუმანიშვილისა, როსტევან მეფეს — რუსეთ-თურქეთის ომის გმირი, გურიის ლაშქრის უფროსი ქაიხოსრო ქაჯაია. ამათ გარდა, ცოცხალ სურათებში მონაწილეობდნენ ჯაბა გურიელი, ანტონ წულუკიძე, დიმიტრი წერეთელი, მარო მაჩაბელი...<sup>18</sup>

---

<sup>17</sup> ო. ჭ უ რ ლ უ ლ ი ა, მიხაი ზიჩი და ქართული კულტურა, „საბჭოთა აფხაზეთი“, 1966, 11 მაისი.

<sup>18</sup> იხ. „დროება“, 1882, 5 ივნისი, № 115; აგრეთვე, მ. გ ო რ გ ი ძ ი ს, ს. ბ ო ლ ქ ვ ა ძ ი ს, თ. ფ ე რ ა ძ ი ს და სხვათა დასახელებული ნაშრომები; საქართველოს თეატრალურ მუზეუმში დაცულია ქუთაისში დადგმული „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების 6 ფოტოსურათი, რომელთაც რესპ. სახ. არტისტ-ს ი უ ზ ა ზ ა რ და ლ ი შ ვ ი ლ ი ს ხელით მიწერილი აქვს საინტერესო ცნობები შემსრულებელთა შესახებ, კერძოდ, თამარ მეფე და ნესტანი — ნ. წერეთელი-ჩოლოყაშვილისა, ტარიელი — გ. შარვაშიძე, რუსთაველი — მ. გურიელი; ამათ გარდა, მონაწილეობენ ანტონ წულუკიძე, შემდეგში ჭიათურის შავი ქვის მრეწველი, ხოლო პატარა ბიჭის როლში — დავით დადიანი.



ზიჩის მიერ დადგმულ ცოცხალ სურათებში „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა შემსრულებლებზე და უფრო ზუსტად პოემის ზიჩისეულ ილუსტრაციათა პროტოტიპებზე პირდაპირ ცნობებს გვაწვდის ერთი დოკუმენტი, რომელიც დაცულია პოემის ქართველიშვილისეული გამოცემის იმ ცალში, რომელიც ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეს ივანე ელიაშვილს (1864-1932) ეკუთვნოდა (ამჟამად ინახება აკად. ალ. ბარამიძის პირად ბიბლიოთეკაში). აღნიშნული ცნობები შეუგროვებია ამაგდარ მოღვაწეს გიორგი ერისთავს.

მოგვყავს ეს უნიკალური დოკუმენტი მთლიანად<sup>19</sup>, რომელიც შედგენილია თანმიმდევრულად „ვეფხისტყაოსნის“ 1883 წლის გამოცემაში ჩართული სურათებისათვის გვერდების ჩვენებით:

**„მხატვარ ზიჩის მიერ შესრულებულ „ვეფხისტყაოსანი“-ს ილუსტრაციების ინტერპრეტაცია**

პოემის პერსონაჟისთვის გამოყენებულ ნატურების ვინაობა:

- |          |         |   |
|----------|---------|---|
| სურათი   | პირველი | 1. თამარ მეფე . . . . . დარია ფალავასი (მეჭო ფალავას მეუღლე)            |
|          |         | 2. სეფე-ქალი (უკან მდგომი) . . . . . მაკა გურიელისა (პოეტის, მამიას და) |
| მარცხნივ |         | 3. სეფე-ქალი (შუაზე მდგომი) . . . . . ძაძუნია ფალავასი                  |
|          |         | 4. სეფე-ქალი (წინა, მჯდარი) . . . . . ელისაბედ აგიაშვილისა              |

<sup>19</sup> გავაცნო და გამოსაქვეყნებლად თავაზიანად დაგვითმო აკად. ალ. ბარამიძემ, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუცხადებთ.



5. კარის-კაცი (საგრილობელით ხელში) ქრისტეშვილი  
გიგლიძეთაძე  
ჯაბა ერისთავი

6. კარის-კაცი (ფაფანაყით) . . . ანტონ წულუ-  
კიძე

7. გურული ახალგაზრდა . . . მარო მაჩაბლისა

8. შოთა . . . . . მამია გურიელი ან  
სანდრო ლორთქიფანიძე (?)

(სანდრო ლორთქიფანიძის შოთასთვის ნა-  
ტურად გამოყენება საეჭვოა, რადგან იმ  
დროს ს. ლორთქიფანიძე იქნებოდა არა  
უმეტეს ოცი წლისა, რაც არ შეეფერება  
შოთას სურათს თამარის წინ).

9. ბავშვი, სურით ხელში . . . არჩილ ჯორჯაძე

პოემის პერსონაჟის გამოსახატავად ზიჩი ხშირად სარგებლობდა სხვადა-  
სხვა ნატურებით ერთი და იმავე გმირისათვის\*.

სურათი მეორე:

გვერდი 12-13

სურათი მესამე:

გვერდი 18—19

1. თინათინი . . . . . დარია ფალავასი

2. ავთანდილი . . . . . ვალერიან მიქელაძე

1. ტარიელი . . . . . იაკინთე ყიფიანი

2. ცხენი-არაბული

უნაგირი და რახტი . . . ნესტორ წერეთლის

საკუთრება

ტარიელი . . . . . იაკინთე ყიფიანი

სურათი მეოთხე:

გვერდი 20-21

სურათი მეხუთე:

გვერდი 44-45

სურათი მეშვიდე:

გვერდი 58-59

ავთანდილი . . . . . ვალერიან მიქელაძე

ტარიელი . . . . . თათარხან დაღეშკელიანი

ავთანდილი . . . . . ვალერიან მიქელაძე

ასმათი . . . . . კატო ნაკაშიძისა

\* დანარჩენ სურათებში პოემის პერსონაჟის მოდელებად ზიჩი სარგებ-  
ლობდა სხვადასხვა პირებით, შინაარსის მიხედვით.



სურათი მე-58:	გვერდი 58—59	ტარიელი . . . . .	იაკინთე ყიფიანი
სურათი მე-59:		ავთანდილი . . . . .	ვალერიან მიქელაძე
სურათი მე-60:		ასმათი . . . . .	კატო ნაკაშიძისა
გვერდი 72-73		ტარიელი . . . . .	სიმონ მიქელაძე (ძმა ვალერიანისა)
სურათი მე-61:		ინდოთ მეფე . . . . .	ქაიხოსრო ქაჯაია
გვერდი 100-101		ტარიელი . . . . .	თათარხან დაღეშველიანი (საკუთარი აბჯარ-მუზარადით)
სურათი მე-62:		მეფე . . . . .	ქაიხოსრო ქაჯაია
გვერდი 114-115		ტარიელი . . . . .	სიმონ მიქელაძე
სურათი მე-63:		ნესტანი . . . . .	ქეთო წერეთლისა
გვერდი 120-121		ასმათი . . . . .	კატო ნაკაშიძისა
სურათი მე-64:		ტარიელი . . . . .	იაკინთე ყიფიანი
გვერდი 126—127		დავარი . . . . .	ქეთო წერეთლისა
სურათი მე-65:		ნესტანი (ნავში) . . . . .	დესპინე ფალავასი
გვერდი 156-157		თინათინ . . . . .	მატრონა ქვაბიანის ასული
სურათი მე-66:		ქუთათელაძისა	
გვერდი 192-193		ავთანდილი . . . . .	ვალერიან მიქელაძე
სურათი მე-67:		(!): ავთანდილი . . . . .	ვალერიან მიქელაძე
გვერდი 212-213		ტარიელი . . . . .	იაკინთე ყიფიანი
სურათი მე-68:		ავთანდილი . . . . .	ვალერიან მიქელაძე
გვერდი 216—217		ავთანდილი . . . . .	ვალერიან მიქელაძე
სურათი მე-69:		ფატმანი . . . . .	მარიამ თუმანიშვილისა
გვერდი 246-247			





სურათი მეცხრამეტე:	ავთანდილი . . . . . ვალერიან მიქელაძე
გვერდი 250-251	
სურათი მეოცე:	ავთანდილი . . . . . ვალერიან მიქელაძე
გვერდი 252-253	ფატმანი . . . . . მარიამ თუმანიშვილისა
სურათი მეოცდაერთე:	ნესტანი . . . ვერა ბაქრაძის ასული ერისთავისა
გვერდი 254-255	ფატმანი . . . . . მარიამ თუმანიშვილისა
სურათი მეოცდაორე:	ნესტანი . . . ვერა ბაქრაძის ასული ერისთავისა
გვერდი 264-265	
სურათი მეოცდახუთე (გამოქვაბულში):	ტარიელი . . . . . იაკინთე ყიფიანი
გვერდი 306—307	ასმათ . . . . . კატო ნაკაშიძე
სურათი მეოცდაშვიდე	ტარიელი . . . . . იაკინთე ყიფიანი
(ქაჯეთის აღება):	ნესტანი . . . . . დესპინე ფალავასი

ცნობები ესე შეეფაროვე გიორგი ერისთავმა<sup>20</sup>.

აღნიშნული დოკუმენტი ავსებს აქამდე არსებულ ცნობებს ზიჩისეულ ილუსტრაციებში „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა პროტოტიპებზე, და რაც ყველაზე მეტად ფასეულია, უკვე ნათელი ეფინება იმ საკითხს, თუ რატომ არის, ვთქვათ, ტარიელი ან ნესტან-დარეჯანი ზიჩის სხვადასხვა ილუსტრაციაში გარეგნული შესახედაობით განსხვავებული: ირკვევა, რომ ტა-

<sup>20</sup> 3 ფ., ნაწერია ფანქრით, არის ცალკე ჩანაწერებიანი ფურცლებიც თითოეულ სურათთან, ოღონდ არ არის მე-6, 23-ე, 24-ე და 26-ე სურათების „ინტერპრეტაციები“.



რიელის პროტოტიპად მხატვარი იყენებდა იაკინთე ყიფიანს, თათარხან დაღეშქელიანს და სიმონ მიქელაძეს, ხოლო ნესტან და რეჯანისად კი — ქეთო წერეთელს, დესპინე ფალავას და ვერა ბაქრაძის ასულ ერისთავს.

„ვეფხისტყაოსნის“ ზიჩისეულ ილუსტრაციებში თამარ მეფისა და თინათინის პროტოტიპის — დარია ფალავას და ნესტანის პროტოტიპის — დესპინე ფალავას შესახებ, საინტერესო ცნობებს გვაწვდის ექიმი დავით ფალავა (სიმღერა „ციცინათელას“ ავტორი) პაპუნა წერეთლისადმი 1952 წლის 3 დეკემბერს გაგზავნილ წერილში: „გიგზავნი დესპინე ფალავას სურათს, დარია ფალავას სურათი არ მაქვს.“

დარია იყო ფალავას ქალი, მექი ფალავას ცოლი. მექი ფალავა — ქუთაისის საადგილმამულო ბანკის თავმჯდომარე, ვექილი.

დარია იზრდებოდა ძველებურათ ქალთა მონასტერში, კარგათ იცოდა ქართული ლიტერატურა ძველი და ახალი. ქონდა პოლემიკა გიორგი წერეთელთან სამეგრელოს საკითხის შესახებ „კიკოლიკა და ჩიკოლიკას“ გამოსვლასთან დაკავშირებით.

[დარია ფალავა] გარდაიცვალა შედარებით ახალგაზრდა 1899 წელს. იყო ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარეთ. მშვენიერი სიტყვით გამოვიდა გაბრიელ ეპისკოპოსის [ქიქოძის] გასვენებაზე. მგონია, ეს პირველი შემთხვევა იყო მაშინ ქართველი ქალის სიტყვით ასეთ დიდ საზოგადოების წინაშე გამოსვლა. გასვენების დღეს გადაიდგა ქართული წარმოდგენა, პროცესიის გავლისას დაიკეტა მალაზიები. აკა-



კი წერეთელმა მიუძღვნა მოწინავე წერილი და მოათავსა  
 ვრცელი წერილი ილია პონტოელისა დარიას შესახებ

დესპინე ფალავა იყო ნიკო ფალავას და, ბესარიონ ფალავას ქალიშვილი, დედა იყო ელენე ბაგრატიონი. გარდაიცვალა ახალგაზრდა<sup>21</sup>.

გახეთ „დროებაში“ 1882 წლის 24 ივნისს (№ 129-130) „მგზავრი ქალის“ ხელმოწერით გამოქვეყნებული ფელეტონის („ორი დღე ქუთაისში“) ავტორი ერთმანეთს ადარებდა თბილისსა და ქუთაისში წარმოდგენილ „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალ სურათებს და უპირატესობას ქუთაისისას აძლევდა. მაგალითად, პოეტ გიორგი შარვაშიძის მიერ განსახიერებული ტარიელის შესახებ მაშინ წერდნენ: „თ. გ. შარვაშიძე ტარიელის სურათად იმისთანა იყო, რომ მგონია თვით საფლავი-დამ ამდგარი შოთაც არ დაიწუნებდა მისს იერს და სახის მეტყველებას“ („დროება“, 1882, № 115). ამასვე გვიდასტურებს მ. გორგიძის მიერ ჩაწერილი შალვა დადიანის მოგონება: „გიორგი შარვაშიძე, რომელიც მხატვარმა გამოიყენა ტარიელის სახისათვის, გამოირჩეოდა თავისი ვაჟკაცური იერით, სილამაზით და ჭკვიანური სახით; ზიჩი მას სთვლიდა საუკეთესო ქართულ ტიპად. ერთ-ერთი ესკიზისათვის მას დაუხატავს თა-

<sup>21</sup> დ. ფ ა ლ ვ ა ს წერილი და „ვეფხისტყაოსნის“ გმირების პროტოტიპთა — ნინო დავითის ასულ წერეთელ-ჩოლოყაშვილის, ძაძუნია ფალავას, დესპინე ფალავას, მარო მაჩაბლის, ელისაბედ აგიაშვილის, ჯაბა გურიელის, მატრონა ქვარიანის ასულ ქუთათელაძის, კატო კონსტანტინეს ასულ ჯაფარიძე-ნაკაშიძის, ქეთო წერეთლის და სიმონ მიქელაძის ფოტოსურათები თავისი არქივიდან მოგვაწოდა ცნობილმა კოლექციონერმა და საზოგადო მოღვაწემ პ ა პ უ ნ ა წ ე რ ე თ ე ლ მ ა , რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუცხადებთ.

თარხან დადემუკელიანიც. შ. დადიანმა აგვიწერა, ავღუთუკ, რუსეთ-თურქეთის ომის გმირი, წარმოსადეგი წვეროსანსაჲსა იხოსრო ქაჯაია, რომელიც მოხდენილად გამოიყენა მხატვარმა როსტევან მეფის სახისათვის. პირველ ილუსტრაციაში „შოთა მთარმევეს თავის პოემას თამარ მეფეს“, მისივე ცნობით, თამარის გვერდით დგანან ანტონ წულუკიძე (განსვენებული აკადემიკოსის პროფ. გ. წულუკიძის მამა) და აქვე წინ ახოვანი და დინჯი დიმიტრი წერეთელი გორიდან“<sup>22</sup>, ხოლო ილია ჭყონიასა და შ. დადიანის დამოწმებით ს. ჯანაშია წერს: „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი, ცნობილი მხატვარი ზიჩი გორგის [შარვაშიძეს] თურმე ულამაზეს კაცად სთვლიდა და ტარიელის ხორციელი განპიროვნებისთვის უფრო შესაფერსობიექტს ვერ ჰპოულობდა“<sup>23</sup>. ზოგიერთი ცნობით, ტარიელის პროტოტიპად ზიჩის დავით მიქელაძეც (მეველე) გამოუყენებია (ბ. გორდუზიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 45).

ამას გარდა, პეტერბურგში დაბრუნებულმა ზიჩიმ ახლო ურთიერთობა დაამყარა ნიკო ნიკოლაძესთან და ახალგაზრდა ქართველ მხატვრებთან დავით გურამიშვილთან (1857-1926), და გიგო გაბაშვილთან. ქ. ბაგრატიშვილის ცნობით, არსებობს გადმოცემა, რომ პეტერბურგის მანეჟში ზიჩი ცხენით მოჯირითე დავით გურამიშვილის მიხედვით „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების პირველი ჩანახატებს ქმნიდა. ამავე გადმოცემით,

<sup>22</sup> მ. გორგიძე, დასახ. წერილი, გვ. 64.

<sup>23</sup> ს. ჯანაშია, გორგი შარვაშიძე (ნარკვევი აფხაზეთისა და სამეგრელოს კულტურული ისტორიიდან), წიგნში: მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, ნაკვეთი III, თბ., 1939, გვ. 27-28. უდრ. ბ. გორდუზიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

პოემის გმირები ნესტან-დარეჯანი და ავთანდილი ზიჩის მკვლევარის პეტერბურგში მცხოვრები დავით გურამიშვილის (ნიკო ნიკოლაძის მეუღლის) სახეების მიხედვით გაუკეთებია<sup>24</sup>.

როგორც ვთქვით, ზიჩიმ 1882 წელს საქართველოში დადგა „ვეფხისტყაოსნის“ 11 ცოცხალი სურათი, აქედან ერთი წარმოადგენს თამარ მეფისადმი პოეტის მიერ თავისი ქმნილების მირთმევის სცენას, დანარჩენი ათი — საკუთრივ პოემის სიუჟეტიდანაა აღებული: 1. თინათინის გამეფება; 2. დარბაზობა ინდოეთის მეფის ფარსადანის კარზე; 3. ასმათს შეჰყავს ტარიელი ნესტან-დარეჯანთან; 4. ზანგი მონების მიერ დავარის ბრძანებით ნესტან-დარეჯანის გადაკარგვა; 5. როსტევან მეფე ნადირობისას წყლის პირას პოულობს ტარიელს („ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა...“); 6. ასმათის მიერ გამოქვამულში ავთანდილისა და ტარიელის შეყრა-გაცნობა; 7. ნესტან-დარეჯანი ფატმანთან; 8. უსენმა მიჰგვარა ნესტანი მელიქ-სურხავს; 9. ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის შეყრა ქაჯეთის ციხეში („ნახეს მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა...“); 10. გამარჯვებულთა მსვლელობა. თითოეული ცოცხალი სურათისთვის ზიჩი წინასწარ ქმნიდა სიუჟეტურ სცენათა ჩანახატებს (სულ 10), პერსონაჟთა ესკი-

<sup>24</sup> ქ. ბ ა გ რ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, მიხაი ზიჩი, ვაზ. „ნორჩი ლენინელი“, 20 ოქტ., 1967; მ ი ს ი ვ ე, მხატვარი დავით გურამიშვილი, ვაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 12 აგვისტო, № 32, 195 : „ზიჩის რჩევით 1886 წელს გურამიშვილი შედის მიუნხენის სამხატვრო აკადემიის მსმენელად“ (იქვე). მ. დ უ დ უ ხ ა ვ ა გ ი ზ რ გაბაშვილი თბ. 1963. გვ 29-31.

ზებს, რომლებიც დღეს საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების  
მუზეუმშია დაცული (  $\frac{სსმ}{რ}$  • გრ. 275). „ეს ნახატები

დროს წარმოადგენენ პირველ ცდას პოემის დასურათებისას, გაკეთებულს ჯერ კიდევ 1882 წელს“ — წერს მ. ქვლივიძე<sup>25</sup>. პოემის დასურათებად მათი გაგება, რა თქმა უნდა, გადაჭარბებაა, თუმცა იგივე ავტორი სამართლიანად შენიშნავს: „ისინი გაკეთებული უნდა იყვნენ არა თვით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისთვის... ექვს გარეშეა, რომ ეს ნახატები წარმოადგენენ იმ ათი ცოცხალი სურათის კომპოზიციურ ესკიზებს“ (გვ. 70). «Постановка живых картин по сути дела уже наметила путь иллюстрирования «Витязя в тигровой шкуре» — სწორად ამბობს ლ. ალიოშინა, მანამდე კი, «Зичи подошел к своей задаче как театральный художник. В «альбоме персонажей» он дает подробную разработку в цвете каждого образа поэмы, его костюма, вплоть до деталей одежды. В зарисовках же живых картин Зичи преследует цель показать общую композиционную расстановку фигур, сделать наглядной каждую мизансцену. Судя по линейной четкости контурного рисунка и манере выполнения (пером и тушью) эти листы являются скорее всего режиссерскими проектами живых картин. В десяти картинах Зичи сумел раскрыть ключевые эпизоды поэмы»<sup>26</sup>.

ცოცხალ სურათებს დიდი წარმატება ჰქონია. ამას მოწ-

<sup>25</sup> მ. ქვლივიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 69.

<sup>26</sup> Л. А л е ш и н а, დასახ. ნაშრ., გვ. 133—134.



მობს საქართველოდან უნგრეთში გაგზავნილი თვითონ ზიჩის წერილის შემდეგი სიტყვები: „რუსთაველის კითხვის დასაბუთება ხალხით სავსე დარბაზის ალტაცებას საზღვარი არა აქვს“. აქვე მხატვარი „ვეფხისტყაოსანს“ „ქართველთა ბიბლიას“ უწოდებს: „რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ახლაც ერთგვარ ბიბლიას წარმოადგენს ქართველთათვის — როგორც პოლიტიკური და მორალური წყარო“<sup>27</sup>. მართლაც ძნელია რუსთაველის პოემის ამაზე უკეთ შეფასება, ქართველი ხალხისათვის, ქართული კულტურის ისტორიისათვის მისი მნიშვნელობის უკეთ გათვალისწინება!

მიხაი ზიჩის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების დადგმით მიღებული შთაბეჭდილება ქართველ საზოგადოებაში დიდხანს არ განელებულა. ასე მაგალითად, ქართული თეატრის ბედით დაინტერესებული ყურნალი „ივერია“ 1885 წელს (№ 1, გვ. 131) წერდა: „დარწმუნებული ვართ, რომ ორიოდჯერ „ვეფხისტყაოსნის“ სურათები რომ დაიდგას საზაფხულო თეატრში ბატ. ზიჩის ესკიზებით, დიდ-ძალ ხალხს მიიზიდავს“, ხოლო 1900 წლის 29 სექტემბერს თბილისში „ნემენცების ბაღის დარბაზში, მიხაილოვის ქუჩაზედ...“ ჯონ მორისმა (დავით დიღმელაშვილმა) ცოცხალი ფოტოგრაფიის წესით უჩვენა „ბუნდოვან სურათებად გამოჩენილ პოეტის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, დასურათებული სა-

<sup>27</sup> Bényi László es B. Supka Magdolna, Zichy Mihály, Budapest, 1953, გვ. 48. ბ. გ. ო. დ. ე. ზ. ი. ა. ნ. ი., დასახ. ნაშრ., გვ. 46; მ. ქ. ვ. გ. ო. ვ. ი. ა. ნ. ი., დასახ. ნაშრ., გვ. 61.

სახლის მხატვრის ბ-ნი ზიჩისაგან, ხოლო თვით ბუნდოვანი სურათები მომზადებულია საგანგებოდ ქ. ლეიფციგში<sup>28</sup> „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათები, საქართველოს გარდა, იდგმებოდა რუსეთში, უკრაინაში და საზღვარგარეთაც (პეტერბურგი, მოსკოვი, იურიევი, ხარკოვი, ბრიუსელი)<sup>29</sup>, რაც რუსთაველის პოემის პოპულარიზაციას უწყობდა ხელს. ესეც, პირველ რიგში, მიხაი ზიჩის დამსახურება იყო. სამართლიანად წერდა ამის თაობაზე ჯერ კიდევ 1882 წელს „დროება“: „ამ ცოცხალ სურათებს მთელს რუსეთში და ევროპაში ექნება დიდი მნიშვნელობა რუსთაველისა, საქართველოსა და იმის შვილების გასაცნობად“<sup>30</sup>.

### 3

## „ვეფხისტყაოსნის“ მეუნარგიასეული ფრანგული თარგმანი და მიხაი ზიჩის შარუები

ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის იონა მეუნარგიასეულ ფონდში (№ 778) დაცულია

<sup>28</sup> იხ. ამ წარმოდგენის აფიშა. დაცულია საქართველოს თეატრალურ მუზეუმსა და ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. იხ. აგრეთვე, „ივერია“, № 139, 1900; ბ. გორდეიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 57-58.

<sup>29</sup> დ. ჯანელიძე, რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“ თეატრსა და დრამატურგიაში, „საბჭოთა ხელოვნება“, 1937, № 6, გვ. 62—63; ბ. გორდეიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 47; მ. ქვლივიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 62; რ. თუღიანი, დასახ. ნაშრ.

<sup>30</sup> „დროება“, 1882, № 27.



მიხაი ზიჩის ნაკლებად ცნობილი შარჟები ი. მეუნარგისა და „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებზე<sup>31</sup>.

შარჟების რვეულის ყდა, რომელიც წარმოადგენს სქელ, გაყვითლებულ ქალაღს (22×17,5 სმ), გაკეცილია შუაზე, შიგნით მოქცეული ფურცლების ზომაზე. ყდის გარედან დაწებებულ ახალ ფურცელზე ფანქრით აწერია: „ზიჩი“. საკუთრივ ყდის პირველ გვერდზე იმავე ხელით, ფანქრითვე: „ზიჩის შარჟები“. ყდის ბოლო გვერდზე გარედან უკვე ზიჩის ხელით ფანქრით დახატულია პირველი შარჟი ი. მეუნარგისა, რომელიც შავი მელნით ასეა დასათაურებული: „იონა აკადემიის კარებზე თავის თარგმანით ილღიას ქვეშ“. დანამდვილებით ძნელია თქმა, ვის ეკუთვნის ეს და სხვა დანარჩენი ქართული მინაწერები, რომლებსაც ქვემოთაც ხაზგასმით მოვიყვანთ; მაინც მგონია, რომ ისინი უნდა ეკუთვნოდეს თვითონ ი. მეუნარგის, რომელსაც წარწერები უნდა გაეკეთებინა იმის შემდეგ, რაც მ. ზიჩიმ მას



<sup>31</sup> ბეჭდურად მის შესახებ ცნობა პირველად გამოაქვეყნა სოლ. ცაიშვილი: სამი მეგობარი (იონა მეუნარგია, მიხაი ზიჩი, გიორგი ქართველიშვილი), „მუშა“, 1938, № 29. იხ. აგრეთვე, ბ. გორდენიანი, ზიჩი საქართველოში, თბ., 1960, გვ. 56-57; 1966; გვ. 60-61; ც. ქირია, ე. ცხაკაია, მიხეილ ზიჩის უცნობი ილუსტრაციები, „მებრძოლი“ (ზუგდიდი), 1965, 31 ივლისი; ჩვენ ეს შარჟები ხელახლა გავსინჯეთ და აღვწერეთ 1968 წლის 23. I-5. II. იხ. გ. შარაძე, „ვეფხისტყაოსნის“ მეუნარგისასეული ფრანგული თარგმანის ფრაგმენტები, „მაცნე“, 1968, № 4, გვ. 166-170; G. Sz. Saradze, Zichy Mihály publikálatlan gúnyrajzai es illusztrációi Iona Meunargijáról es S. Rusztaveli «Tigrisbörös lovag» c. poemájához, «Művészet értesítő», Budapest, 1971, XX/4, გვ. 51-54.



მ. შანი, კავკასიური სცენები, 1852 წ.



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა



მ. ზიჩი, კავკასიური სცენები, 1852 წ.



მ. შიდი, კავკასიური სცენები, 1852 წ.



მ. ზიჩი, კავკასიური სცენები, 1852 წ.



მ. ზიჩი, დემონი (მ. ლერმონტოვის „დემონის“ ილუსტრაცია)



მ. შიჩი, თამარი და დემონი (მ. ლერმონტოვის „დემონის“ ილუსტრაცია)



მ. შიჩი, თამარი და დემონი (მ. ლერმონტოვის „დემონის“ ილუსტრაცია)





მ. ზიჩი, თამარის ცეკვა (მ. ლერმონტოვის „დემონის“ ილუსტრაცია)



პოეტი გიორგი შარვაშიძე ტარიელის როლში (ვეფხისტყაოსნის ცოცხალი სურათი), ქუთაისი, 1882 წ.





თამარ მეფე — ნინო წერეთელი-ჩოლოყაშვილისა; შოთა რუსთველი —  
პოეტი მამია გურიელი.

ნესტან-დარეჯანის როლში — ნინო წერეთელი-ჩოლოყაშვილისა; ტარიელი —  
პოეტი გიორგი შარვაშიძე

ნესტან-დარეჯანი — ნინო წერეთელი-ჩოლოყაშვილისა; ტარიელი — გიორგი  
შარვაშიძე

თათარხან დადუშქელიანი ტარიელის  
როლში (ვეფხისტყაოსნის ცოცხალი  
სურათი), ქუთაისი, 1882 წ.





მ. ზიჩი, ვეფხისტყაოსნის ცოცხალი სურათის („თინათინის გამეფება“) ესკიზი, თბილისი, 1882 წ.



მ. ზიჩი, ვეფხისტყაოსნის ცოცხალი სურათის („ნახეს უცხო მოყმე  
 ვინმე...“) ესკიზი, თბილისი, 1882 წ.



მ. ზიჩი, ვეფხისტყაოსნის ცოცხალი სურათის („ქაჯეთის ცი-  
ხის აღება“) ესკიზი, თბილისი, 1882 წ.



მ. ზიჩი, ვეფხისტყაოსნის ცოცხალი სურათის („ავთანდილისა და ტარიელის გაცნობა გამოქვაბულში“) ესკიზი, თბილისი, 1882 წ.





მ. ზიჩი, ვეფხისტყაოსნის ცოცხალი სურათის („ამათს ტარიელი შეჰყავს ნესტან-დარეჯანთან“) ესკიზი, თბილისი, 1882 წ.

პირადად გააცნო და გადასცა კიდევ აღნიშნული შარყები,  
ვფიქრობ, ი. მეუნარგიას პეტერბურგში ჩასვლის დროს.  
წელს.

სურათზე იონა მეუნარგიას ილიაში ამოდებულ თარგმანს  
ზიხის ხელით აწერია: «Rustaveli», ხოლო შენობის კარებს:  
«ACADEMIE». ყდის შიგნით ფანქრით ჩახატულია მეორე  
შარყი მეუნარგიაზე: „ ა პ ო ტ ე ო ზ ა . ი ო ნ ა შ ე ჰ -  
ყ ა ვ თ ა კ ა დ ე მ ი ა შ ი“.

ყდაში 14 ფურცელია (17,5×11 სმ) მოქცეული, ამათგან  
ორი ჭვირნიშნაანია (ევროპული ქაღალდის ფირმის). თითოე-  
ული ფურცლის პირველ გვერდზე გაკეთებულია ჩანახატი  
(შარყი), სულ 14. ამათგან 13, ისევე როგორც ყდაზე შესრუ-  
ლებული 2 სურათი ი. მეუნარგიაზე, ფანქრითაა შესრულებუ-  
ლი (ე. ი. ფანქრით სულ 15 შარყია დახატული), ერთიც — მე-  
თექვსმეტე, აკვარელით. ყოველ სურათს ახლავს ქართული  
წარწერა, შავი მელნით — პოემის სტროფის ნომერი და შესა-  
ბამისი ადგილი ტექსტიდან. ესენია:

1. ა ვ თ ა ნ დ ი ლ (40)<sup>32</sup>. შარყი შესრულებულია აკვარ-  
ელით, ფურცელი ჭვირნიშნაანია.

2. ნ ა ხ ე ს უ ც ხ ო მ ო ყ მ ე ვ ი ნ მ ე , ჯ დ ა მ ტ ი რ ა -  
ლი წ ყ ლ ის ა პ ი რ ს ა (84). ფურცელი იგივე ჭვირნიშნითაა.

3. ე რ თ გ ა ნ დ ა ს ხ დ ე ს , ი ლ ა ლ ო ბ ე ს , ს ა უ ბ ა რ ი  
ა ს ა დ ა გ ე ს (136).

<sup>32</sup> ფრჩხილებში ნაჩვენებია პოემის სტროფის ნომრები შარყების კრე-  
ბულის მიხედვით.



4. ... ავთანდილ ცხენსა გარდახდეს, მონახა დიდნი ხენია, მას ზედა ჰვრეტად დაჰყუდა, ძირსა დააბა ცხენია (219).

5. კარვის კალთა ჩახლათული ჩავსჰერ ჩავაკარაბოკე, ყმასა ფერხთა მოჰქედიდე, თავი სვეტსა შევუტაკე (553).

6. დადრკა, სკამნი შემოსტყორცნა, ჰკრა, კედელსა შეაღეწნა (754).

7. რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან (962).

8. დავშალო წვერთა ფუ მიყავ, ჰელი-ღა ვრბოდე მე ველად (1095).

9. ... ხედავთ ინდოთა, ტყვედ ჰყვანან შუქნი რომელნი, მოგყიდონ ფასი მიეციოთ, რისაცა იყონ მნდომელნი (1127).

10. გველნი მოშლით მოეკეცნეს, ბადი შელმა შერაშენდა, მზე ვეშაპსა დაებნელა, ზედან რამცა გაგვითენდა (1152).

11. ჰსცნო მეფემან, მოეგება, ჰკრეს ტაბლაკსა, გახთა ზარი (1172).

12. ციხისა კარნი დახშულნი შევლნამართ ვითა ღიანი, შევიდა ზანგი პირშავი, თმა გრძელი ტანაბდიანი (1272).

ზოგიერთ შარჟს დაუცავს მ. ზიჩის ხელითვე ფანქრით მიწერილი იმ სტროფთა ნომრები, რომელთა ილუსტრაციასაც ესა თუ ის შარჟი წარმოადგენს (ასეთებია: 40, 136, 219, 553, 754, 962, 1127, 1172), ხოლო ორ შემთხვევაში კი, რაც ყვე-



ლაზე მეტად საგულისხმოა, ნახატებს ერთვის ფრანგული  
 თარგმანი სტროფისა: ერთი — მე-40 სტროფის მთლიანად თარგ-  
 მანი, მეორე — 84-ე სტროფის მხოლოდ დასაწყისი სტრიქო-  
 ნი. მოგვყავს ეს თარგმანები:

40. Avthandil, spaspeti, fils de l'emir  
 spassalar, — élançé, plus svelte que le cyprés,  
 semblable au soleil et à la lune  
 imberbe encore, transparent comme le cristal  
 Se mourait pour les beaux cils de Thinathine.
84. Voici qu'on vit, assis et pleurant au bord  
 du ruisseau, certain inconnu...

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მ. ზიჩის შარყები-  
 სათვის მხატვრის ხელით მიწერილი ფრანგული ტექსტი, რომე-  
 ლიც უკვე ძლიერ გამჭრქალებულია, და ამოკითხვა ჭირს, უნ-  
 და იყოს ფრაგმენტები მ. ზიჩისთვის 1884  
 წლის 11 დეკემბერს გაგზავნილი „ვეფხისტ-  
 ტყაოსნის“ იონა მეუნარგიასეული სრული  
 ფრანგული თარგმანის პირველი ვარიანტი-  
 ს.ა, რომელიც, ისე როგორც დანარჩენი ორი სხვა ვარიანტი —  
 ერთი, თბილისში იმპერატორისთვის მიერთმეული (1888), ხო-  
 ლო მეორე — ქუთაისში კ. ბალმონტისთვის (1914), დღე-  
 დედაკარგულად ითვლება<sup>33</sup>.

<sup>33</sup> ამის შესახებ იხ. სოლ. ცაიშვილი, სამი მეგობარი, „მუშა“,  
 5. II. 1938; მისივე, ვეფხისტყაოსნის ერთი ფრანგული თარგმანის ამ-  
 ბავი, „კომ. განათლება“, 3. II, 1938; მისივე, „ვეფხისტყაოსნის“ მეუ-  
 ნარგიასეული თარგმანის შესახებ, „ლიტ. და ხელოვნება“, 8. VI. 1946;

ცნობილია, რომ ი. მეუნარგიამ „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულად სრულად გადათარგმნა გასული საუკუნის 80-იან წლებში, კერძოდ, 1884 წლის სექტემბერ-ნოემბერში<sup>34</sup>. თარგმანის პირველი ვარიანტის ერთი სრული ეგზემპლარი ი. მეუნარგიამ პეტერბურგში გადაუგზავნა მ. ზიჩის, პოემის მომავალი (1888 წლის ე. წ. ქართველიშვილისეული) გამოცემისათვის ილუსტრაციების შესაქმნელად, რომლის შესახებ 1884 წლის 29 ნოემბერს გაზეთი „დროება“ იუწყებოდა: „ი. მეუნარგიას თარგმანი, როგორც შევიტყუეთ, ამ დღეებში გადაეგზავნება მხატვარს ზიჩის სახელმძღვანელოდ იმ სურათების დახატვისათვის, რომელნიც უნდა „ვეფხისტყაოსნის“ მდიდრულს გამოცემას ჩაერთოს“. თვითონ ი. მეუნარგია ამის

---

მისივე, „ვეფხისტყაოსნის“ ერთი გამოუცემელი თარგმანის შესახებ, „ახალგ. კომუნისტი“, 29. IX. 1955; სოლ. იორდანიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები ევროპულ ენებზე, „რუსთაველის კრებული“, თბ., 1938, გვ. 241-245; ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 327-328.

<sup>34</sup> ი. მეუნარგია, ავტობიოგრაფია, სოლ. ცაიშვილის პუბლიკაცია, „მნათობი“, 1956, № 2, გვ. 185-187; ცნობა, ი. მეუნარგიასათვის „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ ენაზე თარგმნის დავალების შესახებ მ. ზიჩისთვის გადასაგზავნად, „დროება“, 29. IX. 1884; ბარონსუტნერი, უცხოელის აზრი „ვეფხისტყაოსანზე“, პოემის გადათარგმნის გამო ფრანსიულს ენაზე, „დროება“, 1884, № 258-259, 261-265; „ივერია“, 1884, № XI—XII; იგივე რუსულად, «Кавказ», 1884, № 265, 267-268; ყ. მურიე, ჯერ არ დაბეჭდილი ხელნაწერი L'homme à la peau de tigre par Chota Rustaveli, „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულ ენაზე ნათარგმნი იონა მეუნარგიასი, „დროება“, 28. XI. 1884; ილია ჭავჭავაძის სიტყვა 1884 წლის 30 ნოემბერს „დროების“ რედაქციაში, „დროება“, 2. XII. 1884.



შესახებ ნ. ნიკოლაძეს 1884 წლის 16 დეკემბერს წერდა: „... მისი ხუთი დღეა (ე. ი. 1884 წლის 11 დეკემბერს, გ. შ.) გამოვიყვანე ნია ზიჩისთვის სურათები და თარგმანი... უთხარი, რომ ჯერ თარგმანს ბევრი შესწორება სჭირია-თქო, მთარგმნელი აპირებს კიდევ ორი-სამი თვე ზედ იმუშავოს-თქო... ბარონი სუტნერი სამეგრელოში, ჩემს სოფელში მიმყავს ამ დღესასწაულებზე და იქ გვინდა ერთად და ბეჯითად გარდავიკითხოთ და გადავასწოროთ თარგმანი“<sup>35</sup>.

ამავე საკითხებზე ი. მეუნარგია კვლავ წერდა ნ. ნიკოლაძეს 1885 წლის 9 იანვარს: „... როგორც გაცნობე ამას წინათ, მე სუტნერები სოფელში ჩამოვიყვანე და აქ ხელმეორედ შეუდექით თარგმნას, უფრო უმეტესის დაკვირვებით და სინდისით... ეხლა ვგრძნობ ყოველს ნაკლულოვანებას ჩემის თარგმანისას (ე. ი. ზიჩის ვარიანტისა — გ. შ.), მაგრამ ჯერ გვიან არ არის, ჩემგან გაბრუნდებულს, მევე გავასწორობ“<sup>36</sup>.

მ. ზიჩის რომ ნამდვილად მიუღია ი. მეუნარგიას მიერ მისთვის გაგზავნილი „ვეფხისტყაოსნის“ სრული ფრანგული თარგმანის პირველი ვარიანტი, ამას ადასტურებს 1885 წლის 10 იანვარს „დროებაში“ გამოქვეყნებული ცნობა: „გამოჩენილი მხატვარი ზიჩი, რომელმაც ისეთის თავაზიანობით უსას-

<sup>35</sup> სოლ. ცაიშვილი, იონა მეუნარგიას წერილები, ზუგდიდის მუზეუმის შრომები, I, თბ., 1947, გვ. 146.

<sup>36</sup> იქვე, გვ. 147 (ხაზი ყველგან ჩვენია, გ. შ.). იხ. აგრეთვე, Berta von Suttner, Memoiren, 1909; შდრ. უკანასკნელ გამოცემას: Berta von Suttner, Lebenserinnerungen, Berlin, 1909. ბერტა ზუტნერის მოგონებების შესახებ იხ. ნ. კაკაბაძე, ნ. რუხაძე, კავკასია და საქართველო გერმანულ ლიტერატურაში, თბ., 1963, გვ. 26-74.



ყიდლოდ იკისრა „ვეფხისტყაოსნისათვის“ სურათების ხატვა და რომელსაც გაეგზავნა სრული ფრანკუზული თარგმანის შემთხვევების შინაარსის გასაცნობად, როგორც შევიტყეთ, შესდგომია კიდევ ამ სურათების ხატვას“.

მ. ზიჩის, ეტყობა, თარგმანის მიღებისა და გაცნობისთანავე, სანამ შეუდგებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი ილუსტრაციების განხორციელებას (რაც დაერთო კიდევ პოემის 1888 წლის მდიდრულ გამოცემას), ცოცხალი შთაბეჭდილების ქვეშ შეუქმნია ახლა უკვე ზუგდიდის მუზეუმში ი. მეუნარგიას ფონდში დაცული მეგობრული შარჟები მთარგმნელზე — ი. მეუნარგიაზე (რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი), საკუთარ თავზე (ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ორ შარჟში გამოსახული „ვეფხისტყაოსნის მკითხველი“ თვითონ ზიჩია, ამაზე ქვემოთ) და „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებზე.

შარჟებზე ზიჩის ხელით შემორჩენილი ზემოთ მოტანილი ფრაგმენტების მიხედვით ახლა უკვე შეიძლება ერთგვარი წარმოდგენა ვიქონიოთ „ვეფხისტყაოსნის“ ი. მეუნარგიასეული დაკარგული სრული ფრანგული თარგმანის რაობაზე, — ეს თარგმანი შესრულებული ყოფილა თეთრი ლექსით, სოლ. ცაიშვილის სწორი ვარაუდით, „უბრძანებო, მაგრამ ლამაზ პროზაში“. ამის გარდა, ხერხდება თარგმანის მოცულობისა და პოემის იმ ქართული გამოცემის ტექსტის დადგენაც, საიდანაც შეუსრულებია ი. მეუნარგიას თავისი თარგმანი.

ამაში გვშველის ზემოთ უკვე ნახსენები ორი შარჟი „ვეფხისტყაოსნის მკითხველზე“ — ერთი, პოემის კითხვის დაწყებისას და მეორე — კითხვის დამთავრებისას. სოლ. ცაიშვი-

ლის აზრით<sup>37</sup>, რომელსაც იმეორებს ბ. გორდეზიანი<sup>38</sup>, „ვეფხისტყაოსნის მკითხველი“ ი. მეუნარგიაა, ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ იგი თვითონ მ. ზიჩი უნდა იყოს:

პირველი შარჟით გამოხატული სამუშაო კაბინეტში, სავარძელში მჯდომი სათვალეებიანი მკითხველი წიგნით, რომლის გარეკანს აწერია: «La Peau de Tigre». ჩანს, ი. მეუნარგის მ. ზიჩისათვის გაგზავნილ ვარიანტში პოემის სათაური „ვეფხისტყაოსანი“ უთარგმნია «La Peau de tigre»-ად, რაც ზუსტი არ არის, თუმცა, ე. მურიეს წერილიდან („დროება“, 1884, № 256) ვიგებთ, რომ ი. მეუნარგიას ჰქონია მისი მეორე, შედარებით უფრო სწორი თარგმანიც: «L'homme à la peau de tigre».

შარჟს ფანქრით ზიჩის ხელით მიწერილი აქვს: «Notre lecteur au verset 1», ხოლო ქართულად შავი მელნით: „ვეფხისტყაოსნის მკითხველი I გვერდზე“; მეორე შარჟზე გამოხატული კითხვისაგან დაღლილ-გადაქცეული იმავე მკითხველისათვის ზიჩის ასეთი წარწერა გაუკეთებია: «Notre lecteur au verset 1593», რაც შესაბამის ქართულ მინაწერში ასეა გადათარგმნილი: „ვეფხისტყაოსნის მკითხველი უკანასკნელ გვერდზე“.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ზიჩის ფრანგული მინაწერების ბოლო ნაწილი «...au verset 1» და „...au verset 1593» ქართულად შეცდომით არის ნათარგმნი, როგორც „პირველ გვერდზე“ და „უკანასკნელ გვერდზე“;

<sup>37</sup> „მუშა“, 1938, № 29.

<sup>38</sup> ზიჩი საქართველოში, თბ., 1966, გვ. 60.





სინამდვილეში კი ასე უნდა იყოს თარგმნილი: „პეტროფო-  
სტროფზე“ (იგულისხმება: პირველი სტროფის სტროფისა)  
სას) და „უკანასკნელ 1593-ე სტროფზე“ (იგულისხმება: უკან-  
ასკნელი 1593-ე სტროფის კითხვისას), რადგან verset ნიშ-  
ნავს სტროფს, ტაეპს, ხანას და არა გვერდს.

როგორც ვხედავთ, „ვეფხისტყაოსნის მკითხველს“ ანუ  
თვით მიხაი ზიჩის ხელთ პოემის 1593-სტროფიანი ფრანგულ-  
ლი თარგმანის ტექსტი უჭირავს. ახლა საინტერესოა დადგინ-  
დეს, ეს 1593 სტროფი საკუთრივ ი. მეუნარგიას მიერ დად-  
გენილი პოემის ტექსტის თარგმანია, თუ „ვეფხისტყაოსნის“  
ისეთი ბეჭდური გამოცემისა, რომელიც ამდენივე სტროფს შე-  
იცავს? საკითხის გარკვევაში დაგვეხმარება აგრეთვე შარჟებ-  
ზე დაცული პოემის 12 სხვადასხვა სტროფის ზემოთმოტანი-  
ლი წაკითხვები და მათი ნუმერაცია (სათვალავი), სახელდობრ,  
40, 84, 136, 219, 553, 754, 962, 1095, 1127, 1152, 1172,  
1272.

შედარებამ გამოარკვია, რომ ისეთი გამოცემა, რომელიც  
1593 სტროფიანია და თანმიმდევრობით ემთხვევა ყველა ამ  
12 სტროფის ნომერს (გარდა ერთისა-961-ის ნაცვლად არის  
962) და აგრეთვე წაკითხვებს, — არის „ვეფხისტყაოსნის“  
დ. ჩუბინაშვილისეული მეორე გამოცემა, ს.-პეტერბურგი,  
1860. ამას თუ დავუმატებთ იმ ფაქტსაც, რომ ი. მეუნარგი-  
ას მონაწილეობით დადგენილი პოემის 1888 წლის გამოცე-  
მის დედანი წარმოადგენს დ. ჩუბინაშვილის აღნიშნული გა-



მოცემის ნასწორებ ცალს<sup>39</sup>, ეჭვიც არ უნდა დაგვებადნოს, რომ ი. მეუნარგია სწორედ მას დაეყრდნობოდა თარგმანის შესრულებისას.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის შედეგად შეიძლება დავასკვნათ:

1. ზუგდიდის მუზეუმში დაცულ მ. ზიჩის შარყებზე შემორჩენილი ფრანგული მინაწერები წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ ი. მეუნარგიასეული დაკარგული სრული ფრანგული თარგმანის ფრაგმენტებს.

2. „ვეფხისტყაოსნის“ ი. მეუნარგიასეული პირველი სრული ფრანგული თარგმანი შესრულებული ყოფილა თეთრი ლექსით და შეიცავდა 1593 სტროფს.

3. ი. მეუნარგიას თავისი თარგმანი შეუსრულებია „ვეფხისტყაოსნის“ დ. ჩუბინაშვილისეული 1860 წლის გამოცემის მიხედვით. თარგმანი საერთო მოცულობითა და შედგენილობით ისეთივე ყოფილა, როგორც პოემის დ. ჩუბინაშვილის მიერ 1860 წელს გამოცემული ტექსტი.

4. მ. ზიჩის აღნიშნული შარყები შესრულებული უნდა ჰქონდეს 1884 წლის მიწურულსა და 1885 წლის დასაწყისში „ვეფხისტყაოსნის“ მეუნარგიასეული ფრანგული თარგმანის მიღებისა და გაცნობის უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ, ე. ი. მანამ, სანამ იგი შეუდგებოდა პოემის განთქმულ ილუსტრაციებზე მუშაობას.

<sup>39</sup> დაცულია საქართველოს სახელმწ. ლიტ. მუზეუმში: № 13959-6. ამის შესახებ იხ. ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 127 შმდ.

## „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება

1882 წლის შემოდგომაზე პეტერბურგში ჩასულმა მიხაი ზიჩიმ თან ჩაიტანა საქართველოში „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების დადგმით მიღებული წარუშლელი შთაბეჭდილებანი, პოემის გმირთა ესკიზური ჩანახატები, ქართველ ხალხთან, მის მოწინავე შეილებთან გაცნობისა და შეხვედრების გულთბილი მოგონებები...

ამასობაში საქართველოში მომწიფდა „ვეფხისტყაოსნის“ მდიდრული, დასურათებული გამოცემის (Edit'ion de luxe) აუცილებლობა. როგორც ვთქვით, პოემის ახალი გამოცემის ტექსტის დადგენა ი. მეუნარგიას, რ. ერისთავისა და ი. გოგებაშვილის ინიციატივით 1880 წელს შექმნილ კომისიას 1882 წლისათვის ძირითადად უკვე დამთავრებული ჰქონია. ამ დროს ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ გიორგი ქართველიშვილმა (1830-1901) იკისრა „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებული გამოცემის დაბეჭდვის ხარჯები: „მე გადავწყვიტე გავიღო მაგისტრის ფული... ოღონდ ღირსეულად გამოეცით ეგ მართლაც მარგალიტი ობოლიო“ — განუცხადა თურმე გ. ქართველიშვილმა ერთ-ერთ საზოგადო შეკრებაზე ილია ჭავჭავაძეს<sup>40</sup>.

გ. ქართველიშვილის განზრახვას მოწონებით შეხვდა ჩვენ-

<sup>40</sup> მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, თამარ მეფის მეხოტბენი, ვაზ. „ტრიბუნა“, 1923, № 469, გვ. 2. ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, გიორგი ქართველიშვილი, თბ. 1904, გვ. 27—29.



ში მოღვაწე ერთი უცხოელი, ფრანგი ჟურნალისტი უფრო მეტად  
რიე: „ძნელად მოსაფიქრებელია, რომ მდიდარმა ქართველმა  
კომერსანტმა, ახალმა მეცენატმა ათას თუმანამდე გადასდოს  
ლიტერატურის ნაწარმოებთა დასაბეჭდად; ამ გვარი ფაქტი ერ-  
თადერთია კავკასიის ლიტერატურის ისტორიაში და ამიტომ  
ღირს ამაზედ ლაპარაკი“ („დროება“, 1884, № 256). ამ სა-  
ყურადღებო ფაქტმა მაშინდელ უნგრულ ჟურნალ „კოსორუ-  
შიც“ ჰპოვა ასახვა („Koszorú“, 1884, № 50). საამისო ცნო-  
ბას ვპოულობთ აგრეთვე გაზეთ „დროებაში“: „ბ. გ. დ. ქარ-  
თველიშვილმა განიზრახა ჩვენის დიდებულის პოეტის შოთა  
რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ჩინებული გამოცემა. წიგნი  
უნდა იყოს დიდი ფორმატისა, მშვენიერს ქალაღზედ დაბეჭ-  
დილი, ძვირფას ინგლისურ ყდაში, სურათებითა და ავტო-  
რის პორტრეტით შემკული. ამ გამოცემისათვის თადარიგს კი-  
დეც შედგომიან. ტექსტი შესწორებული იქნება იმ ვარიანტებ-  
ზე, რომელნიც „ვეფხისტყაოსნის“ კომისიამ ამოწერა. ს უ-  
რ ა თ ე ბ ი ს დ ა ხ ა ტ ვ ა უ ფ ა ს ო დ უ კ ი ს რ ი ა გ ა მ ო-  
ჩ ე ნ ი ლ ს მ ხ ა ტ ვ ა რ ს ზ ი ჩ ი ს, რ ო გ ო რ ც ა მ ა ს პ ე-  
ტ ე რ ბ უ რ გ ი დ ა მ ტ ე ლ ე გ რ ა მ ი თ გ ვ ა ც ნ ო ბ ე ბ ე ნ.  
ე ს ს უ რ ა თ ე ბ ი შ ე მ დ ე გ ს ა ზ დ ვ ა რ ს გ ა რ ე თ ა მ ო-  
ი ტ რ ე ბ ი ა ნ. ამავე გამოცემისათვის შეუჟკვეთნიათ აგრეთვე  
საგანგებოდ ასომთავრული ასოები მხატვრობით“ („დროება“,  
1884, № 51).

მაშასადამე, უკვე 1884 წლის დასაწყისში მ. ზიჩის გამო-  
უთქვამს „ვეფხისტყაოსნის“ დასურათების სურვილი, უნდა  
ვივარაუდოთ, ამ დროს ილია ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით  
ახლად არჩეული პოემის „ბეჭდვის კომიტეტის“ თხოვნის სა-



ფუძველზე, რომელშიაც შედიოდნენ ივ. მაჩაბელი, ი. მესხინაძე, გია, დ. ბაქრაძე, რ. ერისთავი და პ. უმიკაშვილი<sup>41</sup>. ჰიუსონის ჩანს, კომიტეტს მხატვრისთვის თავდაპირველად 12 ილუსტრაციის დახატვა უთხოვია (შდრ. „დროება“, 1885, № 72).

მაგრამ, ეტყობა, ზიჩის მხედველობაში მიუღია „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების დადგმასთან დაკავშირებით გამოთქმული ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნა, რომელიც ძირითადად პოემის სიუჟეტურ დეტალებს ემყარებოდა. ამიტომ მხატვარმა გადაწყვიტა უკეთ გასცნობოდა რუსთაველის უკვდავი ქმნილების შინაარსს და მოუთხოვია, მისთვის გასაგებ ენაზე ეთარგმნათ იგი, რადგან ცნობილია, რომ მაშინ (1884) „ვეფხისტყაოსანი“ სრულად ჯერ კიდევ არ იყო თარგმნილი არც რუსულ და არც სხვა რომელიმე ევროპულ ენაზე. ამიტომ ილია ჭავჭავაძის წინადადებით იონა მეუნარგია სასწრაფოდ შესდგომია „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად თარგმნას, ეს დიდი საქმე მას მურიესა და ზუტნერების დახმარებით 1884 წლის შემოდგომაზე დაუმთავრებია, რის თაობაზე ილია ჭავჭავაძეს განუცხადებია: „...ვითა მზის შუქით ჰნათობს მთვარე, ისე რუსთაველის შუქით იმნათობებს მეუნარგიაც დღეის ქით ჩვენს მოღვაწეთა შორისო“ („დროება“, 1884, № 260).

როგორც ვთქვით, 1884 წლის დეკემბერში ი. მეუნარგიამ „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანის პირველი ვარიანტი პეტერბურგში გაუგზავნა მ. ზიჩის, ხოლო „დროების“ 1885

<sup>41</sup> ბ. გორდეზიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 47.



წლის 10 იანვრის ცნობით, მხატვარი უკვე „შესდგომია კიდეც / ამ სურათების ხატვას“<sup>42</sup>.

ამას გარდა, ცნობილი ქართველი მხატვარი-გრაფიკორი გრიგოლ ტატიშვილი იწყებს პოემის მთავარი გამოცემის მხატვრულად გაფორმებაზე მუშაობას: „გ. ტატიშვილი ილიას ჩავგონებთ მიხვდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ღირსეული შემკობისათვის არ გამოდგებოდა ჩვეულებრივი სახის მორთულობა. საჭირო იყო სრულიად ახალი შესამკობელი მასალის გამოჩვენება. ასეთი მასალა მხოლოდ ქართული მონუმენტური არქიტექტურის ძეგლებში მოიპოვებოდა. ტატიშვილმა ამ ძეგლების ვრცელი კედლებიდან, გუმბათებიდან და თაღებიდან გადმოხატა ის შესანიშნავი არქიტექტურული ჩუქურთმები, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე იყო შექმნილი ქართული მხატვრული გენიის მიერ. სამშობლოს უზომო სიყვარულმა და საპაპო დავალების შეგნებამ მისცა მას ძალა ამ ჭეშმარიტად საგმირო საქმის შესასრულებლად“<sup>43</sup>.

ქართველი მკითხველი საზოგადოება მოუთმენლად მოელოდა ზიჩის ილუსტრაციების მიღებას და პოემის ბეჭდვის დაწყებას. „დროება“ 1885 წლის 28 მარტს იუწყებოდა: „დაბრკოლება სურათებზეა, რომელთა ხატვა ბ. ზიჩის კიდეც და-

<sup>42</sup> ამის შესახებ იხ. აგრეთვე იონა მეუნარგიას მიმოწერა ნიკო ნიკოლაძესთან, რომელიც ამ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა მ. ზიჩისთან (ზუგდიდის მუზეუმის შრომები, I, თბ., 1947, გვ. 146-148).

<sup>43</sup> ბ. გორდეზიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 50; იხ. აგრეთვე, მ. ურთუმაძე, პირველი ქართველი გრაფიკორი გრიგოლ ტატიშვილი, თბ., 1958.

უწყვია; რამწამს ბ. ზიჩი ხატვას გაათავებს და თავის შრომას გადასცემს ამომჭრელს, გამომცემელი მაშინვე ბეჭდვას დასრულებული უდგებაო“.

მართლაც, საარაკოდ მოკლე დროში, 1885 წლის იანვარ-მარტში, თორმეტის ნაცვლად, მ. ზიჩის შეუქმნია პოემის 34 ილუსტრაციის ესკიზი, რომელიც აპრილის დასაწყისში „ბეჭდვის კომიტეტისათვის“ წინასწარი გაცნობისა და თანხმობის მიცემისათვის თბილისში გამოუგზავნია. „დროება“ უკვე 1885 წლის 6 აპრილს თავის მკითხველებს ასე აცნობდა ამ „სასიამოვნო ამბავს“: „ჩვენს საზოგადოებას ეხსომება ამ ორი წლის წინად გამოჩენილის მხატვრის ზიჩის მიერ დადგმული ცხოველი სურათები „ვეფხისტყაოსნიდან“. გაეგონება, რომ ზიჩი ისე მოხიბლა ამ სახელოვანი პოემის შინაარსმა, რომ უსასყიდლოდ იკისრა სურათების დახატვა იმ მდიდრული გამოცემისათვის, რომელსაც ბ. ქართველიშვილი შეუდგა...“ შემდეგ გაზეთი იტყობინებოდა, რომ „ჩვენს საზოგადოებას უკვე თბილისში აქვს ბატონ ზიჩის მიერ შედგენილი „ვეფხისტყაოსნის“ სურათებიო“ („დროება“, 1885, № 76, 12 აპრილი).

თბილისში გამოგზავნილ ზიჩისეულ ილუსტრაციათა ესკიზებს თან ახლდა მხატვრის წერილი: „მე თქვენ გიგზავნით არა თორმეტს, არამედ ოცდაათოთხმეტს ესკიზს ამოსარჩევად. შენიშნეთ, რაც შესანიშნავია, ნომრობით დასწერეთ და საჩქაროდ უკანვე გამომიგზავნეთ, რომ შემეძლოს საქმის მალე დასრულება... მე დიდათ მოხარული ვიქნები, თუ შევძლებ თქვენის იმედების გამართლებას და რუსთაველის თხზულებას შესაფერისად გადმოვცემთ.

კარგი იქნებოდა, რომ ყველა ეს სურათები თქვენს გამო-

ცემაში მოგექციათ ცინკოგრაფიით. ძვირადაც არ დაჯდებო-  
და: ანგერერი ვენაში და აგრეთვე პარიზშიც, კვადრატულ სან-  
ტიმეტრზე 15 სანტიმს თხოულობენ. მაგრამ მოიქეციეთ, რო-  
გორც თქვენი სურვილი და შეძლება ნებას მოგცემთ. მე ბედ-  
ნიერად ვრაცხ ჩემს თავს, რომ თქვენის ჩინებულის აზრას  
განხორციელება შევიძელ.

მე, ჩემის მხრით, გამოვცემ არა მარტო ამ 34 სურათს,  
იქნება სხვებიც მივუმატოთ და პატარა ფოტოგრაფიული ალ-  
ბომი დავაბეჭდინო დასავლეთ ევროპისათვის. ამით სახელი და  
დიდება ქართველების პოეტის რუსთაველისა უფრო ვრცლად  
მოიფინება. დასასრულ, გთხოვთ მოექცეთ ჩემს სურათებს  
ისე, როგორც ქართველები უმანკო ქალს მოექცევიან ხოლ-  
მე — ნაზად და სათუთად<sup>44</sup>.

მ. ზიჩის მაღალმხატვრული ნამუშევრები, „დროების“  
ცნობით, „მცოდნე პირებმა, გარდა ერთისა, ყველა მოიწონეს“  
და გადაუწყვეტიათ „12-ის ნაცვლად ამ გამოცემას 34 სურა-  
თი ჩაერთვებაო“<sup>45</sup>.

ესკიზების მოწონების შემდეგ ზიჩი გატაცებით შესდგო-  
მია სურათებზე მუშაობას და თვითონ დაუწყია მათი ბეჭდ-  
ვის საქმის მოგვარება. 1885 წლის 3 სექტემბერს „დროება“  
(№ 188) იტყობინებოდა: — ზიჩი გვწერს, რომ „მოკლეს ხანში  
მე თვითონ გავემგზავრები ვენაში საუკეთესო ამომჭრელთან  
ანჩერერთან და მიუხეხნნშიაც „ვეფხისტყაოსნის“ სურათებზე  
მოსარიგებლადო“.

<sup>44</sup> „დროება“, 1885, № 72; იხ. აგრეთვე, „ივერია“, 1890, № 10.

<sup>45</sup> „დროება“, 1885, № 76, 12 აპრილი.





1886 წლის მარტში პეტერბურგს გაემგზავრა იენაში  
 ნარგია „და „ვეფხისტყაოსნის“ სურათების შესახებ ნაშრომად  
 ამბავს მოგვიტანს მხატვარ ზიჩისაგანო“ — აუწყებდა „ივე-  
 რია“ დაინტერესებულ მკითხველებს (1886 წ., 29 მარტი,  
 № 70). მართლაც, სულ რამდენიმე დღის შემდეგ, 1886 წლის  
 4 აპრილს „ივერია“ (№ 75) წერდა: „ჩვენ ვნახეთ ერთი სუ-  
 რათი დახატული ბ-ნ ზიჩისაგან „ვეფხისტყაოსნისათვის“. ეს  
 სურათი ფოტოგრაფიით გადაუღიათ ვენაში ანგერერის და  
 გეშლის ზედამხედველობით და მშვენიერებაა. სურათი წარ-  
 მოადგენს ავთანდილისა და ფატმანის მარტოდ ყოფნას. გამო-  
 ჩენილს სურათების მბეჭდავს ანგერერს წერილიც მოუწე-  
 რია „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციისათვის, რომ შეატყობინონ  
 სივრცე წიგნის ფორმატისა და ტექსტისა“.

როგორც ვხედავთ, ზიჩი ვენაში „საუკეთესო ამომჭრელ-  
 თან“, „გამოჩენილს სურათების მბეჭდავთან“ ანგერერთან,  
 აგრეთვე გეშლისთან მართლაც მორიგებულა „ვეფხისტყაოს-  
 ნის“ ილუსტრაციების ფოტოგადაღებასა და კლიშეების დამ-  
 ზადებაზე და 1886 წლის გაზაფხულისთვის ერთი სასინჯი ილუ-  
 სტრაცია („ავთანდილისა და ფატმანის მარტოდ ყოფნა“) ი. მე-  
 უნარგიას ხელით უკვე თბილისშიც გამოუფხავნია. ოღონდ  
 ეს ფაქტი არ უნდა ავურიოთ ილუსტრაციების ბეჭდვის დაწყე-  
 ბაში, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს. დაკვირ-  
 ვებული თვალი უსათუოდ ამოიკითხავს ზიჩისეულ ილუსტრა-  
 ციებზე: «C. Angerer-Göschl ph.», ან კიდევ: «C. A. ph.» (იგუ-  
 ლისხმე: «C. Angerer ph.»). მაშასადამე, ვენაში ანგერერმა და  
 გეშლმა გადაიღეს ფოტოები და დაამზადეს ვეფხისტყაოსნის



ზიჩისეულ ილუსტრაციათა კლიშეები<sup>46</sup>, ხოლო დაბეჭდვით კი ისინი ლაიფციგში დაუბეჭდავთ. ამის შესახებ 1887 წლის 22 მარტს „ივერიაში“ (№ 61) ვკითხულობთ: „ერთი ფრიად სასიხარულო ამბავი უნდა ვაუწყოთ ჩვენს მკითხველს: მხატვარის ზიჩისაგან დახატული სურათები „ვეფხისტყაოსნისა“ უკვე დაუბეჭდიათ ლეიპციგში (სულ 26-მდე). აპრილში თვით „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვასაც შეუდგებიან და მასში უკვე მზად იქნება. სულ 600 ცალი დაიბეჭდება“.

როგორც ვხედავთ, თავდაპირველი 34 ესკიზიდან ზიჩის საბოლოოდ 26 ილუსტრაცია შეუსრულებია, რომელთა კლიშეები ვენაში ანგერერ-გემლის დაუმზადებია, ხოლო დაუბეჭდავთ — ლაიფციგში. რაც შეეხება 27-ე ცნობილ ფერად ილუსტრაციას „შოთა რუსთველი „ვეფხისტყაოსნის“ მიართმევს თამარ მეფეს“ დაბეჭდილია პეტერბურგში, ბრეზეს ქრომოლითოგრაფიაში, როგორც ეს წარწერიდანაც ჩანს:

«Лит. Н. Брезе, С. П. Б.»

1887 წლის შემოდგომისთვის ზიჩის თავისი სიტყვა საქ-

<sup>46</sup> აღნიშნული კლიშეები (სულ 26) დღეს ინახება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. ამ კლიშეებით ცალკე კვლავ დაიბეჭდა ზიჩის ილუსტრაციები თბილისში 1938 წელს: იხ. მ. ზიჩი, „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები, ხელოვნების მუზეუმი „მეტეხი“, თბ., 1938 (ტირაჟი 500 ც.); არსებობს ქართველიშვილისეული გამოცემიდან გადაბეჭდილი ზიჩის ილუსტრაციების კიდევ ერთი ცალკე გამოცემა, რომელიც ჩვენს დროში განხორციელდა: ვეფხისტყაოსანი, ზიჩის სურათები, სახელგამი, ტექ. რედაქტორი ბ. გორდეზიანი.



მით საბოლოოდ დაუგვირგვინებია<sup>47</sup>. აღფრთოვანებულად აღწერა: „აუწყებდა თავის მკითხველს: „ვინც ნახა ამ ხუთის წლის წინად ცხოველი სურათები „ვეფხისტყაოსნისა“, იმას დავიწყებული არ ექნება სახელი მხატვრის ზიჩისა... ამ მხატვრის სახელი რამდენისამე თთვის შემდეგ მთელს საქართველოს მოეფინება, იმიტომ რომ მალე დაიბეჭდება მდიდრული „ვეფხისტყაოსანი“, რომლის სურათებიც მიხეილ ზიჩის დახატულია. ზიჩიმ დაჰხატა ეს სურათები და უსასყიდლოდ მოუძღვნა „ვეფხისტყაოსნის“ მბეჭდველს კომიტეტს“ (1887, 12 სექტ., № 189).

ამასობაში გრიგოლ ტატიშვილმაც მოათავა „ვეფხისტყაოსნის“ შემკულობა, რომელიც პეტერბურგში ამოჭრეს ლემანმა და მეიმ, ხოლო თბილისში ივ. მაჩაბლის უშუალო ხელმძღვანელობით და მეთვალყურეობით დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ბეჭდვა: „ტექსტის აწყობა დაწყებულია [1887 წლის] სექტემბერში და დამთავრებულია 15 ნოემბერს. მთელი პოემა აუწყვია გაზ. „ივერიის“ ასოთამწყობს მაქსიმე შარაძეს... წიგნის ბეჭდვამ გასტანა 1888 წლის მარტის ბოლომ-

<sup>47</sup> ლ. ალიოშინას მცდარი ცნობით, «...когда в 1888 году, в следующий приезд художника в Грузию, Тифлисское литературное общество попросило его создать иллюстрации к поэме, он смог не только очень быстро выполнить этот заказ, но и значительно превысить количество требуемых рисунков. Вместо двенадцати рисунков о которых просили заказчики, он создал тридцать четыре» (დასახ. ნაშრ., გვ. 134). სინამდვილეში ზიჩი ამ ილუსტრაციებზე მუშაობდა 1885-87 წლებში, ხოლო როდესაც 1888 წლის სექტემბერში მხატვარი მეორედ ჩამოვიდა საქართველოში, მისი ილუსტრაციები უკვე თითქმის ერთი წლის წინათ იყო დაბეჭდილი.




დის... 1888 წლის 17 აპრილისთვის წიგნის რამოდენიმე ცალი იყო მზად, რომელთა გაყიდვა კიდევაც დაიწყეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიაში. პოემა გამოშვებული იყო ორი სახით, ყდიანი და უყდო, ყდიანი ღირდა 15 მან, უყდო კი — 13 მან., ვეფხის-ტყაოსნის ეს გამოცემა დაიბეჭდა თბილისში 1270 ცალი<sup>48</sup>.

ვეფხისტყაოსნის 1888 წლის გამოცემისთვის დართულ შენიშვნაში („გამომცემლისაგან“) შეჯამებულია რვა წლის მანძილზე ქართველი ხალხის მოწინავე შვილებისა და ჩვენი კულტურის დიდი მეგობრის მ. ზიჩის მიერ ერთობლივ გაწეული ხანგრძლივი და დაძაბული მუშაობის მთელი ისტორია: „პირველი აზრი სურათებიან „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვისა დაიბადა მაშინ, როდესაც ბ. იონა მეუნარგიას თაოსნობით შემდგარმა კომისიამ შეამოწმა ამ პოემის ტექსტი ძველ ვარიანტებთან, თუმცა ძველის-ძველი ეგზემპლიარი არ აღმოჩნდა, — კომისიისაგან მოპოვებული უძველესი გადაწერილია 1646 წ.-მაინც კომისიამ სხვა-და-სხვა ხელნაწერების ერთმანეთთან შედარებით რამდენიმე ბნელი აზრი გამოარკვია, ძველებური მართლწერა შეძლებისამებრ აღადგინა და ზოგიერთი ხანა, რომელიც ძველ ვარიანტებში არ იყო და აზრის მიმდინარეობას უშლიდა, ტექსტს გამოაკლო.

სურათების დახატვა ამ წიგნისათვის იკისრა უსასყიდლოდ გამოჩენილმა მხატვარმა ზ ი ჩ ი მ, რომელსაც ამ დავა-

<sup>48</sup> ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 128, 133, 135—136; ლ. ა ლ ი ო შ ი ნ ა ს შ ც დ მ ი თ ვ ე ფ ხ ის ტ ყ ა ო ს ნ ის ეს გამოცემა სანკტ-პეტერბურგში დაბეჭდილად მოაჩნია (Л. Алешина, დასახ. ნაშრ., გვ. 179).

ლებისათვის უსაზღვრო მადლობას ვუძღვნით. ზიჩის  ხელით/ დახატულიდამ ფოტოცინკოგრაფიით ვენაში ან გერმანიაში გადაიღო, ხოლო ფერადებიანი სურათი გაკეთებულია პეტერ-ბურგს, ბ რ ე ზ ე ს ქრომო-ლითოგრაფიაში.

არშიები, სათაური ასოები და საბოლოები შეადგინა გრიგოლ ტატიშვილმა და ამოსჭრეს პეტერბურგში ლ ე მ ა ნ მ ა და მ ე ი მ. მხატვრობა ამ მორთულობისათვის გადმოღებულია ძველის მწერლობიდან და საქართველოს ციხე-ეკლესიებიდან, მხოლოდ ზოგიერთი ამ მხატვრობათაგანი უფრო დამთავრებული და დასრულებულია. თითქმის ყოველ მონასტერსა და ციხეს, — მცხეთას, უფლის-ციხეს, ბეთანიას, ქუთაისს, საფარას, კაბენს, ახტალას, ფიტარეთს, სამთავისს, ატენს — თავისი წილი უდევს ამ წიგნში, თავისი კვალი აქვს აღბეჭდილი.

ბეჭდვის დროს ყურის-გდება თავს იღვა თ. ივანე გიორგის ძე მ ა ჩ ა ბ ე ლ მ ა, რომელსაც ეკუთვნის ამ წიგნის უკანასკნელი რედაქცია.

მარტის 20, 1888 წ“.

ასე რომ, 1888 წლის გაზაფხულზე დამთავრდა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მიერ რვა წლის წინათ დაწყებული დიდი კულტურული საქმე (ბ. გორდეზიანი), ხორცი შეესხა „ვეფხისტყაოსნის“ უბრწყინვალეს გამოცემას. ილია ჭავჭავაძის „ივერიამ“ ღირსეულად შეაფასა ერის ცხოვრებაში მომხდარი დიდი კულტურული მნიშვნელობის მქონე მოვლენა: „ჩვენ ვნახეთ ეს მდიდრულად დაბეჭდილი სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“ და უნდა ვსთქვათ, რომ ამისთანა ლამაზსა და კარგს სანახავს იშვიათად შეხვდებოდა კაცი არამც თუ ჩვენში, არამედ რუსეთშიაც კი. ასომთავრულები მეტად ლამაზები



და ხელოვნებით ნაკეთებია, ამიერიდან ქართულის ჩუქურთმის ნაგებობაზეა შეფარდებული, თითოეულის კარის ბოლოში დახატულია თითო რამ ნახატი, სავსე თავისებურის მშვენიერებითა და სილამაზით. თვითონ ზიჩისაგან ნახატი სურათები ხომ ისეთია, რომ დიდხანს არ გინდა თვალი მოაშორო. ეს წიგნი განძი იქნება სწორედ ყოველ ქართველის ოჯახისათვის“<sup>49</sup>.

1888 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მ. ზიჩიმ მეორედ იმოგზაურა საქართველოში. იყო იყალთოში, ახმეტაში, თიანეთში, იკორთაში...<sup>50</sup> მეორედ ჩამოსვლის დროს ზიჩის საქართველოში შეუქმნია ქართული თემატიკის ამსახველი ახალი სურათები (ელისაბედ ჩოლოყაშვილის პორტრეტი, იკორთის მონასტერი...). ეტყობა, ამ დროს მ. ზიჩის განუზრახავს ქართველი ხალხისთვის ესახსოვრა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციათა ესკიზები (სულ 34), რომელიც მან ჯერ კიდევ 1885 წელს გააცნო პოემის „ბეჭდვის კომიტეტს“. დიდი მხატვრის ამ კეთილშობილურ განზრახვას რამდენჯერმე გამოეხმაურა გაზეთი „ივერია“: „ბ-ნის ზიჩის ხელით ნახატი სურათი ძვირფას განძს წარმოადგენს, როგორც ნახატი სახელგანთქმული მხატვრისა“ (1889, № 19, 26 იანვ.), „ზიჩის განუზრახავს ამ სურათების დედნები საჩუქრად უძღვნას ჩვენს წ. — კ. საზოგადოებას“ (1889, № 55, 14 მარტი). მალე მხატვარს თავისი განზრახვა სისრულეში მოუყვანია: „როგორც უწინ ვაუწყებთ მკითხველებს, ზიჩის თავის ხელით ნახატი სურათები „ვეფხის-

<sup>49</sup> „ივერია“, 1888, 13 მარტი, № 54.

<sup>50</sup> „ივერია“, 1888, 20 ოქტ., № 219. იხ. ავრთვე, ბ. გორდეზიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 71-78.

ტყაოსნისა“, რომელთა რიცხვში ურევია იმისთანანიც, რაც არ დაბეჭდილა, შეუწირავს წ.-კ. საზოგადოებისათვის ნაქვედურობის თანაგრძობისა საქართველოს ერის მიმართ“ — წერდა „ივერია“ 1889 წლის 6 აპრილს (№ 74).

მართლაც, წითელყდიან ალბომში გაერთიანებულ ზიჩის ესკიზებს მხატვრის ხელით აწერია:

**Тифлисскому литературному Обществу.  
В знак моей симпатии и сердечной преданности  
грузинскому народу.**

З и ч и.

С. Петербург 10 марта 1889». <sup>51</sup>

აღნიშნული ესკიზები სრულად დაბეჭდა პოემის კ. ბალმონტისეული რუსული თარგმანის 1937 წლის გამოცემაში («Academia») <sup>52</sup>. ამას გარდა, ქართველიშვილისეული გამოცე-

<sup>51</sup> ახლა დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში: S-1617, წითელყდიანი ალბომი, ოქროტვიფრულით: «Барсовая кожа, Зичи». ფანქრითა და აკვარელით შესრულებულ 34 ესკიზს ზიჩის ხელით ფანქრით მიწერილი აქვს განმარტებანი ფრანგულ ენაზე. სხვათა შორის, მე-4 ესკიზის („ნახეს უცხო მოყმე ვინმე...“) უკან გვერდზე შემონახულია 24-ე ესკიზის („გამითენდების, განანებ...“) პირველი ვარიანტი. ზოგიერთ მკვლევარს აღნიშნული ესკიზები მიაჩნია ქართველიშვილისეულ გამოცემაში დაბეჭდილი ილუსტრაციების დედნებად, რაც სწორი არ არის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამას მოწმობს თუნდაც მხატვრის ხელმოწერები. ესკიზებს იგი რუსულად აწერს: «Зичи», ხოლო ილუსტრაციებს ლამაზი ქართული ასოებით: „ზიჩი“.

<sup>52</sup> Шота Руставели., Витязь в барсовой шкуре, грузинская поэма, издание второе, перевод с грузинского К. Д. Бальмонта, «Academia», М.-Л., 1937.



მიდან ზიჩის რამდენიმე ილუსტრაცია დაერთო „ვეფხისტყაოსნი“ 1892 წელს (№ 1-6) გამოქვეყნებულ „ვეფხისტყაოსნის“ პირველ გამოცემაში. ზად გარდათქმულ შინაარსს, რომელიც „მოზარდ ყმაწვილებისთვის“ დაწერა გ. იოსელიანმა, ხოლო ადრე, პეტერბურგში, ბრეზეს ლითოგრაფიაში დაბეჭდილი ცნობილი „მირთმევის სცენა“ 1895 წელს თბილისშიც გამოუციათ, რის შესახებაც ჟურნალი „კვალი“ წერდა: „ჩვენ მოგვივიდა დეკ. ლამბაშიძის მიერ გამოცემული ლითოგრაფიულად დახატული სურათი „ვეფხისტყაოსნიდან“, შედგენილი ზიჩის მიერ. სურათი წარმოადგენს იმ დროს, როცა შოთა რუსთაველი მთარმევს თავის სურათს (!?) თამარ დედოფალს“<sup>53</sup>. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ პოემის უამრავ გამოცემას ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე ამკობდა და ამკობს „ვეფხისტყაოსნის“ ზიჩისეული ილუსტრაციები, რომელთა ბრწყინვალეობა ვერ დაჩრდილა რუსთაველის ქმნილების დასურათების ვერც ერთმა შემდეგდროინდელმა ცდამ, როგორც ჩვენში, ისე უცხოეთშიაც.

ლ. ალიოშინას ცნობით, «В частном собрании в Венгрии хранится еще два рисунка к «Витязю», исполненных карандашом: Сюжеты их — «Тариэль и курды» и «Встреча Автандила и Тариэля»<sup>54</sup>, ხოლო ბ. გორდეზიანის შენიშვნით, მხატვრის ხელით მიწერილი შინაარსის ამხსნელი ქართული წარწერები (მაგ., „ტარიელი თავის შემთხვეულებას ეუბნება ავთანდილს“) „აქვს დართული „ვეფხისტყაოსნის“ თითქმის ყველა სურათს, რომლებიც უნგრეთის მუზეუმსაა გადაცემული

<sup>53</sup> „კვალი“, 1895, № 11, გვ. 5.

<sup>54</sup> Л. Алешина, დასახ. ნაშრ., გვ. 178.



ზიჩის მიერ. ეს სურათები მოთავსებულია ლაზარ ბელას საფუძვლიან ნაშრომში „მიხაი ზიჩი“ (უნგრულ ენაზე) (საფუძვლიანად დათარგმნებულია: «Lázár Bela, Zichy Mihály életés és művészete, Budapest, 1927, გ. შ.).

მამასადაძემ, „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების შესაქმნელად მიხაი ზიჩის მიერ გაწეული მრავალწლიანი, თავამოდედებული მუშაობა შეიძლება ოთხ ეტაპად დავყოთ:

I. 1882 წელი — „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების ჩანახატები (სულ 10) და ტიპაჟის ესკიზები (სულ 19) (საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმი).

II. 1884 წლის მიწურული და 1885 წლის დასაწყისი — შარეები „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ ენაზე მთარგმნელ იონა მეუნარგიასა და პოემის გმირებზე (სულ 16) (ზუგდიდის მუზეუმი).

III. 1885 წლის იანვარ-მარტი — ესკიზები „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებისათვის (სულ 34) (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი).

IV. 1885 წლის ზაფხულიდან 1887 წლის სექტემბრამდე — „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები (სულ 27, შესულია „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის ქართველიშვილისეულ გამოცემაში; 26 ილუსტრაციის კლიშე დამზადებულია ვენაში ანგერერ-გეშლის მიერ და დაბეჭდილია ლაიფციგში, ხოლო 1 — პეტერბურგში, ბრენეს ქრომო-ლითოგრაფიაში).

ამას გარდა, 1897 წელს პროფ. ალ. ცაგარელს განუზრახავს მის მიერ ფერადებით გადმოღებული შოთა რუსთველის

---

55 ბ. გორდეზიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 58-60.

იერუსალიმური ფრესკული გამოსახულება გადაეცა ზიჩისათვის: „მე მსურს აქ ზიჩის მივცე ლიტოგრაფიით გადასახსენებლად და როგორც მივიღებ, პირველსავე ეგზემპლიარს გამოგიგზავნით „კვალში“ დასაბეჭდათ. ეს, რასაკვირველია, ჩქარა არ იქნება“ — წერდა იგი ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას 1897 წლის 16 მარტს<sup>56</sup>. სამწუხაროდ, ეს განზრახვა განუხორციელებელი დარჩენილა. ალ. ბარამიდის შენიშვნით, „ალ. ცაგარლის ხელით გადმოხატული სურათი იქნებ ზიჩის არქივშია დაცული“<sup>57</sup>.

„ვეფხისტყაოსნის“ ზიჩისეულმა ილუსტრაციებმა სრულიად ახალი ეტაპი შექმნა რუსთაველის უკვდავი პოემის დასურათების ისტორიაში. ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა ერთ-სულოვანი აღიარებით, „ზიჩის რეალისტურმა სურათებმა რუსთაველის ქმნილება გაათავისუფლა ირანული მხატვრული სტილისაგან და „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება საერთაშორისო მხატვრული კულტურის გზაზე დააყენა“<sup>58</sup>, „ზიჩის თითქმის ყოველი ილუსტრაცია განუყოფელ ნაწილად იქცა ნაწარმოებისა, ხოლო მთლიანად ციკლი ილუსტრაციებისა — გასაოცარი ჰარმონიულობით აკინძულ პოემად“<sup>59</sup>.

„ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები ახალი წინგადადგმუ-

<sup>56</sup> ლ. ქუთათელიძე, შოთა რუსთაველის პორტრეტის ისტორიისათვის, „ლიტ. ვაზეთი“, 16. XII. 1960.

<sup>57</sup> ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, თბ., 1975, გვ. 58.

<sup>58</sup> ბ. გორდენიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 56.

<sup>59</sup> თ. ფერაძე, რუსი და უცხოელი მხატვრები საქართველოში (XIX საუკუნე), თბ., 1964, გვ. 99.

ლი ნაბიჯი აღმოჩნდა თვით მხატვრის შემოქმედებით ცხოვრებაშიაც. ლ. ალიოშინას სიტყვებით, «Сравнивая рисунки к «Витязю» с предыдущей большой иллюстративной работой Зичи — лермонтовским циклом, нельзя не отметить в позднейшем труде большей целостности, большей слитности литературных и зрительных образов»<sup>60</sup>.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა გამოჩენილი ქართველი მხატვრის, „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ცნობილი ილუსტრატორის ლადო გუდიაშვილის მოგონება: „გულდასმით შევისწავლე პოემის ჩვენამდე მოღწეული, მეჩვიდმეტე საუკუნის მინიატურული მხატვრობა მამუკა თავაქარაშვილისა... აგრეთვე ცნობილი უნგრელი მხატვრის ზიჩის დიდად ცნობილი და დიდად პოპულარული ილუსტრაციები, რომლებიც მეცხრამეტე საუკუნეშია შექმნილი. ორივე შესანიშნავი მხატვარი იყო და თავ-თავის დროზე ორივემ კარგად გაართვა თავი ქართველი ხალხისათვის ამ ყველაზე საყვარელი წიგნის დასურათების საქმეს...“

რაც შეეხება მიხაი ზიჩის, ის ევროპელი იყო, კლასიკური ილუსტრაციის ფრიად დახელოვნებული ოსტატი, ევროპაში კარგად ცნობილი მხატვარი. ძალიან ბევრი იმუშავა „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებაზე... საგულისხმოა, რომ ეს ილუსტრაციები დღესაც არ ჰკარგავენ ემოციური ზემოქმედების ძალას... ისინი დღესაც ერთ-ერთი საუკეთესოა“<sup>61</sup>.

<sup>60</sup> Л. Алешина, *დსახ. ნაშრ.*, გვ. 135.

<sup>61</sup> ლ. გუდიაშვილი, მოგონებების წიგნი, „საბჭოთა ხელოვნება“, 1977, № 2, გვ. 103-104.

აღ. ბარამიძის სპეციალური გამოკვლევით ცნობილი გახდა ის ფაქტი, რომ „ი. სტალინი დიდად აფასებდა მიხაი ზიჩის ილუსტრაციებს. მისი მითითების საფუძველზე ნუცუბიძისეული რუსული თარგმანის გამოცემა (მოსკოვი, 1941) სასიგნალო ცალთან შედარებით შევსებულია ზიჩის სხვა სურათებით, თუმცა ეს გამოცემა საერთოდ (ძირითადად) ისედაც ზიჩის ნამუშევრებით იყო დასურათებული“<sup>62</sup>.

ქართველმა ხალხმა გულით შეიყვარა ზიჩისეული ილუსტრაციები. „ვეფხისტყაოსნის“ მკითხველი დღესაც შეუნელებელი ინტერესით აკვირდება თითოეულ ილუსტრაციაზე ლამაზი ქართული ასოებით გამოყვანილ მხატვრის გვარს „ზიჩი“. მართლაც, „არც ერთ უცხოელს, რომელსც თავისი ნიჭი და უნარი მოუტანია ჩვენი ქვეყნის კულტურის სამსხვერპლოზე, არ მიუღია იმდენი მადლობა და სიყვარული ქართველი ხალხისა, როგორც უნგრელ მხატვარს მიხაი ზიჩის“<sup>63</sup>, და რომ, „მართებული იქნება, თუ მისი სახელი აღინიშნება ჩვენში მემორიალურად“<sup>64</sup>.

ეს შეიძლება გაკეთდეს შემდეგნაირად:

„ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის ე. წ. ქართველიშვილისე-

---

<sup>62</sup> ა ლ . ბ ა რ ა მ ი ძ ე , ვეფხისტყაოსნის ერთი რუსული თარგმანის ისტორიიდან, ნარკვევები, V, თბ., 1971, გვ. 378; А. Барамидзе, Из истории одного перевода поэмы Руставели на русский язык, ნარკვევები, VI, თბ., 1975, გვ. 99.

<sup>63</sup> თ . ფ ე რ ა ძ ე , დასახ. ნაშრ., გვ. 112.

<sup>64</sup> გ . ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი , ვეფხისტყაოსანი და მიხაი ზიჩი, „თბილისი“, 1959, 4 ივლისი; ამის შემდეგ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას 1960 წელს ეწოდა მიხაი ზიჩის სახელი.




ული გამოცემა, რომელშიაც ჩართულია ზიჩისეული ილუსტრაციები, დაბეჭდილია თბილისში, ი. მარტიროსიანცის ნესტან-დარეჯანის ტიპოგრაფიაში: «Типография И. А. Мартиросианца, Орбелиановская улица, д. № 1-2» (იხ. გამოცემის სატიტულო გვერდი).

«Кавказский календарь»-ის ცნობით, ი. მარტიროსიანცის სტამბა ამ დროს მოთავსებული ყოფილა ოგლობჯიო სახლში: «Типография Мартиросянца, Больш. Орбелиан. ул. д(ом) Оглобжио (იხ. Кавказский календарь на 1888 год, Тифлис, 1887, გვ. 308; იხ. აგრეთვე, წინა და მომდევნო წლების «Кавказский календарь»-ები).

ოგლობჯიო იყო ორბელიანების სიძე, ტასო ორბელიანის მეუღლე. ეს ტასო ორბელიანი დიდად ეხმარებოდა მ. ზიჩის თბილისში მუშაობის დროს. მოვიგონოთ გრ. ორბელიანის სიტყვები: „ღმერთმა უშველოს ტასო ოგლობჯიოს! ამან მიჰსცა თავის საქორწილო ტანისამოსი ყამჩითა, ჯილითა, ქინძისთაგებითა და ძველებურის ნივთებითა და ამით დიდათ გაახარა ზიჩი“ (იხ. ი. გრიშაშვილი, რჩ. ნაწერები, ტ. III, თბ., 1963, გვ. 142); ნ. ი. და ე. ი. ოგლობჯიოები ავრცელებდნენ თბილისში ზიჩის მიერ დადგმული ვეფხისტყაოსნის ცოცხალი სურათების ბილეთებს (იხ. Кавказ, 1882, 6 февраля, № 34), ხოლო ერთი მათგანი — ნ. ოგლობჯიო (ორბელიანის ასული) ამ ცოცხალ სურათებში ნესტან-დარეჯანის როლშიაც გამოდიოდა (იხ. ბ. გორდეზიანი, ზიჩი საქართველოში, თბ., 1966, გვ. 45).

თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული თბილისის იმდროინდელი გეგმის (ი-1285, План города Тифлиса 1884 г., составлен Н. Ф. Клементьевым)



მიხედვით, ადვილად ხერხდება Большая Орбелиановская, იგივე Орбелиановская I улица-ს<sup>65</sup> ადგილმდებარეობის დადგენა: ისაა დღევანდელი ვახტანგ ორბელიანის ქუჩა („გოქს“-ის უკან) და თუ ი. მარტიროსიანცის სტამბა მოთავსებული იყო Большая Орбелиановская-ს 1-2 ნომერში, ოგლობუიო-ორბელიანის სახლში, მაშინ ისაა დღევანდელი ვახტანგ ორბელიანის ქუჩის № 4-6 სახლი, რომელიც მართლაც ორბელიანების ნაქონი ძველი სახლია.

მაშასადამე, დღევანდელი ვახტანგ ორბელიანის ქუჩის № 4-6 სახლში (ყოფილი ორბელიანების სახლი) მოთავსებული იყო სტამბა, რომელშიაც 1888 წელს პირველად დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ მდიდრული გამოცემა მიხაი ზიჩის ილუსტრაციებით. ამიტომ, ვფიქრობთ, მიზანშეწონილია ამ სახლს გაუკეთდეს მემორიალური დაფა. ამით უკვდავყოფთ დიდი მხატვრის ღვაწლს ქართული კულტურის წინაშე<sup>66</sup>.

<sup>65</sup> საქმე ისაა, რომ არსებობდა Малая Орбелиановская, იგივე Орбелиановская 2 улица (დღევანდელი ორბელიანის შესახვევი, „გოქს“-ის გვერდით).

<sup>66</sup> შდრ. აღ. ბარამიძე, ს. ცაიშვილი, გ. შარაძე, უკვდავყოფთ დიდი მხატვრის ღვაწლი „კომუნისტი“, 8. IX. 77.

## თ ა ვ ი V

### მიხაი ზიჩი და „ვეფხისტყაოსნის“ ვიკარისული უნგრული თარგმანი

უნგრულ ენაზე დღესდღეობით არსებობს „ვეფხისტყაოსნის“ ორი სრული პოეტური თარგმანი ბელა ვიკარისა (1917) და შანდორ ვეორეშისა (1954), რამდენიმე პროზად გარდათქმული შინაარსი (არპად ზემპლენის, იოჟეფ ფარაგოს და იოჟეფ რომანისა) და კიდევ, პოემის ორი სტროფის (926, 967) თარგმანი, რომელიც იშტვან კომიატის (1917-1956) ეკუთვნის. ამათ გარდა, დიულა იეშისა და შანდორ ვეორეშის ცნობით, არსებულა „ვეფხისტყაოსნის“ მესამე სრული პოეტური თარგმანი, შესრულებული გეზა შუპკას (1883-1956) მიერ<sup>1</sup>. ეს თარგმანი

---

<sup>1</sup> დაწვრილებით იხ. ჯ. გაგნიძე, „ვეფხისტყაოსნის“ უნგრული თარგმანები, თბ., 1975; აგრეთვე, Д. Радо, Венгерская критическая литература о поэме «Витязь в тигровой шкуре» Шота Руставели и о венгерских переводах, иллюстрациях и изданиях поэмы, «Лит. взаимосвязи», II, Тб., 1969, გვ. 5-23; ლ. მენაბდე, რუსთაველი და უნგრეთის საზოგადოებრიობა, „მნათობი“, № 8, 1974.

არ ჩანს და შეიძლება მთარგმნელის პირად არქივში ინახებოდეს, რომელიც ჯერჯერობით დაუმუშავებელია<sup>2</sup>.

როგორც ვხედავთ, დღეს უნგრულ ენაზე რუსთაველის პოემა რამდენიმეჯერ არის ამეტყველებული. და აქაც, უწინარეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ისევ მიხაი ზიჩი, რომელმაც თავის თანამემამულეთა შორის პირველმა გაუკაფა გზა რუსთაველის სახელსა და მის ქმნილებას.

დ. რადოს სიტყვებით, პირველი უნგრული ცნობა შოთა რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ გვხვდება 1884 წელს ჟურნალ „კოსორუში“ გამოქვეყნებულ წერილში „მიხაი ზიჩი ქართულ ლიტერატურაში“, სადაც ნათქვამია:

„ქართული ლიტერატურის უმთავრესი სიამაყეა რუსთაველის დიადი პოემა „ვეფხისტყაოსანი“. 1498 სტროფისაგან შემდგარი ამ თხზულების მდიდრული გამოცემა მალე იხილავს დღის სინათლეს, და ჩვენს თანამემამულეს მიხაი ზიჩის წინადადება მისცეს შექმნას მისთვის ილუსტრაციები. ერთმა ქართველმა ლიტერატურის მოყვარულმა ქართველიშვილმა 10.000 მანეთი გაიღო ამ გამოცემის ხარჯებისათვის. პოემა მალე ხელმისაწვდომი გახდება ევროპელი მკითხველისთვისაც, რადგან თბილისის „კავკაზის“ რედაქციის ერთ-ერთ თანამშრომელს იონა მეუხნარგიას იგი ფრანგულ ენაზე უთარგმნია“<sup>3</sup>.

---

<sup>2</sup> გ. შ ა რ ა ძ ე, „ვეფხისტყაოსნის“ უნგრული თარგმანი, „ახალგ. კომუნისტა“, 11. 2. 1975.

<sup>3</sup> Д. Р а д о с, დასახ. ნაშრ., გვ. 6; შდრ. ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 183-184; ჯ. გ ა ვ ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 7.





„ვეფხისტყაოსნის“ ეს გამოცემა, მ. ზიჩის ილუსტრაციებითურთ, მართლაც განხორციელდა 1888 წელს, რომელიც გ. ქართველიშვილის გამოცემის სახელითაა ცნობილი. ამის შემდეგ მ. ზიჩიმ ითავა მეორე დიდი კეთილშობილური წამოწყება — ცნობილ უნგრელ მეცნიერსა და მთარგმნელს ბელა ვიკარს (1859-1945) შთააგონა მშობლიურ ენაზე ეთარგმნა და თავისი ხალხისთვის გაეცნო რუსთველის უკვდავი ქმნილება. ლ. ალიოშინას სამართლიანი თქმით, «Тем самым Зичи способствовал популяризации за пределами Грузии творения ее великого национального поэта» (დასახ. ნაშრ., გვ. 135).

ფინური ეპოსის „კალევალას“ უნგრულ თარგმანზე მუშაობისას 1889 წელს ბელა ვიკარი სოფელ ლახტაში შეხვედრია მიხაი ზიჩის. მას სურდა გამოჩენილი მხატვარი დაეყოლიებინა „კალევალას“ დასურათებაზე. მაგრამ მომხდარა პირიქით: მ. ზიჩიმ მას გააცნო „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის ქართველიშვილისეული გამოცემა, ბრწყინვალედ ილუსტრირებული თვითონ ზიჩის მიერ და ურჩია ახალგაზრდა უნგრელ მთარგმნელს მშობლიურ ენაზე გადაეღო იგი<sup>4</sup>. 1912 წელს „ბუდა-

<sup>4</sup> ლ. ტ ა რ დ ი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1938, გვ. 25-27; Д. Р а д и о, დასახ. ნაშრ., გვ. 9-10; ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 184; ჯ. გ ა გ ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 8-11; ბ. გ ო რ დ ე ზ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 80—85; გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, Tariel, (ვეფხისტყაოსნის უნგრული თარგმანის ისტორიისათვის), „ლიტ. გაზეთი“, 12. XII. 1934; გ რ. შ ე რ ე თ ე ლ ი, ვეფხისტყაოსნის უნგრულ ენაზე, „ლიტ. მემკვიდრეობა“, I, 1935, გვ. 661-664; გ. ჩ ი მ ა კ ა ძ ე, ქართული



მ. შიჩი, ვეფხისტყაოსნის ცოცხალი სურათის („მსახურებს ნესტანი მიჰყავთ ფატმანთან“) ესკიზი, თბილისი 1882 წ.



მ. ზიჩი ვეფხისტყაოსნის ცოცხალი სურათის („ნესტანი მიჰყავთ მელიქ-სურხავთან“) ესკიზი, თბილისი, 1882წ.



მ. ზიჩი, ვეფხისტყაოსნის ცოცხალი სურათის („ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ქორწილი მელიქ-სურხავეთან“) ესკიზი, თბილისი, 1882 წ.



მ. ზიჩი, ვეფხისტყაოსნის ცოცხალი სურათის („სადილი ფარსადან მეფესთან“) ესკიზი, თბილისი, 1882 წ.





45



46

გრიგოლ ორბელიანი  
ილია ჭავჭავაძე  
ნიკოლ ნიკოლაძე  
ივანე მაჩაბელი  
აკაკი წერეთელი  
იონა მეუნარგია

ვ. იოჰანსენი, გიორგი ქართველი-  
შვილის პორტრეტი (1881 წ.)  
ე. წილოსნის საკუთრება

47





ფედოსია ერისთავი, პოეტ რაფიელ ერისთავის მეუღლე, თამარის პროტოტიპი „დემონის“ ზიჩისეულ ილუსტრაციაში.



პოეტი მამია გურიელი, შოთა რუსთაველის პროტოტიპი ზიჩის  
სურათში: „ვეფხისტყაოსნის მირთმევა“





დესპინე ფალავა, ნესტან-დარეჯანის პროტოტიპი ზიჩის ილუსტრაციაში



ნინო წერეთელი (დავით სიმონის ძე წერეთლის ასული), ბიძინა ჩოლოყაშვილის მეუღლე, თამარ მეფისა და ნესტანის პროტოტიპი ზიჩის ილუსტრაციებში.



ქართული  
ლიბრერი



ძამუნია ფაღავა, სეფე-ქალის პროტოტიპი ზიჩის სურათში:  
„ვეფხისტყაოსნის მირთმევა“ (დგას შუაში, მარცხნივ)



მატრონა კვარიანი-ქუთაველიძისა, თინათინის პროტოტიპი  
ჭიჩის ილუსტრაციაში



ქართული  
ბიბლიოთეკა



მარო მაჩაბელი, გურული ქაბუკის პროტოტიპი ზიჩის სურათში: „ვეფხისტყაოსნის მირთმევა“.



ელისაბედ აგიაშვილი, სეფე-ქალის პროტოტიპი ზიჩის სურათში: „ვეფხისტყაოსნის მირთმევა“. (მარცხნივ, წინ ზის)



ქეთო შერმელი-დადიანისა, ნესტანისა და დავარის პროტოტიპი ზიჩის ილუსტრაციებში



მარიამ მირიანაშვილი-თუმანიშვილისა, ფატმანის პროტოტიპი  
ზინის ილუსტრაციებში





კატო კონსტანტინეს ასული ჯაფარიძე—ტიფო ნაკაშიძის მეუღლე —  
ასმათის პროტოტიპი ზიჩის ილუსტრაციებში

პეშტი სემლეში“ გამოქვეყნებულ წერილში, აგრეთვე „მეფხისტყაოსნის“ უნგრული თარგმანის (ბუდაპეშტი, 1917) წინასიტყვაობაში ბელა ვიკარი ასე გადმოგვცემს ამ ამბავს:

„მე მას ვესტუმრე როგორც მხატვარს იმ მიზნით, რომ მასში ინტერესი გამელღვივებინა „კალევალას“ მიმართ. მე მინდოდა უბადლო ილუსტრატორი როგორმე დამეყოლიებია, ხელი მოეკიდა ცნობილი ეპოსის დასურათებისათვის, რადგან იგი სწორედ შესაფერ ძალას წარმოადგენდა ჩემთვის... საქმე ისე წარიმართა, რომ ეს საგანგებოდ აწყობილი გეგმა ჩამეშალა. ზიჩიმ მდიდრულად დასურათებული წიგნი მიჩვენა, რომელიც იმ ხანებში იყო გამოცემული. ჩემს წინაშე იდო ჩემთვის უცნობ ენაზე, უცხო შრიფტით დაბეჭდილი, ქართველი ერის უდიდესი პოეტის შოთა რუსთაველის რომანტიკული ეპოსი, მიხაი ზიჩისავე ილუსტრაციებით“<sup>5</sup>. ბ. ვიკარი იგონებს მ. ზიჩის ნაამბობს საქართველოში „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალი სურათების დადგმისა და პოემის ილუსტრაციებზე მუშაობის შესახებ (მოგვყავს დ. რადოს რუსული თარგმანის მიხედვით): «Кажется, великий успех этого первого предприятия, вызвал у грузинских друзей искусства и литературы мысль о том, что Зичи должен взяться за иллюстрирование поэмы. Когда, спустя несколько лет, путешествуя с царем Александром III, М. Зичи вновь посетил

---

კულტურის მოამბე, „დროშა“, 1959, № 9; ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 331; ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, რუსთველოლოგები, თბ., 1970, გვ. 246-248.

<sup>5</sup> ჯ. გ ა გ ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 10-11.

Грузию, к царю явилась делегация со следующей просьбой:

— Ваше величество, у Вас есть известный художник, а у нас — известная поэма; позвольте нам свести их друг с другом. Пусть ваш великий художник останется среди нас несколько месяцев и проиллюстрирует сочинение нашего великого поэта для роскошного национального издания.

Царь спросил у Зичи:

— Хочешь ли? Я не возражаю.

Художник заявил, что он с величайшей радостью исполнит желание благородного грузинского народа. Много месяцев он прожил в Грузии. Ему перевели на русский язык содержание эпопей и усердно помогали ему в неутомимых исследованиях.

Так родились прекрасные картины к «Вепхис ткаосани», которые заслуживают самой высокой оценки. После того, как книга вышла в роскошном издании, многие посетители зарубежных выставок с интересом и удивлением знакомились с оригиналами, снабженными объяснениями самого Зичи, которые он написал к картинам... Его имя приобрело там (в Грузии) широкую популярность»<sup>6</sup>.

ბ. ვეპხის თავის მოგონებაში უზუსტობა მოსვლია: 1888 წელს, სექტემბერ-ოქტომბერში ალექსანდრე III-ის საქარ-

<sup>6</sup> Д. Радо, დასახ. ნაშრ., გვ. 9-10.

თველოში ჩამოსვლის დროს, რომელსაც თან მ. ზიჩიცი ახლდა, მხატვარს „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები უკვე დაემზადებოდა ბული ჰქონდა და ისინი დაბეჭდილიც იყო პოემის ქართველი-შვილისეულ გამოცემაში (გამოიცა თბილისში, 1888 წლის აპრილ-მაისში). მაგრამ ბელა ვიკარის თქმით მთავარი მაინც ისაა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ უნგრულად თარგმნის ინტერესი მისთვის მიხაი ზიჩის გაუღვიძებია: «Переведите поэму! — сказал он мне. В то время я был настолько занят «Калевалой», что даже подумать не мог о переводе творения Руставели. Но я не забыл поощрительных слов великого художника»<sup>7</sup>.

1908 წელს ბ. ვიკარმა დაასრულა „კალევალას“ თარგმნა, რითაც «Замечательный знаток не только финского языка, но и жизни финского народа, Б. Викар сумел обогатить венгерскую литературу прекрасным, до сих пор непревзойденным переводом «Калевалы»<sup>8</sup>. ახლა უკვე შეიძლებოდა ზიჩისთვის ჯერ კიდევ 20 წლის წინათ მიცემული სიტყვის შესრულება, უკეთ, დადგა დიდი მხატვრის გულმხურვალე თხოვნის ასრულების დროც. ბ. ვიკარი გვიამბობს (Turan, 1942, № 1):

„ჯერ კიდევ ომისწინა წლებში შევიძინე გერმანელ დირის ქართული გრამატიკა ოსკარ აშბოთის წინასიტყვაობით

<sup>7</sup> Д. Р а д о, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 9.



გერმანულ ენაზე\*. დავიწყე სწავლა. საკმაო წარმატებას ვაჩივებ ვალწიე, ასე რომ, ერთგვარი თვითდარწმუნებით ავიღე ხელში რუსთაველის შედეგრი, მაგრამ არაფერი გამომივიდა, ერთი-ორი სიტყვა-და თუ გავიგე მხოლოდ“<sup>9</sup>.

ვიკარს, მისივე ცნობით (იქვე), ხელთ ჰქონია ზიჩისაგან ნაჩუქარი „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის ქართველიშვილისეული გამოცემის ცალი და პომის ერთ-ერთი მერმინდელი სახალხო გამოცემა, ამას გარდა, ლაისტისეული გერმანული თარგმანი (1889) და რომელიღაც რუსული თარგმანიც, რომელიც, ჯ. გაგნიძის დაკვირვებით, ბარტდინსკისეული უნდა იყოს (დასახ. ნაშრ., გვ. 13), აგრეთვე, დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონი“ (სპბ, 1887-1891). ვიკარი განაგრძობს: „ჩემი წინა მეცადინეობის საფუძველზე დავასკვენი, რომ მე რუსთაველის ძველი ენა კი არა, რომელზეც XII საუკუნეში საუბრობდნენ, არამედ ახალი ქართული ვისწავლე... რა მექნა, რომ ჩემი სიტყვა ზიჩისადმი და საკუთარი თავისადმი ლიტონ სიტყვად არ დამრჩენოდა?“

ნამდვილ მშველელად მას ამ საქმეში მოევლინა ერთი ქართველი ახალგაზრდა კაცი, რომელიც, როგორც ეს უკანასკნელ ხანს ჩატარებული კვლევა-ძიებიდან ჩანს, ყოფილა გიორგი

\* იგულისხმება ადოლფ დირის (Ad. Durr) შრომა: Theoretisch-praktische Grammatik der modernen georgischen (grusinischen) Sprache..., Wien und Leipzig, (1904).

<sup>9</sup> მ. ი შ ტ ვ ა ნ ო ვ ი ჩ ი, ვეფხისტყაოსნის უნგრული თარგმანისათვის, „ლიტ. აქარა“, № 3, 1964, გვ. 61.

ცისკარაული<sup>10</sup>. პოემის თარგმანზე მუშაობისას ვიკარი და  
წმუნებულა, რომ, როგორც თვითონ წერს, „მიხაი ზიჩე  
თალი ყოფილა: „ვეფხისტყაოსანი“ ნამდვილად იმსახურებს  
იმას, რომ ყველა ევროპელი ლიტერატორი გაეცნოს მას“  
(Д. Радо, დასახ. ნაშრ., გვ. 10-11). ჯ. გაგნიძის სიტყვებით,  
„ცისკარაულის ბუდაპეშტში ჩასვლისთანავე გაუგრძელებია  
ვიკარს ქართული ენის შესწავლა... ისინი თვეების მანძილზე  
დღეში ოთხი საათი მუშაობდნენ თარგმანზე. მთარგმნელის  
გადმოცემით, ცისკარაული პოემას სიტყვა-სიტყვით უთარგმ-  
ნიდა მას ესპერანტოს ენაზე. იგი წერდა და შემდეგ ლექსად  
აწყობდა. ვიკარს სათარგმნელი ჰქონია კიდევ 10-12 ფურცე-  
ლი, როცა მისი ქართველი დამხმარე ბუდაპეშტიდან წასულა  
და უკან აღარ დაბრუნებულა“ (იქვე, გვ. 12). „1912 წელს  
ბულგარეთის ომი დაიწყო და იგი მოხალისედ წავიდა ბულ-  
გარეთში“<sup>11</sup>.

მაშასადამე, ბ. ვიკარს სათარგმნელი დარჩენია პოემის  
ბოლო ნაწილი. მას აქაც გამოუჩნდნენ ახალი დამხმარენი. მარ-  
თალია, ბ. ვიკარი სახელდებით მითითებას მათ შესახებ არ  
გვაწვდის, მაგრამ პირდაპირ წერს (Turan, 1942), რომ ურთი-  
ერთობა ჰქონდა მრავალ ქართველ სამხედრო ტყვესთან, ან  
როგორც მ. იმტვანოვიჩი გადმოგვცემს, „ვიკარი გვიამბობს  
თავის შეხვედრებზე ქართველ სამხედრო ტყვეებთან მაშინდელ

<sup>10</sup> ჯ. გაგნიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 12-23; იხ. აგრეთვე, ამ საკითხზე  
ს. თურნავას, დ. რაღოსა და მ. იმტვანოვიჩის წერილები, რომლებიც გან-  
ხილული აქვს ჯ. გაგნიძეს (იქვე, გვ. 18-19).

<sup>11</sup> გრ. შერეთელი, ვეფხისტყაოსანი უნგრულ ენაზე. „ლიტ-  
მემკვიდრეობა“, I თბ., 1935.



ქართული  
ენციკლოპედია

ავსტრია-უნგრეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხეში“ (დასახ. ნაშრ., გვ. 62).

ამ „მრავალი ქართველი სამხედრო ტყვედან“ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი იყო მხოლოდ ორი — გრიგოლ ილარიონის ძე წერეთელი და დავით სამსონის ძე თოლორაია. ამათგან, გრ. წერეთელი თვითონ გვიამბობს ვიკართან თავის თანამშრომლობაზე<sup>12</sup>, ხოლო დ. თოლორაიას შესახებ პირველი ცნობები გამოაქვეყნა ს. კლდიაშვილმა<sup>13</sup>.

<sup>12</sup> გრ. წერეთელი, „ვეფხისტყაოსანი“ უნგრულ ენაზე, „ლიტ. მემკვიდრეობა“, I, 1935, გვ. 661-664; აქვე ვიძღვევით მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს გრ. წერეთლის შესახებ, რომელიც მოგვაწოდა მისმა მეუღლემ, იურისტმა ოლია რუსაძემ: გრიგოლ ილარიონის ძე წერეთელი დაბადებულა 1893 წელს, ჭიათურის რაიონის სოფ. ცხრუკვეთში. მონაწილეობას ღებულობდა პირველ მსოფლიო ომში. ჰქონია სანახდრო შტაბს-კაპიტნის ჩინი. კარგად სცოდნია გერმანული, ფრანგული და ინგლისური ენები, განსაკუთრებით გერმანული, რის გამოც საქართველოს მთავრობაში ხშირად ასრულებდა თარჯიმნის მოვალეობას. საქართველოში მოგზაურობისას მან თურმე დიდი სამსახური გაუწია ფრანგ მწერალ ქალს ოდეტ კენეს (რომლის წიგნი საქართველოზე, სხვათა შორის, ნაკლებადაა ცნობილი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში) და აგრეთვე, გამოჩენილ ინგლისელ ქართველოლოგს ალენს. სხვადასხვა დროს გრ. წერეთელი მსახურობდა ჭიათურის მარგანეცის ამერიკულ ფირმაში „პარიმან“, საგარეო საქმეთა სამინისტროში ალ. სვანიძესთან ერთად, უკანასკნელად იყო თბილისის ერთ-ერთი დაწესებულების ეკონომისტა, ხოლო დაუსწრებლად სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, თარგმნიდა ევროპული ლიტერატურიდან. დაიღუპა 1938 წელს. გრ. წერეთლის პირადი ბიბლიოთეკის გადარჩენილი ნაწილი დაცულია თბილისში (რუსთაველის პროსპექტი, № 20). აქ ინახება: კერძოდ, ოდეტ კენეს წიგნი საქართველოზე, ხოლო ბელა ვიკარის წარწერით ნაჩუქარი ვეფხისტყაოსნის უნგრული თარგმანი (ბუდაპეშტი, 1917) დაკარგულა.

<sup>13</sup> ს. კლდიაშვილი, არდასავიწყებელი მოღვაწენი, „ლიტ. გაზეთი“, 11. V. 1962.

1970 წლის ივლისში ბუდაპეშტში სამეცნიერო მივლინების დროს ჩვენ საშუალება მოგვეცა გავცნობოდით ბელა ვიკარის არქივს, რის შესახებაც გაზ. „ლიტერატურულ თველოში“ 1970 წლის 8 აგვისტოს ვწერდით:

„უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში მოვიკითხეთ „ვეფხისტყაოსნის“ უნგრულ ენაზე პირველი მთარგმნელის ბელა ვიკარის არქივი, რადგან ვიცოდით, რომ იგი თავის დროს ამ აკადემიის წევრ-კორესპონდენტად (და არა აკადემიკოსად, როგორც ჩვენში წერენ) იყო არჩეული. მართლაც, ბელა ვიკარის არქივში წავაწყდით ქართულ მასალებს: Ms. 5203/9, 5204/6, 54/1963/: 1. ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი“ (შესავალი). 2. გ. ჭალადიდელის „დედის დარიგება“ და მისი, ალბათ ვიკარისეული, ფრანგული თარგმანი. 3. გრიგოლ ილარიონის ძე წერეთლის მიერ 1915 წელს ვიკარისათვის ჩაწერილი ქართული ხალხური თამაშობანი (ცხენობია, სტუმრობია, კატა-თავგობია, მალულობია, ფანტი).

განსაკუთრებით საინტერესოა თვით ბელა ვიკარის მიერ ჩაწერილი, მისივე ხელით ლამაზი ქართული ასოებით გამოყვანილი ქართული ტექსტები.

საუცხოოდ გამოყვანილი ქართული ასოებით ბელა ვიკარი წერს:

„მრავალ ჟამიერ  
ღმერთმა ინებოს  
თქვენი სიცოცხლე  
მადლობელი ვართ  
სადღეგრძელოსთვის  
არი არალო“.



ან კიდევ:



წუთი სოფლის სტუმრები ვართ,  
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება;  
თუ ერთმანეთს არ ვახარებთ —  
იმის მეტი რა შეგვგრჩება?

ამათ გარდა, ვიკარს ჩაუწერია ვარიანტები ცნობილი აფორიზმებისა (პირველი მათგანი რუსთველს მიეწერება\*, მეორე კი ნამდვილად რუსთველისაა):

ათასად გვარი დაფასდა  
ათას ათასად ზღილობა  
თუ კაცი თვითონ არ არის  
ცუდია გვარიშვილობა.

\* \* \*

ვერ დაიფარავს სიკვდილსა  
გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი:  
მისთვის ყველანი ერთია,  
სუსტი და მუხლთძალოვანი,  
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა  
სიკვდილი სახელოვანი.

ბელა ვიკარი, ეტყობა, ინტენსიურად მუშაობდა ქართული ენის დასაუფლებლად. ამის დამამტკიცებელია მის არქივში დაცული ლექსიკოლოგიური მასალები (ქართული სიტყვე-

---

\* ამის შესახებ დაწვრილებით იხ. შ. ო ნ ი ა ნ ი, ეკუთვნის თუ არა რუსთველს ლექსი „ფილოსოფოსნი შემოკრბეს“, თბ., 1976.



ბი, ქართული საუბრის ნიმუშები, მისალმება...) იქვე აღიწერა იძლევა მათ გერმანულ და ფრანგულ თარგმანს თუ შესატყვისებს“<sup>14</sup>.

1973 წელს კვლავ მოგვიხდა უნგრეთში სამეცნიერო მივლინებით გამგზავრება და ბ. ვიკარის არქივის უფრო დეტალურად შესწავლა. გამოიჩვენა, რომ ვრ. წერეთლისა და დ. თოლორაიას გარდა, ვიკარის ჩანაწერებში მოხსენიებული არიან სხვა ქართველთა სახელები, რის თაობაზედაც მაშინ ვწერდით:

„ახლა აქ გამოვლინდა ორი მოზრდილი შეკვრა ქართული ხელნაწერებისა, რომელიც წარმოადგენს ბელა ვიკარის მიერ შედგენილ ქართულ-მეგრულ-სვანურ ლექსიკონს, ალაგ-ალაგ გვხვდება აფხაზურ-ოსური შესატყვისობანიც. ლექსიკონი თარიღდება 1916 წლით. გარდა იმისა, რომ აღნიშნული შრომა ქართული დიალექტოლოგიური პარალელური ლექსიკონის შედგენის ერთ-ერთი პირველ ცდათაგანია, იგი გვითვალისწინებს ბელა ვიკარის ღრმა ინტერესებს ქართული და ქართველური ენებისადმი და სრულიად ახალ ფურცელს შლის ბელა ვიკარის მიერ ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის

<sup>14</sup> გ. შ ა რ ა ძ ე, ქართული სიძველენი ბუდაპეშტში, „ლიტ. საქართველო“, 7. VIII. 1970. ჯ. გ ა გ ნ ი ძ ი ს ცნობით, ვიკარის აღნიშნულ არქივზე იმავე 1970 წელს უნგრეთში გამოქვეყნებულა ბ. შ ე ლ კ ე ნ ი ს წერილიც. იხ. ჯ. გ ა გ ნ ი ძ ე, „ვეფხისტყაოსნის“ უნგრული თარგმანები, თბ., 1975, გვ. 23-24; შდრ. ჯ. გ ა გ ნ ი ძ ე, „ვეფხისტყაოსნის“ ვიკარისეული უნგრული თარგმანის ისტორიისათვის, „მაცნე“, № 2, 1972, გვ. 153; მ ი ს ი ვ ე, „ვეფხისტყაოსნის“ უნგრული მთარგმნელები და თარგმანები (საკანდ. დისერტ., თბ., 1973, გვ. 26).



წარმოსადგენად. ჩვენ დღემდე ხეირიანად არც კი ვიცით ვიკარმა ნამდვილად იცოდა თუ არა ქართული ენა, ქართული წერა-კითხვა. მიკვლეული მასალებით კი ამ საკითხს უკვე უუქი ფეინება. ამას გარდა, გამოვლინდა ქართველთა ახალი სახელები, რომლებიც მჭიდრო თანამშრომლობაში ყოფილან ბელა ვიკართან. დღემდე ჩვენ ვიცნობდით გიორგი ცისკარაულს (თუ წიკლაურს), გრიგოლ წერეთელსა და დავით თოლორაიას. ბელა ვიკარი თავის პუბლიკაციებში ლაპარაკობდა უნგრეთში პირველი მსოფლიო ომის დროს მოხვედრილ მრავალ ქართველთან ნაცნობობასა და თანამშრომლობაზე, მაგრამ მათ სახელებს კი არ გვეუბნებოდა. ამიტომ მათი ვინაობა დღემდე უცნობი იყო. ბელა ვიკარის ხელნაწერულ მემკვიდრეობაში მივაგენით მათ სახელებსა და გვარებს. ესენია: სიჭინავა, ბარკალაია, ირაკლი მუქბანიანი, გიორგი კალანდაძე, ლევარსი მამალაძე, დავით საჯაია, აგრეთვე, ოსი — იასონ კულუმბეგოვი. ბელა ვიკარი მათგან იწერს ქართულ, მეგრულ, სვანურ, აფხაზურ, ოსურ სიტყვებს, სწავლობს ქართულ მეტყველებას. მინაწერებიდან ირკვევა მათი შეხვედრების დრო და ადგილი: ეგერი, ფრაკოვი, 1915-1916 წელი<sup>15</sup>.

მაშასადამე, დავით თოლორაიას და სხვა ქართველებს (გიორგი კალანდაძე, დავით საჯაია, ლევარსი მამალაძე, ირაკლი მუქბანიანი, სიჭინავა, ბარკალაია) ბ. ვიკარი უმთავრესად იყენებდა ქართული ენის დაუფლებისა და თავისი ენათმეცნიე-

---

<sup>15</sup> გ. შ ა რ ა ძ ე, არქეოგრაფიული ძიებანი, თბ., 1973, გვ. 159; მ ი ს ი ვ ე, „ვეფხისტყაოსნის“ უნგრული თარგმანი, „ახალგ. კომუნისტი“, 11. 2. 1975.



რული მიზნებისთვის, კერძოდ, უნგრული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის დასადგენად („ახალგ. კომუნისტი“, 11. 2. 75).

სულ უკანასკნელად ლ. ტარდიმ მოგვაწოდა ვენის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კრებულში 1917 წელს დაბეჭდილი ცნობილი ავსტრიელი ქართველოლოგის, ვენის უნივერსიტეტის პროფესორის რობერტ ბლაიხშტაინერის (1891-1954) ორი მოხსენება<sup>16</sup>, საიდანაც ირკვევა, რომ გარდა ბ. ვიკარისა, 1917 წლის მაის-ივნისსა და ოქტომბერში, ეგერის ქართველ სამხედრო ტყვეებთან რ. ბლაიხშტაინერსაც უმუშავნია და მათგან ჩაუწერია ქართული ფოლკლორული თუ ენათმეცნიერული თვალსაზრისით საინტერესო ტექსტები. პროფ. რ. ბლაიხშტაინერი, გარდა ბ. ვიკარის მიერ ჩამოთვლილი ქართველებისა, ახსენებს ლანჩხუთელ გრიგოლ კალანდარიშვილს, შუხუთელ ვლადიმერ ასკუარავას, კოლოზნელ მელიტონ ჯოჯუას, თელაველ ვასილ ვახვახიშვილს, ზუგდიდელ სამსონ კვარაცხელიას და, რაც ყველაზე მეტად საინტერესოა, ფშაველ ივანე წიკლაურს («Von dem Pschaven Iwan C'ik'lauri aus Svindadze, Kreis Tiflis, bekam ich eine Volkssage», გვ. 82; «von dem Pschaven Iwan C'ik'lauri aus dem Dorfe Svindadze bei Marienfeld in Kachetien... » გვ. 87).  
 ხომ არა აქვს რაიმე კავშირი ამ წიკლაურს ცისკარაულთან, ამან ხომ არ გამოიწვია „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნაში

<sup>16</sup> Berichte des Forschungsinstituts für Osten und Orient, I, Wien, 1917, გვ. 81-86 შმდ.

გიკარის ნამდვილი დამხმარის გიორგი ცისკარაულის გვარის დამახინჯებულ ველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ამ დროს სხვა ქართველებთან ერთად უნგრეთში ყოფილა ვინმე წიკლაური! ბელა ვიკარმა, მართალია, შეისწავლა და იცოდა ქართული, მაგრამ არა იმდენად, რომ თავისუფლად და დამოუკიდებლად შესძლებოდა რუსთველის თარგმნა. ამ საქმეში მას დახმარებიან ქართველები. კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“ უდიდესი ნაწილი 1909-12 წლებში ვიკარს უთარგმნია გიორგი ცისკარაულის დახმარებით, ხოლო ბოლო ნაწილი 1915 წლიდან გრიგოლ ილარიონის ძე წერეთლის მიწვევლიებით. პოემის ტექსტის სათანადოდ გასაგებად ვიკარი პირველ შემთხვევაში იყენებდა ესპერანტოს, ხოლო მეორედ — გერმანულ ენას. თარგმანი დასრულდა და გამოიცა 1917 წელს ბუდაპეშტში, გამომცემლობა „ათენეუმში“, რომელშიც ჩართულია მიხაი ზიჩის 26 ილუსტრაცია, ხოლო გარეკანზე გამოყენებულია ქართველიშვილისეული გამოცემის ყდის მხატვრობა. თარგმანს წინ უძღვის ბელა ვიკარის წინასიტყვაობა, რომელშიც განხილულია რუსთველის პოემის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა.<sup>17</sup>

უნგრელი მეცნიერის მ. იმტვანოვიჩის აღიარებით, „ჩვენთვის განსაკუთრებით საამაყოა, რომ მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენლის რუსთაველის ფასი ევროპაში ერთ-ერთმა პირველთაგანმა შეიცნო ბელა ვიკარმა, და არა

---

<sup>17</sup> „ვეფხისტყაოსნის“ ვიკარისეული თარგმანის ისტორიისა და ანალიზის თაობაზე ვრცლად იხ. ჯ. გაგნიძე, „ვეფხისტყაოსნის“ უნგრული თარგმანები, თბ., 1975.

მარტო შეიცნო, არამედ თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი უძღვნა ქართველოლოგიურ კვლევას. ამ მწვერვალს წარმოადგენს უნგრულ ენაზე ამეტყველებული რუსთაველის ქმნილება<sup>18</sup>, ხოლო გამოჩენილი უნგრელი მწერალი არბად ზემპლენი „ვეფხისტყაოსნის“ ვიკარისეული თარგმანის გამოსვლასთან დაკავშირებით „Budapesti szemle“-ში 1918 წელს წერდა: „ჩვენთვის, უნგრელებისთვის, რუსთაველის ქმნილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რადგან მისი ეროვნული გამოცემა გამოვიდა უდიდესი უნგრელი ილუსტრატორის მ. ზიჩის სურათებით... ზიჩი ადგილზე მუშაობდა და შეძლო ღრმად ჩასწვდომოდა თავისი ილუსტრაციების საგანს, მკითხველს მისი სურათები ძლიერ უწყობს ხელს სწორად გაიგოს თვით რუსთაველის ნაწარმოები. კავკასიის ვარსკვლავისთვის ბელა ვიკარს მიხაი ზიჩიმ მიაქცევინა ყურადღება. ვიკარმა, რომელიც მაშინ კალეველას ჯუნგლებში დახეტიალობდა, მიიღო დიდი მხატვრის წინადადება და ცოტა ხნის შემდეგ გაემართა უცნობი ვარსკვლავისაკენ... კავკასიის შემოვლა, თვით იალბუზის მწვერვალზე ასვლა ბავშვური თამაშია ქართული ენის შესწავლასთან შედარებით. ვიკარმა შესწავლა ქართული და გადათარგმნა „ვეფხისტყაოსანი“<sup>19</sup>.

ასე შეესხა ფრთები მიხაი ზიჩის დიდი ხნის ოცნებას მშობლიურ ენაზე ამეტყველებულიყო გენიალური ქართველი პოეტის უკვდავი ქმნილება!

<sup>18</sup> იხ. ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, რუსთაველი და უნგრეთის საზოგადოებრიობა, „მნათობი“, № 8, 1974, გვ. 187.

<sup>19</sup> ცნობა მომართა მ. ი შ ტ ვ ა ნ ო ვ ი ჩ მ ა, რისთვისაც დიდად ვმადლობ.

## თ ა ვ ი V

### მიხაი ზიჩის უცნობი ნამუშევრები

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მუზეუმს ამშვენებს მიხაი ზიჩის მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა. მათ შორის, ბუნებრივია, განსაკუთრებული ადგილი უნგრეთს უჭირავს. მაგრამ, როგორც ვთქვით, რუსეთი თავის დროს მ. ზიჩის მეორე სამშობლოდ იქცა და ამიტომაც, რომ ბევრი მისი ნამუშევარი დაცულია ლენინგრადსა (სახელმწიფო რუსული მუზეუმი, ერმიტაჟი, პუშკინის სახლი) და მოსკოვში (ტრეტიაკოვის გალერეა, პუშკინის სახელობის სახელმწიფო მუზეუმი, სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი...), აგრეთვე, პავლოვსკში, ომსკში, პიატიგორსკში, ირკუტსკში, ფრუნზესა და ერევანში<sup>1</sup>. მხატვრის ნამუშევართა საკმაოდ ნაწილი ინახება საქართველოს სიძველეთსაცავებში (ხელნაწერთა ინსტიტუტი, სა-

---

<sup>1</sup> იხ. Л. А л е ш и н а, Основные произведения М. А. Зичи, хранящиеся в музеях Советского Союза, წიგნში: Михай Зичи, М., 1975, გვ. 188-238.

ხელმწიფო ხელოვნების მუზეუმი, ზუგდიდის მუზეუმი) კვლავ  
კეული ნიმუშები გვხვდება კერძო კოლექციებში, როგორც  
ჩვენში, ისე უცხოეთშიაც.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს უნგრეთსა და საბჭოთა კავ-  
შირში, კერძოდ, საქართველოში დიდი ყურადღებით ეკიდები-  
ან და სწავლობენ მ. ზიჩის შემოქმედებას, მაინც, უნდა ითქ-  
ვას, რომ ბევრი მისი ნამუშევარი ჯერ კიდევ არ არის ცნობი-  
ლი და გამოვლენილი, ან სათანადოდ შესწავლილი. სწორია  
ისეთი შემთხვევაც, როცა მხატვრის რომელიმე ცნობილი ნამუ-  
შევრის დედანი დაკარგულია, ან კიდევ, მისი ადგილსამყოფე-  
ლი არ ვიცით.

ამ მხრივ მეტად ნაყოფიერი გამოდგა უკანასკნელი ორი  
ათეული წლის მანძილზე საქართველოში გაწეული მუშაობა  
მ. ზიჩის უცნობი ნამუშევრების გამოვლენისა და შესწავლი-  
სათვის.

პოეტმა გრიგოლ აბაშიძემ მოსკოვში შეიძინა და თბი-  
ლისში ჩამოიტანა ზიჩის „უცნობი ქართველი ქალის პორ-  
ტრეტი“, რომელიც დახატულია წყლის ფერებით და ფანქრით.  
ბ. გორდეზიანის შეფასებით, „ახლად აღმოჩენილი პორტრეტი  
შესრულებულია მაღალი გემოვნებით და ზიჩისთვის დამახა-  
სიათებელი დიდი რეალისტური ოსტატობით. გარდა მხატვ-  
რული ღირსებისა, ეს პორტრეტი საყურადღებოა აგრეთვე  
შესრულების თარიღითაც (1874), რასაც ერთგვარი სიახლე შე-  
აქვს ზიჩის დამოკიდებულებაში ქართველ საზოგადოებასთან.  
აღნიშნული თარიღი გვიჩვენებს, რომ ზიჩი ბევრად უფრო  
ადრე ყოფილა დაახლოებული ჩვენს საზოგადოებასთან, ვიდ-  
რე ეს დღემდე იყო ცნობილი. სხვა მხრივაც არის საყურადღე-



ბო ეს თარიღი: როგორც ვიცით, 1874 წლის დასაწყისში ზიჩიმ დასტოვა რუსეთი და დიდი ხნით გაემგზავრა პარიზში, სადა ევროპის სხვა ქალაქებში. ადვილი შესაძლებელია, რომ ამ სურათზე გამოსახული პირი არის პარიზში მცხოვრები რომელიმე ქართველი მანდილოსანი. ეს კიდევ უფრო აძლიერებს ინტერესს ამ პორტრეტისადმი, რადგან, ამით უდავო ხდება ზიჩის ურთიერთობა პარიზში მყოფ ქართველებთან“ (ბ. გორდეზიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 62-63)<sup>2</sup>.

ბ. გორდეზიანმა ყურადღება მიაქცია „კავკასია“ (1900, № 138) და „ცნობის ფურცელში“ (1900, № 136) გამოქვეყნებულ მასალებს, რომელთა მიხედვით, საბინინის „საქართველოს სამოთხეში“ (სპბ, 1882) შესული ქართველ მოღვაწეთა პორტრეტული გამოსახულებანი თითქოს მ. ზიჩის უნდა ეკუთვნოდეს (იქვე, გვ. 66), თუმცა ეს ვარაუდი მეტ დაზუსტებას მოითხოვს (პირადად ჩვენ ეს ნაკლებ სარწმუნოდ მიგვაჩნია). ამას გარდა, მ. ზიჩის დაუხატავს სამი ეპიზოდი „წმინდანის ცხოვრებიდან“, რომელიც „ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნის დროს, ფოტოტიპის საშუალებით გამოსცა მან სამ ფურცლად... (ამ იშვიათი გამოცემის ერთი ცალი ინახება საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში)“<sup>3</sup>. ამის შესახებ „ივერია“ 1887 წელს წერდა: „პეტერბურგის გაზეთები ამბობენ, რომ მხატვარი ზიჩი ჰხატავს ამ ჟამად რამდენსამე

<sup>2</sup> იხ. აგრეთვე, ვ. ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე, უცნობი პორტრეტი, „დროშა“, 1974, № 12, გვ. 11. აქვეა დაბეჭდილი ამ „უცნობი ქართველი ქალის პორტრეტის“ ფერადი ფოტორეპროდუქცია.

<sup>3</sup> ბ. გორდეზიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 71.



პოეტი გიორგი შარვაშიძე, ტარიელის პროტოტიპი  
ჭიჩის ილუსტრაციებში



ქაიხოსრო ქაჯაია, როსტევეან მეფის პროტოტიპი ზიჩის ილუსტრაციებში



ჯამბაკურ გურიელი, ფარსადან მეფის პროტოტიპი ზიჩის  
ილუსტრაციებში




ქართული  
ენების  
აქადემია



ჯაბა გურიელი, ფრიდონის და დემონის პროტოტიპი „ვეფხისტყაოსანსა“ და „დემონის“ ზიჩისეულ ილუსტრაციებში




სიმონ მიქელაძე (მარცხნივ) ტარეღის პროტოტიპი ზიჩის ილუსტრაციაში; სიმონ წულუკიძე, 1870, ს.-პეტერბურგი



ვ. იოჰანსენი, შოთა რუსთაველის პორტრეტი (ე. წილოსნის  
საკუთრება)







ვეფხისტყაოსნის ვიკარისეული უნგრული თარგმანის გარე-  
კანი, ბუდაპეშტი, 1917 წ.

*Zichy Mihály*  
*illusztrációi*



*26 műlap*  
*Rusztaveli grúz költő*

*Tariel*  
*a párduchbőrös lovag*  
*című hőskölteményéhez*



*Budapest, 1917.*

*Athenaeum irodalmi és nyomdai r. t.*  
*kiadása.*

ვეფხისტყაოსნის ვიკარისეული უნგრული თარგმანი (კონტრ-ტიტული), ბულაპეუტი, 1917 წ.



ბელა ვიკარი, ვეფხისტყაოსნის უნგრელი მთარგმნელი



გრიგოლ ილარიონის ძე წერეთელი, ბელა ვიკარის დამხმარე  
ვეფხისტყაოსნის უნგრულ ენაზე გადათარგმნაში.



მ. ზიჩი, ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციის ესკიზი



მ. შიჩი, ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციის ესკიზი



მ. ზიჩი, ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციის ესკიზი



მ. შიჩი, ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციის ესკიზი





მ. შირი, ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციის ესკიზი


სურათს წმ. ნინოს ცხოვრებიდამაო“ (13 იანვარი, 1887 წ., № 8), ხოლო ჟურნალი „მწყემსი“ უკვე 1888 წელს ნებოდა: „რუსული გაზეთები გვაუწყებენ, რომ მ. ა. ზიჩის უკვე დაუხატავს რამდენიმე სურათი წმ. მოციქულთ-სწორის ნინას ცხოვრებიდამ. ამ სურათებით უნდა მორთონ ამ წმინდანის სასაფლაო ბოდბის მონასტერში, რომელიც იმყოფება სიღნაღის მაზრაში“ („მწყემსი“, 1888, № 2, გვ. 8-9). ბ. გორდეზიანის ცნობით, ეს სურათები მ. ზიჩის პეტერბურგში დაუბეჭდავს სამ ფურცლად; ამას გარდა, „ივერია“ 1904 წელს წერდა, რომ მ. ზიჩის 3 სურათი წმ. ნინოს ცხოვრებიდან ახლად გამოსცა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ კ. ი. მესხიშვილის ფოტოტიპიაშიო (იხ. „ივერია“, 1904, 30 ნოემბერი, № 274). საქართველოში მეორედ ჩამოსვლის (1888) დროს მ. ზიჩის დაუხატავს „იკორთის მონასტერი“, რომელიც „დღემდე ჩვენში სრულიად უცნობი იყო“ — შენიშნავს ბ. გორდეზიანი<sup>4</sup>.

ჟურნალ „დროშაში“ (№ 1, № 7, 1971) ზედიზედ დაიბეჭდა შ. კვასხვაძის<sup>5</sup> და გ. პაიჭაძის<sup>6</sup> წერილები, რომლებიც ეხებოდა მ. ზიჩის კიდევ 3 უცნობ ნამუშევარს (აქედან 2 ნამუშევრის ფოტორეპროდუქცია მათ გამოაქვეყნეს კიდევაც).

<sup>4</sup> ბ. გორდეზიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 72.

<sup>5</sup> შ. კვასხვაძე, ზიჩის უცნობი სურათები, „დროშა“, 1971, № 1, გვ. 13.

<sup>6</sup> გ. პაიჭაძე, მიხაი ზიჩის ერთი სურათის გამო, „დროშა“, № 7, 1971, გვ. 9.



შ. კვასხვაძის მიერ ნანახი მიხაი ზიჩის 2 სურათი დაცულია თბილისში მხატვრების რეზო ცუცქირიძისა და ელენე ხორთაძის კევიჩის ოჯახში. ისინი 1943 წელს ოლდა კარანოვიჩისაგან შეუძენია სტანისლავ როდკევიჩს. პირველი — „ახალგაზრდა ქალის პორტრეტი“ (62×52 სმ), დახატული ტონირებულ ქალღმერთზე იტალიური ფანქრით, ჩასმული შესრულების დროსვე ოვალურ ჩარჩოში. ეს ოლდა კარანოვიჩის პორტრეტი, რომელიც წარმოშობით პოლონელი ყოფილა. შ. კვასხვაძის სიტყვით, „პორტრეტი მხატვრის შემოქმედების ადრინდელ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს“. ეს მოსაზრება არ უნდა იყოს სწორი, რადგან თუ პორტრეტი თვით ოლდა კარანოვიჩისაგან 1943 წელს შეიძინეს, მაშინ იგი ზიჩის შემოქმედების ადრინდელ პერიოდში მოწიფული ახალგაზრდა ქალი კი არა, დაბადებულის არ იქნებოდა. ასე რომ, უნდა ვივარაუდოთ, აღნიშნული პორტრეტი მხატვარს გასული საუკუნის მიწურულში უნდა ჰქონდეს შესრულებული. ოლდა კარანოვიჩის პორტრეტს გარდა, ამავე ცუცქირიძეების ოჯახში დაცული ყოფილა მეორე სურათიც („მობანავე ქალები“), რომელიც დათარიღებულია 1843 წლით. აღნიშნული თარიღის მიხედვით შ. კვასხვაძე ვარაუდობს, რომ „ეს სურათი ზიჩის დაუწერია ვენის აკადემიაში სწავლის დროს. იგი თვალსაჩინოდ ახასიათებს მხატვრის შემოქმედების აკადემიურ პერიოდს“.

გ. პაიჭაძის მიერ ახლად აღმოჩენილ სურათზე გამოხატულია სამი ქართველი, რომლებიც ჩაცმულობითა და ტიპაჟით დასავლეთ საქართველოდან უნდა იყვნენ წარმოშობით. სურათის ზომაა 50×60 სმ; მუყაო, აკვარელი; მარჯვნივ, ქვედა კუთხეში უზის მხატვრის ფაქსიმილე Zichy და თარიღი —

1857. გ. პაიჭაძე ამ სურათს შემთხვევით წააწყდა მოსკოვის ერთ-ერთ საკომისიო მაღაზიაში, დღეს მისი საკუთრებაა და დაცულია თბილისში.

გიორგი მთაბრაშვილი

ბუნებრივია, ინტერესს იწვევს სურათზე გამოსახულ პერსონაჟთა ვინაობა. გ. პაიჭაძეს მათი გამოცნობა არ უცდია. პირველად ამის გარკვევა სცადა დ. შულღიაშვილმა<sup>7</sup>. მისი მტკიცებით, სურათზე გამოსახულნი არიან რუსეთის სამეფო კარის ცხენოსანთა რაზმის ე. წ. „კონვოის“ მხედრები ილიკო როსტომის ძე წერეთელი (აკაკის ძმა), გიორგი აბაშიძე და გიორგი ნაკაშიძე, რომლებიც 1854 წლიდან პეტერბურგში მსახურობდნენ. საამისოდ ავტორი აკაკის „ჩემს თავგადასავალს“ იშველიებს. მაგრამ წინააღმდეგ ამისა, აკაკის ამავე თხზულებაზე დაყრდნობით, სოლ. ხუციშვილი ზიჩის გმირებად სამსონ აბაშიძეს, ამილახვარსა და ანდრონიკაშვილს მიიჩნევს<sup>8</sup>.

ჩვენ თავის დროზე ვერ დავეთანხმეთ<sup>9</sup> ვერც ერთ ამ მოსაზრებათაგანს: ჯერ ერთი, არსაიდან არ ვიცით, რომ სურათი მაინცდამაინც პეტერბურგში იყოს შექმნილი, და ისიც ასე

<sup>7</sup> დ. შულღიაშვილი, ზიჩის ქართველი პერსონაჟები, „დროშა“, № 10, 1971, გვ. 15.

<sup>8</sup> ს. ხუციშვილი, მცირე შენიშვნა, „დროშა“, № 1, 1972, გვ. 14.

<sup>9</sup> გ. შარაძე, მიხაი ზიჩის და მარი ეტლინგერის ახლად აღმოჩენილ ნამუშევართა გამო, „ლიტ. საქართველო“, 3. VIII. 1973; მისივე, არქეოგრაფიული ძიებანი, თბ., 1973, გვ. 156; G. Saradze, Zichy Mihály es Mary Etlinger újonnan felfedezett műveről, «Művész. értesítő», Budapest, 1973, XXII, გვ. 276—277.

შუსტად, მეფის აგარაკზე, ცარსკოე სელოში ყოფნის დროს, როგორც ამას ზემოთ დასახელებული ავტორები მიუთითებენ, მეორეც, თუ ზიჩის გმირები აუცილებლად „შადლულში“ გამარჯვებული „კანვოელები“ არიან, მაშინ უფრო უპრიანი იქნებოდა, ისინი მხედრულ ფორმაში დაეხატათ, ვინემ ეროვნულ ტანსაცმელში. ამას გარდა, ავტორები მხედველობიდან უშვებენ ერთ გარემოებას: სურათის მფლობელებს ტრადიციულ ცნობაზე დამყარებით სცოდნიათ, რომ მასზე გამოხატულნი არიან მეგრელები და იგი მართლაც, გ. პაიჭაძის ცნობით, ამ წარწერით იყიდებოდა მაღაზიაში. ამიტომ ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ამ სურათზე მ. ზიჩიმ წარმოგვიდგინა სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ჰავკვაძე-დადიანის ამაღლის წევრები, რომლებიც მას გაჰყვნენ მოსკოვს, ალექსანდრე II-ის კორონაციასზე დასასწრებლად სწორედ 1856 წელს. გმირების ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობა ამ მიზეზით უნდა აიხსნას. სურათის შესრულების თარიღიც ამ წელს ემთხვევა. ზიჩის იგი მოსკოვში უნდა ჰქონდეს შექმნილი იმპერატორის კურთხევაზე ჩასული ქართველი თავადიშვილების გაცნობის ცოცხალი შთაბეჭდილების ქვეშ<sup>10</sup>.

<sup>10</sup> ამ მოსაზრებას გვიძლიერებს ლ. ალიოშინას მიერ ახლახან მოწოდებული ფაქტიური ხასიათის ცნობა, რომ ტიმთან, გაგარინთან და სხვებთან ერთად ზიჩის 1856 წელს ჩანახატების სპეციალური ალბომი შეუქმნია ალექსანდრე II-ის კორონაციასთან დაკავშირებით (იხ. Л. Алешина. Михайл Зичи, М., 1975, გვ. 59). ამას გარდა, მოვიგონოთ დ. ერისთავის მტკიცება, რომ „დემონის“ ილუსტრაციებში ქალებთან შედარებით ქართველი მამაკაცები ზიჩის უფრო კარგად იმიტომ გამოუვიდა, რომ ისინი ნატურიდან არიან აღებული, კერძოდ, მათი პროტოტიპებია თავადები წერეთელი, გურიელი და სხვები, რომლებიც თავიანთ „შესანიშნავ ეროვნულ ტანსაცმელში“

ჩვენი ეს დასკვნა არსებითად გაიზიარა პ. წერეთელი  
თელმა: „მაშ ვინ არიან ეს ახალგაზრდები? ან ეკატერინე კვინიტაძის  
ქავაძის მხლებლები, ანდა ის ახალგაზრდები, რომლებმაც წინააღმდეგობა  
გზავნილ იყვნენ ალექსანდრე II-ის გვირგვინის კურთხევაზე  
დასასწრებად, მათ შორის კი ილიკო წერეთელი არ ყოფი-  
ლა“<sup>11</sup>. აღნიშნული პორტრეტული კომპოზიციის კვლევა მო-  
მავალში მაინც უნდა გაგრძელდეს მასზე გამოხატულ პიროვ-  
ნებათა ვინაობის საბოლოოდ დასადგენად.

მამასადამე, 1874 წელს შესრულებული „უცნობი ქართ-  
ველი ქალის პორტრეტზე“ თითქმის 20 წლით ადრე შექმნი-  
ლი, როგორც მას ერქვა, „მეგრელების“ აღმოჩენამ ამდენივე  
წლით უკან გადასწია „ქართულ საზოგადოებასთან ზიჩის და-  
მოკიდებულებისა და დაახლოების“ საკითხიც. როგორც ვხე-  
დავთ, მხატვარი რუსეთში თავისი მოღვაწეობის პირველივე  
პერიოდიდან ყოფილა დაინტერესებული ქართველებით, მათი  
ვაჟკაცური ბუნებით, იერით, ჩაცმულობით, რაც მერე ასე  
ბრწყინვალედ გამოიკვეთა „ვეფხისტყაოსნის“ ზიჩისეულ  
ილუსტრაციებში.

თბილისში, ექიმ ვახტანგ ელიოზიშვილის ოჯახში შემთხ-

---

ში გამოწყობილნი ჩავიდნენ იმპერატორის კორონაციაზე“ (დ. ერისთავის  
ეს სტატია დაწერილია რუსულ ენაზე გასული საუკუნის 80-იან წლებში, 3

გვერდზე, დატულია საქ. სახ. ლიტ. მუზეუმში:  $\frac{18683}{290}$  შდრ. ბ. გორ-

დ ე ზ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 26-29).

<sup>11</sup> პ. წერეთელი, ისევ ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის გა-  
მო, „ლიტ. საქართველო“, 1976, 26 მარტი, № 13.

ვევა მოგვეცა გავცნობოდით ორ სურათს, რომელთაგან ერთი, ზიჩის უნდა ეკუთვნოდეს, ხოლო მეორე — მის ცნობილ მოწაფე მხატვარ ქალს მარი ეტლინგერს.



მინაი ზიჩის სურათი წარმოადგენს ნინო დავითის ასულ წერეთლის (1847-1922) პორტრეტს; მისი ზომაა 30×25 სმ, ზეთი. პორტრეტზე გამოსახულმა პიროვნებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მხატვრის შემოქმედებით ცხოვრებაში: ნინო წერეთელი, რომელიც იყო მეუღლე გენერალ-ლეიტენანტ ბიძინა ოთარის ძე ჩოლოყაშვილისა (1830-1902) ნივთიერად ეხმარებოდა ზიჩის ქუთაისში „ვეფხისტყაოსნის“ გახმაურებული ცოცხალი სურათების დადგმაში. ამას გარდა, ნ. წერეთელი-ჩოლოყაშვილისა თვითონაც მონაწილეობდა ცოცხალ სურათებში, კერძოდ, მ.ზიჩიმ მისი შეუდარებელი სილამაზე და მოხდენილობა გამოიყენა თამარ მეფის სახის შესაქმნელად განთქმულ კომპოზიციაში „მოთა რუსთველი თამარ მეფეს მიაართმევს ვეფხისტყაოსანს“. ეტყობა, ნინო წერეთლის ეს პორტრეტიც ზიჩიმ ამავე პერიოდში შექმნა, კერძოდ, 1882 წელს.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მარი ეტლინგერის უცნობი ნამუშევრები. როგორც ვიცით, ზიჩის ეს ნიჭიერი მოწაფე მხატვარი ქალი 1887 წელს ცოლად გაჰყვა ქართველ თავადს დიმიტრი კონას ძე ერისთავს და ერთხანს ცხოვრობდა ქმრის საგვარეულო მამულში, ქსნის ხეობაში, სოფელ იკორთაში<sup>12</sup>.

---

<sup>12</sup> ბ. გორდეზიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 77-78.

საქართველოში ცხოვრების დროს მარი ეტლინგერს ორ შეუწყვეტია შემოქმედებითი მუშაობა. თბილისში კონსტანტინე ელიოზიშვილის ოჯახში დაცულია მისი „თამარ ერისთავის პორტრეტი“ (22×23 სმ, ზეთი) და „იასამნები“. ამათ გარდა, ვ. ელიოზიშვილის ცნობით, სოფელ მეჯვრისხევის მუზეუმში (გორის რაიონი) ინახება მარი ეტლინგერის მესამე ნამუშევარი „კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ერისთავის პორტრეტი“<sup>13</sup>, ხოლო სოფელ ფლავში, დიმიტრი ერისთავის ოჯახში მას უნახავს მარი ეტლინგერის მიერ შესრულებული ლევ ტოლსტოის მეტად საინტერესო პორტრეტიც.

მიხაი ზიჩისა და მარი ეტლინგერის აღნიშნული ნამუშევრები საინტერესო ფურცლებია მათი შემოქმედებითი ცხოვრების უკეთ შესწავლისა და წარმოჩენისათვის, აგრეთვე წარსულში უნგრეთ-საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა უფრო ნათლად გათვალისწინებისათვის.

ი. ბერკოვიჩის სამართლიანი თქმით, «Зичи был не только иллюстратором, но и незаслуженно забытым талантливым живописцем, отражавшим в своих полотнах современную ему действительность». ი. ბერკოვიჩმა თავის შრომაში განსაკუთრებული ადგილი დაუთმო ზიჩის ფერწერულ ნამუშევართა ანალიზს, მაგრამ სრული სურათის შესაქმნელად, მკვლევარს, მისივე აღიარებით, ხელი შეუშალა იმ გარემოებათ, რომ «Произведения, созданные Зичи в последние годы его жизни, остались нам неизвестны, за исключе-

<sup>13</sup> შდრ. ბ. გორდეზიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 78.



ნიემ ოდნო, მალენკო კარენაშნო ავტორტრეტა, ნარისოვანო ვ 1902 გოდუ»<sup>14</sup>.

ამ მხრივ იღბლიანი გამოდგა 1969 წელს ჩვენი რიში, სადაც შემთხვევა მოგვეცა გავცნობოდით მიხაი ზიჩის 44 ფერწერულ ნამუშევარს.

ჩვენს მიერ გამოვლენილი მ. ზიჩის 44 უცნობი ფერწერული ნამუშევარი მხატვარს შესრულებული აქვს სწორედ სიცოცხლის ბოლო წლებში (1900-1901) და თუ გავითვალისწინებთ მხატვრის შემოქმედების აღიარებული მკვლევარის ი. ბერკოვიჩის ზემოთქმულ სიტყვებს, რომ ამ პერიოდიდან აქამდე ჩვენთვის მხოლოდ ერთადერთი ავტობორტრეტი იყო ცნობილი, ადვილი მისახვედრია ახლად აღმოჩენილი სურათებით როგორ ერთბაშად მდიდრდება ჩვენი წარმოდგენა მიხაი ზიჩის სიცოცხლის ბოლო წლების შემოქმედებაზე.

პირველ ყოვლისა, საინტერესოა ვიცოდეთ, საიდან მოხვდა მ. ზიჩის ნაწარმოებები ყირიში და რას წარმოადგენენ ისინი.

მხატვრის ბიოგრაფიიდან დავინახეთ, რომ ვალდმიულურის რეკომენდაციით 1847 წელს მ. ზიჩი პეტერბურგში მიიწვიეს საიმპერატორო კარის მხატვრად. მართალია, თავისი პროგრესული პოლიტიკური იდეების გამო ვერ შეეგუა საკაორო ცხოვრებას და რამდენიმეჯერ (1849, 1874) სასახლე დატოვა კიდეც, მაგრამ საბოლოოდ იგი იძულებული გახდა ბედს დამორჩილებოდა და 1883 წლიდან გარდაცვალებამდე (1906)

---

<sup>14</sup> И. Беркович, Михаи Зичи, Будапешт, 1965, გვ. 19.

რუსეთის იმპერატორის ოფიციალურ კარის მხატვრად დაინიშნა.  
ნილიყო.

თავის დროზე იმპერატორმა ალექსანდრე II-მ მისი მხატვრული რჩევით თავისი მეუღლისათვის ყირიმში, ლივადიაში ააგო სასახლე, რომელსაც შემდეგ საიმპერატორო აგარაკად იყენებდნენ. მ. ზიჩი, ვითარცა კარის მხატვარი, ეტყობა, ჩამოდიოდა ლივადიაშიც და აი, 1900-1901 წლებში მას შეუქმნია სურათების სერია, რომელიც შემდეგ ალბომად გაუერთიანებია და ლივადიის სასახლეში ყოფილა დაცული<sup>15</sup>.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ლივადიის მახლობლად, ალუპკაში, მ. ს. ვორონცოვის ყოფილ სასახლეში, ვ. ი. ლენინის დეკრეტის საფუძველზე მოეწყო მუზეუმი, რომელშიაც მ. ზიჩის აღნიშნული ალბომიც ყოფილა დაცული. უკანასკნელად კი ზიჩის ალბომი გადაუტანიათ ყირიმის ოლქის ცენტრში — ქ. სიმფეროპოლში და სამხატვრო მუზეუმის კუთვნილება გამხდარა.

ალბომს მხატვრის ხელით აწერია: „Ливадия, 1900-1901“. თითოეულ სურათს ახლავს მ. ზიჩის ფაქსიმილე და დაფარვლებანი: წელი, თვე და ზოგჯერ რიცხვიც. ალბომში სულ 11 ფურცელია. თითოეულ ფურცელზე სამი, ოთხი, ხუთი და ხან ექვსი სიუჟეტური კომპოზიციაა ქმნილი, რომელთა შინაარსი მ. ზიჩის ფრანგული და რუსული წარწერებით აქვს გადმოცემული. სურათები აკვარელით არის შესრულებული.

<sup>15</sup> ლ. ალიოშინას მიერ შედგენილი კატალოგიდან ჩანს, რომ მ. ზიჩის ლივადიაში სხვა ჩანახატებიც ჰქონია შექმნილი (დასახ. ნაშრ., გვ. 222, 224, 227, 231, 233, 234).

აქ ნახავთ ყირიმის ულამაზეს პეიზაჟებს (ლივადი, სტეფანობოლო) და უამრავ, ყოველდღიურ ყოფით სცენას სასამართლო კარის ცხოვრებიდან. მხატვარი დიდი ოსტატობით ქმნის სასახლის ტიპაჟს (ოფიცრები, სასულიერო პირები, ლაქიები). ხშირია ისტორიული ფაქტებისა (მაგალითად, ოსმალეთის ელჩის სტუმრობა, დიდი მთავრის გიორგი მიხეილის ძის ჩამოსვლა) თუ ცალკეული ისტორიული პირისადმი (მაგ., იმპერატორი ნიკოლოზ II) მხატვრის გამახვილებული ყურადღება.

მაგრამ ყველაზე მეტად მაინც მ. ზიჩის ამ ახლად გამოვლენილი 44 ნამუშევრიდან ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მხატვრის დღემდე უცნობი ორი ავტობორტრეტი. ერთზე გამოსახულია მხატვარი, რომელიც იხატავს მის წინ მომხდარ მოქმედებას, ხოლო მეორეზე ვხედავთ სავარძელში მჯდომ ჭაღარაწვევრიან, სათვალეზიან მოხუც ხელოვანს, რომელიც ფანქრით აკეთებს ჩანახატს. ამ უკანასკნელს ფრანგულად მიწერილი აქვს «Un impartial», რაც მიუღვამლობას ნიშნავს. ალბათ, მხატვარს ამით სურს გადმოსცეს თავისი შემოქმედებითი მრწამსი. ორივე ავტობორტრეტი 1900 წელსაა შესრულებული<sup>16</sup>. დიდია მ. ზიჩის ამ ორი უცნობი ავტობორტრეტის მნიშვნელობა (თავი რომ დავანებოთ დანარჩენ ნამუშევრებს), თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დღემდე ჩვენ არ გავვაჩნდა მხატვრის სიცოცხლის ბოლო წლებში შესრულებუ-

<sup>16</sup> იხ. Г. Шарадзе, Неизвестные работы Михая Зичи, «Лит. Грузия», № 8, 1971; გ. შარაძე, არქეოგრაფიული ძიებანი, თბ., 1973, გვ. 98-101; G. Saradze, Zichy Mihály ismeretlen munkái, «Művész. ertesítő», Budapest, 1973, XXII, გვ. 271—275.

ლი ავტობორტრეტები, გარდა იმ ერთისა, რომელზედაც ბერკოვიჩის სიტყვებით, «он изобразил себя бородастым старцем, с неясными, едва уловимыми чертами, сходным с призраком» (დასახ. ნაშრ., გვ. 19).

მიხაი ზიჩის ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში შექმნილ ამ ნამუშევართა გამოვლენას ინტერესით შეხვდნენ დიდი მხატვრის სამშობლოში<sup>17</sup>; გულთბილად გამოეხმაურა ამ ფაქტს თვით მხატვრის შვილიშვილი, მიხაი ზიჩის სახლ-მუზეუმის დირექტორი ზალაში, მარია ალექსანდრა რონოი<sup>18</sup>. მ. ზიჩის მხატვრულ მემკვიდრეობას შეემატა რამდენიმე პირველხარისხოვანი ქმნილება<sup>19</sup>.

სულ ცოტა ხნის წინათ (1977 წლის ივნისში) შემთხვევა მოგვეცა გავცნობოდით „დემონის“ მიხაი ზიჩისეულ სამ ილუსტრაციას, რომელიც ინახება თბილისში, ე. წილოსნის ოჯახში (იხ. „საბჭოთა ხელოვნება“, № 1, 1978). გვსურს მადლობით მოვიხსენიოთ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები (ე. ალექსანდრია, ლ. დოლაბერიძე, ქ. ბაგრატიშვილი), რომელთა ერთობლივი კონსულტაციით დადგინდა, რომ ისინი წარმოადგენს საღებავებით მალალოსტატუ-

---

<sup>17</sup> István Békés, Zichy Mihály ismeretlen festményei, «Országvilag», Budapest, 1971, № 4, გვ. 8-9; იხ. აგრეთვე, «Magyar hirlep», Budapest, 3. VIII. 1970. «Kisalföld», 19. V. 1973.

<sup>18</sup> ვლ. ალფენიძე, დასახ. წიგნი, გვ. 331.

<sup>19</sup> სამწუხაროდ, მათ, აგრეთვე, საქართველოში უკანასკნელ ხანს გამოვლენილ მ. ზიჩის არც სხვა უცნობ ნამუშევრებს არ იცნობს ლ. ალიოშინა-შდრ. Л. Алешина, Михай Зичи, М., 1975, გვ. 188-238.



რად (შეიძლება მხატვრის ხელითაც!) გაცხოველებულ ქრო-  
მოლითოგრაფიებს.

ყოველივე ეს ცხადად მოწმობს, თუ როგორი დაუცხრომე-  
ლი ინტერესით ეკიდებიან დღეს ორ მოძმე ქვეყანაში იმ დიდი  
ადამიანის შემოქმედებას, რომელმაც თავის დროზე ასე ბევ-  
რი რამ გააკეთა ჩვენი ხალხების ურთიერთგაცნობისა და დაახ-  
ლოებისათვის. სწორად შეუნიშნავს უნგრელ მკვლევარს ლას-  
ლო ბენის: „ზიჩისადმი სიყვარული და პატივისცემა დღემდე  
არ შენელებულა საქართველოში. ეს პატივისცემა ქართველი  
ხალხის უნგრეთისადმი სიყვარულსაც გამოხატავს ერთგვარად.  
ამ სიყვარულს ჩვენ რუსთველისადმი თაყვანისცემით ვუბრუ-  
ნებთ ქართველ ხალხს“<sup>20</sup>.

---

<sup>20</sup> თქვენ იცნობთ ზიჩის?, „ლიტ. საქართველო“, 1967, 10 თებერვალი.

## თ ა ვ ი VI

### მეგობრობა გრძელდება

გულწრფელი მეგობრული ურთიერთობა და შემოქმედებითი თანამშრომლობა აკავშირებდა მიხაი ზიჩის დიდ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწესთან ივანე მაჩაბელთან (1854-1898), რომელიც იყო „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის გამოცემის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და სულისჩამდგმელი, მისი ფაქტიური რედაქტორი, რაც აღნიშნულია კიდევ გამოცემის შენიშვნაში: „ბეჭდვის დროს ყურის-გდება თავს იღვა თ. ივანე გიორგის ძე მაჩაბელმა, რომელსაც ეკუთვნის ამ წიგნის უკანასკნელი რედაქცია“.

მ. ზიჩი დიდად აფასებდა ივ. მაჩაბელთან მეგობრობას. ეს თვალნათლივ ჩანს მისდამი 1887 წლის 12 სექტემბერს პეტერბურგიდან გამოგზავნილი დეპეშიდან: «Благодарю. Высоко ценю Вашу дружбу. Зичи»<sup>1</sup>.

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, № 13959-6.

ივანე მაჩაბელი შედიოდა „ვეფხისტყაოსნის“ ქართვე-  
ლიშვილისეული გამოცემის როგორც ტექსტის დამდგენ კომი-  
სიაში, ისე საგამომცემლო, „ბეჭდვით კომიტეტში“, რომელსაც  
ილია ჭავჭავაძე თავმჯდომარეობდა. „ერთი თანამედროვის  
გადმოცემით, გ. ქართველიშვილისთვის ივანე მაჩაბელს მიუ-  
ცია რჩევა, გამოეცა ვეფხისტყაოსანი მდიდრულად, რაზეც გი-  
ორგი ქართველიშვილი სიხარულით დათანხმებულა“<sup>2</sup>.

პოემის ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში ივ. მაჩა-  
ბლის მონაწილეობის ამსახველი ცნობები გაფანტულია 1881  
წელს ი. მეუნარგიას მიერ გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ  
ოქმებში<sup>3</sup>. ამას გარდა, ჩვენამდე მოაღწია პოემის 1888 წლის  
გამოცემის დედანმა: იგი წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“  
1860 წლის დ. ჩუბინაშვილისეული გამოცემის ნასწორებ  
ცალს<sup>4</sup>; მასში უბრალო ფანქრით შეტანილი ჩასწორებანი,  
ს. ყუბანეიშვილის დაკვირვებით, საფიქრებელია, ივ. მაჩაბელს  
ეკუთვნოდეს, რომელსაც დავალებული ჰქონდა „ვეფხისტყა-  
ოსნისათვის“ უკანასკნელი რედაქციის გაკეთება<sup>5</sup>.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენ კომისიაში მუშაო-  
ბასთან ერთად უშუალოდ ივანე მაჩაბლის მხრებს დააწვა პო-

---

<sup>2</sup> ირ. უზნაძე, ამგდარი მოქალაქე (გიორგი ქართველიშვილი),  
„საბჭოთა ხელოვნება“, 1969, № 12, გვ. 50.

<sup>3</sup> შდრ. „დროება“, 1881, № 57.

<sup>4</sup> საქ. სახ. ლიტ. მუზეუმი, № 13666.

<sup>5</sup> ს. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის ისტორიი-  
დან (XVIII-XIX). თბ., 1966, გვ. 127.



ემის ბეჭდვის მძიმე ტვირთი, რასაც იგი 1887 წლის წაფხულში<sup>6</sup> შეესდგომია. ამ დროს თბილისიდან წასულ იონა მეუნარგია<sup>7</sup> გაიას მთელი იმედები ივანე მაჩაბელზე ჰქონდა დამყარებული: „ძნელია და თავ-საქეჩი ეს საქმე, მაგრამ რაკი ხელი მოჰკიდე, მეტი რა ღონეა, თავში ქვა უნდა იცე, კიდევ იკითხო, ასწორო, ოფლი ღვარო...“ — წერდა იონა მეუნარგია ივანე მაჩაბელს ზუგდიდიდან 1887 წლის 23 ივნისს<sup>8</sup>. „... რაც შეიძლება ცდას ნუ დააკლებ — გამოცემას შენი სახელი ერქმევა“ — არ ეშვებოდა ი. მეუნარგია თავის მეგობარს<sup>7</sup>, რაზედაც ი. მაჩაბელი ხუმრობით პასუხობდა: „შენ, ჩემო ძმაო, მომიკიდებ ხოლმე, მეტყვი შენს მეტი ვერავინ გააკეთებსო, და ვინ იცის, რას არ მაკისრებ“<sup>8</sup>.

მართლაც, ივანე მაჩაბელი ჩვეული პასუხისმგებლობითა და ენერგიულობით მოეკიდა ამ დიდ საშვილიშვილო საქმეს. უკვე 1887 წლის 27 აგვისტოს იგი ატყობინებდა იონა მეუნარგიას: „შეუდექით ბეჭდვას... ყდა კარგი გამოდის, სურათებსაც არა უჭირს-რა. ნახავ, თუ ჩვენმა პირველმა დალაქობამ არ გასჭრას, წიგნი 1 იანვრისთვის ვგონებ გამოვიდეს, ბევრი თავში ცემა უნდა. შეგებრალეები რომ ნახო ჩემი სიტყვების სია...“<sup>9</sup>

ივანე მაჩაბელი ხელმძღვანელობდა თურმე „ვეფხისტყაოსნის“ მომავალი გამოცემისთვის გრიგოლ ტატიშვილის მიერ

<sup>6</sup> ზუგდიდის მუზეუმის შრომები, I, თბ., 1947, გვ. 150.

<sup>7</sup> ი ქ ვ ე, გვ. 151.

<sup>8</sup> ი ქ ვ ე, გვ. 222.

<sup>9</sup> ი ქ ვ ე, გვ. 221.



დამზადებული მორთულობის პეტერბურგში ამოჭრასა და რაც მინდობილი ჰქონიათ ცნობილ ოსტატებს ლემანსა და მის. ამის შესახებ თვითონ გრიგოლ ტატიშვილს თავის <sup>სტატიის</sup> წინასწარ ნაკში ჩაუწერია: „გადავეცი გასაგზავნად პეტერბურგში ამოსატრელად ივანე გიორგის ძე მაჩაბელს „ვეფხისტყაოსნის“ მორთულობა № 1, 2, 3, 4, 5 და 8 პარზია“<sup>10</sup>, ხოლო ჩვენამდე მოაღწია ივანე მაჩაბლის რამდენიმე წერილმა თავისი უფროსი ძმის ვასო მაჩაბლისადმი<sup>11</sup>, რომელიც ამ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა და რომლის მეშვეობითაც ივანე მაჩაბელი უკავშირდებოდა პეტერბურგელ ოსტატებს ლემანსა და მის ბექტდვისთვის ტატიშვილისეული ნამუშევრების უნაკლოდ დასამზადებლად<sup>12</sup>.

ამას გარდა, ივ. მაჩაბელი დაუახლოვდა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის ილუსტრატორს მიხაი ზიჩის და მისი უშუალო მონაწილეობითა და მხარდაჭერით უცხოელმა მხატვარმა შეძლო წარმატებით განეხორციელებინა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ბრწყინვალე ჩანაფიქრი: როგორც ცნობილია, ზიჩის ილუსტრაციებით გამოცემულმა „ვეფხისტყაოსანმა“ დიდი მოწონება დაიმსახურა 1889 წელს სტოკჰოლმში

---

<sup>10</sup> მ. უ რ უ შ ა ძ ე, პირველი ქართველი გრაფიკი გრიგოლ ტატიშვილი, თბ., 1958, გვ. 103.

<sup>11</sup> საქართველოს სახელმწ. ლიტ. მუზეუმი, № 13768, № 13740.

<sup>12</sup> ამის შესახებ იხ. ე ლ ე ნ ე ჩ ე რ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ი (ი ვ ა ნ ე მ ა ჩ ა ბ ლ ის ა ს უ ლ ი), მაჩაბლისა და ზიჩის ურთიერთობისათვის, „დროშა“ № 3, 1955, გვ. 19; ე ლ ე ნ ე მ ა ჩ ა ბ ე ლ ი - ჩ ე რ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ი, ზიჩი და ივანე მაჩაბელი, „თბილისი“, 1966, № 111, 14 მაისი; აგრეთვე, ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 130-132; ბ. გ ო რ დ ე ზ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 54.



მ. ზიჩი, შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანს“ მიართმევს  
 თამარ მეფეს



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა



მ. შიჩი, ვეფხისტყაოსნის ილუსტრაცია




მ. შიჩი, ვეფხისტყაოსნის ილუსტრაცია



მ. შიჩი, ვეფხისტყაოსნის ილუსტრაცია



მ. ზიჩი, ვეფხისტყაოსნის ილუსტრაცია




მ. ზიზი, ვეფხისტყაოსნის ილუსტრაცია



მ. ზიჩი, ვეფხისტყაოსნის ილუსტრაცია





მ. ზირი, ვეფხისტყაოსნის ილუსტრაცია



მ. ზინი, ვეფხისტყაოსნის ილუსტრაცია



მ. ზიჩი, ვეფხისტყაოსნის ილუსტრაცია



მ. ზირი, „წმ. ნინოს ცხოვრების“ ილუსტრაცია



მ. ზიჩი, ქართველები, 1856 წ. (გ. პაიჭაძის საკუთრება)



მ. შანი, უცნობი ქართველი ქალის პორტრეტი, 1874 წ.  
(გრ. აბაშიძის საკუთრება)



ელენე ივანეს ასული მაჩაბელი



მარია-ალექსანდრა რონოი, მ. ზაჩის შვილიშვილი





მ. ზიბო, 1900-1901.

გამართულ ორიენტალისტთა კონგრესზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა მეფე ოსკარ მეორე და 1900 წელს, ქაიხარაძის გუტენბერგის საიუბილეოდ მოწყობილ გამოფენაზე.

ივანე მაჩაბელი ზიჩის საქართველოში პირველი ჩამოსვლისთანავე გაეცნო და მხურვალედ დაუჭირა მხარი მის მიერ თბილისსა და ქუთაისში გამართულ „ვეფხისტყაოსნის“ ცოცხალ სურათებს. აქ რომ კიდევ აღარ გავიმეოროთ ივ. მაჩაბლის თანამშრომლობით და შემდეგ რედაქტორობით გამოშვალ გაზეთ „დროებაში“ ამის თაობაზე გამოქვეყნებული დაწვრილებითი ცნობები, საკმარისია მოვიგონოთ, თუ რას წერდა იგი თავის ძმას ვასო მაჩაბელს 1882 წლის 26 თებერვალს პეტერბურგში: „აქაური ახალი ამბები ეს არის: მანდაურმა გამოჩენილმა მხატვარმა ზიჩმა ცხოველი სურათები გამართა „ვეფხისტყაოსნიდამ“ ორჯერ. ორჯერვე აუარებელი ხალხი დაესწრო და აღტაცებითაც მიიღო“<sup>13</sup>.

მიხაი ზიჩისა და ივანე მაჩაბლის ურთიერთობის შესახებ საყურადღებო ცნობები გამოაქვეყნა მამის არქივიდან ივანე მაჩაბლის ასულმა ელენე მაჩაბელმა: „მისი წერილებიდან ჩანს, რომ დასურათებული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის მომზადებისას მამაჩემს მიმოწერა და კავშირი ჰქონდა ზიჩისთან, აწვდიდა „ვეფხისტყაოსნის“ სურათებისთვის ადრინდელი მხატვრობის ფოტოგრაფიულ მასალას, აცნობდა აზრს მის ესკიზებზე, ზოგჯერ შესწორებასაც ურჩევდა“<sup>14</sup>. აი, რას წერდა,

<sup>13</sup> საქ. სახელმწ. ლიტ. მუზეუმი, № 13731.

<sup>14</sup> ელ. მაჩაბელი - ჩერქეზივილი, ზიჩი და ივანე მაჩაბელი, „თბილისი“, 1966, № 111, 14 მაისი. მისივე, მხატვრის მადლობა, „კომუნისტი“, 14.X. 1977. .

მაგალითად, ივანე მაჩაბელი 1887 წლის 12 დეკემბერს პეტერბურგში თავის ძმას ვასოს: „... ზიჩის გამოვუგზავნე ფოტოგრაფიული სურათები ზოგიერთა ძველი მხატვრობის“ „გვეფხისტყაოსნის“ პირველი სურათებისათვის. არ ვიცი, მოგივიდათ თუ არა?... თუ ზიჩის არ დაზარდება, შეიძლება იგივე სურათი ხელმეორედ შევუკვეთოთ, სრულიად ისე, როგორც არის... ხარჯს ზიჩი ნუ მოერიდება ამ საგანზედ. რასაკვირველია, ამას ისე ეტყვი ზიჩის, რომ არ ეწყინოს და თუ ცოტათიც არის სამძიმოა, მაშინ თავი დაანებოს, რაც არის იგივე დარჩეს“<sup>15</sup>.

მართლაც, „ზიჩის მიუღია რჩევა და ხელმეორედ გაკეთებულ ნახელავში შესწორება შეუტანია, რაც ყველას გახარებია“<sup>16</sup>. ელ. მაჩაბლის სიტყვებით, „დასურათებული „გვეფხისტყაოსნის“ გამოსაცემად მოსამზადებელ მუშაობაში ზიჩისა და ქართველ მოღვაწეთა შორის დამყარდა გულთბილი დამოკიდებულება და ნამდვილი თანამეგობრობა“<sup>17</sup>.

„გვეფხისტყაოსნის“ გამოცემის შემდეგ ივ. მაჩაბელი ზრუნავს ზიჩისთვის საგანგებო ცალის დასამზადებლად. 1888 წლის

---

<sup>15</sup> იქვე, იხ. საქ. სახ. ლიტ. მუზ. № 13768.

<sup>16</sup> ელ. მაჩაბელი - ჩერქეზიშვილი, დასახ. წერილი. იხ. აგრეთვე, ლიტ. მუზ. № 13740; ს. ყუბანეიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 131-132; ბ. გორდეზიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 54-55. ვ. ქელიძე, ივანე მაჩაბელი, თბ., 1968, გვ. 167-174. გ. შარაძე, ჩვენი ხალხის დიდი მეგობარი (მ. ზიჩი). „კომუნისტი“, 14.X.1977.

<sup>17</sup> „დროშა“, № 3, 1955, გვ. 19; იხ. აგრეთვე, „თბილისი“, 1966, № 111; „კომუნისტი“, 1977, № 241.

8 ივნისს თამარაშენიდან იგი წერდა ი. მეუნარგიას: „მე თბილისში ჩავალ 18-ს ან 19-ს და მაშინ უნდა შეუდგე ზიჩისთვის მოსამზადებელ „ვეფხის-ტყაოსანზე“ ზრუნვას. ვეფხის ტყაოსანზე ვგონებ ნაკლები საჭირო არ იყოს — თორემ წიგნი დიდი ხანია გამოვიდა და ზიჩის კი არას ვუგზავნით...“<sup>18</sup>.

მიხაი ზიჩიმ თავისი გულწრფელი მეგობრული გრძნობები ივანე მაჩაბლისადმი, როგორც ვთქვით, დაადასტურა პეტერბურგიდან გამოგზავნილ დეპეშაში: „გმადლობთ. დიდად ვაფასებ თქვენს მეგობრობას“.

მეგობრობის ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება...

\* \* \*

1970 წელს მიხაი ზიჩის მშობლიურ სოფელ ზალაში მხატვრის სახლ-მუზეუმი ინახულა მწერალმა და ჟურნალისტმა ვლ. ალფენიძემ, რომელმაც სამშობლოში დაბრუნებისას გამოაქვეყნა ნარკვევი „უნგრული თქმულება ვეფხვის წიგნის ქვეყანაზე“<sup>19</sup>, რომელშიაც იგი ქართველ მკითხველს აუწყებდა მიხაი ზიჩის სახლ-მუზეუმის დირექტორის, მხატვრის შვილიშვილის მარია ალექსანდრა რონოის შემდეგ თხოვნას: „მარია ალექსანდრა რონოიმ მოხოვა, გადავცე ყველა ქართველ ავტორს, ვისაც რუსთაველსა და ზიჩიზე რაიმე დაუწერია, მას გაუგზავნონ თავიანთი ნაწარმოებები მისამართით: უნგრეთი,

<sup>18</sup> ზუგდიდის მუზეუმის შრომები, I, 1947, გვ. 222.

<sup>19</sup> „თბილისი“, 1970, 22. X., № 249.

შომოდის ოლქი, სოფ. ზალა, ზიჩის სახლ-მუზეუმი, მარია რო-  
ნოს“.



და აი, 1970 წლის 6 ნოემბერს საქართველოდან შორეულ უნგრულ სოფელში პირველი ბარათი წავიდა და იცით ვისი? — მიხაი ზიჩის დიდი მეგობრის სახელოვანი ქართველი მამულიშვილის ივანე მაჩაბლის ასულის ელენე მაჩაბლისა, რომელიც წერდა მხატვრის შთამომავალს:

„ამას წინათ, მე დიდი ინტერესითა და კმაყოფილებითა წავიკითხე ერთ-ერთ ქართულ გაზეთში ჟურნალისტ ვ. ალფენიძის სტატია, რომელშიაც იგი მოგვითხრობს მიხაი ზიჩის სახლ-მუზეუმის დათვალიერებისა და თქვენთან შეხვედრის შესახებ. ამავე სტატიაში იგი თქვენი სახელით გადმოგცემს ამაღელვებელ თხოვნას, გამოგიგზავნოთ წიგნები და წერილები თქვენი პაპის შესახებ.

